პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:) რედაქტორის 14—76
) მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო —10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

დ ღ ი უ რ ი

- შანხაიში მოელიან პარტიზანების გამოსვლას სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ.
- მთელს იაპონიაში დაიწყო მასიური კამპანია პარლამენტის წინააღმდეგ.
- სტოკჰოლმში კომუნისტებმა გრანდიოზული მიტინგი მოაწყვეს პოლიციის წინააღმდეგ.
- ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციამ დღეს განაახლა მუშაობა.
- ბელგიამ ლონდონში მიიღო სესხათ ასი მილიონი დოლარი.
- საფრანგეთის მთავრობამ პარიზში დაიხურა იტალიელ კომუნისტების გაზეთი.

სამშაბათი, 26 ოქტომბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 244 (1789)

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

ვის ემსახურებიან გერმანელი მენშევიკები

„ბერლინში გაიმართა სოციალ - დემოკრატიის ორგანიზაციის წევრთა კრება, რომელზედაც მოხსენებით გამოვიდა პრუსიის ლანდტაგის წევრი ბარტელსი. დამსწრეთა უმრავლესობამ დემონსტრატიულად დასტოვა დარბაზი. ამის გამო ბარტელსმა მიაძახა წასულებს: „თქვენ დაავადმყოფებული ხართ კომუნიზმით". დარბაზში გაისმა ხმები: „ჩვენ თუ კომუნისტები ვართ, თქვენ მონარქისტები ყოფილხართ". კრებამ უნდობლობა გამოუცხადა პრუსიის ლანდტაგის სოც.-დემ. ფრაქციას და მიიღო მის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუცია".

ასეთი ცნობა გვაუწყა ამ დღეებში დეპეშამ. მსგავსი მოვლენები ბოლო დროს ძალიან გახშირდა გერმანიაში. სოციალ-დემოკრატ მუშების აღშფოთება თავიანთ ბელადების და პარტიის ზედაფენების წინააღმდეგ ფართე ხასიათს ღებულობს. ეს დაკავშირებულია იმ სამარცხვინო შეთანხმებასთან, რომელიც პრუსიის სოციალ - დემოკრატიულმა მთავრობამ ჰოგენცოლერნებთან დასდო.

ამ შეთანხმების ძალით, ვილჰელმს და მის გვარეულობას უბრუნდება მიწა ოთხასი ათასი მორგენის რაოდენობით (მორგენი — დაახლოებით 1/4 დესეტინა), მთელი რიგი სასახლეები, ყოველგვარი ავეჯეულობა და მოწყობილობა, აგრეთვე ხელოვნების ძვირფასი ნაწარმოებნი. გარდა ამისა, ჰოგენცოლერნებს ეძლევათ ფულადი ანაზღაურება იმ ქონებისათვის, რომელიც მათ „მოკავშირეებმა" საზღვარგარეთ ჩამოართვეს ვერსალის ხელშეკრულების თანახმად. ეს ქონება შეფასებულია 15 მილიონ მარკად, რომელიც მთლიანად უნდა იქნას გადახდილი 1927 წ. მაისის დამლევამდე. ამასთან ყოფ. მეფის გვარეულობას უნდა მიეცეს მილიონ ნახევარი მარკა იმ განსაკუთრებული ფონდიდან, რომელიც იყო საიმპერატორო დინასტიის განკარგულებაში, როცა ის ხელისუფლებას სათავეში ედგა. ესეც ცოტაა: სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს უზრუნველყოს პენსიებით სასახლის ყველა ყოფ. მოხელე. განსაკუთრებით საგულისხმოა შეთანხმების ის მუხლი, რომელიც ვილჰელმს გერმანიაში დაბრუნების საშუალებას ანიჭებს: „სახელმწიფო აძლევს ყოფ. მეფეს ვილჰელმ მეორეს და მის მეუღლეს ჰამბურგის სასახლეს და პარკს, როგორც მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, თუ ამას მოისურვებენ".

საერთოდ ასეთია ამ შეთანხმების შინაარსი, რომელსაც ხელი მოაწერა პრუსიის სოციალ - დემოკრატიულმა მთავრობამ, ვამბობთ — სოციალ - დემოკრატიულმა მთავრობამ, რადგან მასში ხელმძღვანელ როლს სწორედ სოც. - დემოკრატები თამაშობენ და მთავრობის თავმჯდომარე არის სოციალ - დემოკრატი ბრაუნი.

ყოფ. მეფის გვარეულობისათვის ქონების დაბრუნების საკითხს თავისი ისტორია აქვს. ცდა ამ მიმართულებით წარმოებდა იმ თავითვე, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიისათვის რევოლიუციის უშუალო საფრთხემ განვლო, ხოლო განსაკუთრებით მწვავე ხასიათი შარშან მიიღო. ლიუტერის კაბინეტმა შეიმუშავა კანონპროექტი ყოფილ მეფისათვის ქონების ანაზღაურების შესახებ. ეს კანონპროექტი ვერ გაიარა რეიხსტაგში. ლიუტერის მემკვიდრემ მარქსმაც მოიწადინა ჰოგენცოლერნების „დაჯილდოვება", მაგრამ მის კანონპროექტსაც დამარცხება მოელოდა, თუმცა ის რამდენიმედ უფრო კომპრომისულად იყო შედგენილი. მის საბოლოო განხილვამდე რეიხსტაგი საზაფხულოდ დათხოვნილ იქნა.

ერთად-ერთი მიზეზი, რომელმაც რეიხსტაგის უმრავლესობა აიძულა ჰოგენცოლერნების პრეტენზიების დაკმაყოფილების საკითხში თავდაჭერილობა გამოეჩინა, იყო, რა თქმა უნდა, არა უარყოფითი განწყობილება ამ საკითხის მათი საზიანოდ გადაჭრისადმი, არამედ გერმანიის მშრომელთა გადაჭრილი ნებისყოფა. მასსების მოძრაობას ანაზღაურების წინააღმდეგ სათავეში ედგა და ხელმძღვანელობდა კომუნისტური პარტია. შარშან ივნისში მოწყობილ პლებისციტის დროს 15 მილიონმა ამომრჩეველმა ხმა მისცა აუნაზღაურებელ კონფისკაციის სასარგებლოდ. მუშათა კლასის და მოსახლეობის ფართე ფენების შიშით სოციალ-დემოკრატიამ ბოლოს და ბოლოს ვერ გაბედა აშკარად გამოსულიყო ანაზღაურების დამცველის როლში, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ მისი ზედა წრეები მხარს უჭერდენ მას და არა ერთი და ორი ნაბიჯი გადაუდგამთ ამ მიმართულებით. მუშათა მასსების აღშფოთებამ ისინი დროებით ჩააჩუმა და რეიხსტაგში ანაზღაურების წინააღმდეგ მიაცემინა ხმა.

დღეს კი ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიკები კვლავ დაუბრუნდენ თავის წინანდელ პოზიციას ამ საკითხში და ისედაც გაძვალტყავებულ გერმანიის ხალხის ხარჯზე ვილჰელმ მეორეს აურებელი სიმდიდრე შესთავაზეს. ამას მეტყველებს ის შეთანხმება, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი.

კომპარტიამ კვლავ გააძლიერა კამპანია ჰოგენცოლერნების ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ. კამპანიას აქტიურად გამოეხმაურენ როგორც უპარტიო მასსა, ისე სოც.-დემოკრატი მუშები და წვრილბურჟუაზიული ფენები. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ სოციალ - დემოკრატები ყოველ ზომას იღებენ ამ მოძრაობის ჩასაქრობად. მაგ., როცა პრუსიის ლანდტაგში ირჩეოდა ხსენებულ შეთანხმების საკითხი, ბერლინის მუშებმა ფართე საპროტესტო დემონსტრაციები მოაწყვეს; დემონსტრანტები, სხვათა შორის, გაემართენ ლანდტაგისაკენ მასზე ზეგავლენის მოსახდენად. სოციალ - დემოკრატ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დემონსტრანტ მუშებს ტყვიები დაუშინეს. თვით ლანდტაგიდან მის თავმჯდომარემ, აგრეთვე სოციალ - დემოკრატმა გააძევა 20-ზე მეტი კომუნისტი, რომელთაც მთავრობას ობსტრუქცია მოუწყვეს შეთანხმების პროექტის გამო. სტუმრებისათვის დაწესებულ ადგილებიდან მუშები და ყველა „საეჭვო" ელემენტები გამოყარეს. ამნაირად „გაწმენდილმა" ლანდტაგმა და მისმა სოციალ - დემოკრატიულმა ფრაქციამ, გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ცეკას სანქციით, დაადასტურა ეს სამარცხვინო შეთანხმება.

რით აიხსნება გერმანიის სოციალ - დემოკრატიის ბელადების ეს ახალი გამცემლობა? ბოლო დროს გერმანელმა მენშევიკებმა უფრო გადაჭრილი კურსი აიღეს მსხვილ ბურჟუაზიასთან აშკარა თანამშრომლობისა და შეთანხმებისაკენ. გერმანიის მრეწველთა ყრილობაზე — მისმა ხელმძღვანელმა, ზილვერბერგერმა სოციალ - დემოკრატიას აქეთკენ საჯაროდ მოუწოდა. ზილვერბერგერმა განაცხადა, რომ მრეწველები სცნობენ რესპუბლიკას და ამ ნიადაგზე შესაძლებელია სოციალ დემოკრატებთან თანამშრომლობა, ოღონდ მათ თავი უნდა გაანებონ ტყუილ უბრალოდ ლაპარაკს რაღაც რეალურ რეფორმების საჭიროებაზე, მით უმეტეს სოციალიზმზე, რაც თვითონაც არ სჯერათ.

რაც შეეხება მსხვილ ბურჟუაზიის მიერ გერმანიის რესპუბლიკის ცნობას, მისი გამოცხადებიდან რვა წლის განვლის შემდეგ, ამ რესპუბლიკის წინააღმდეგ რა უნდა ჰქონდეს ბურჟუაზიას, როცა მის კლასობრივ ინტერესებს ეს რესპუბლიკა მედგრად იცავს, რესპუბლიკა, რომელიც შესაძლებლად სცნობს ყოფილ მეფის დაბრუნებას გერმანიაში, რომ ამით ნიადაგი მოუმზადდეს მონარქიის რესტავრაციას. ასეთ მდგომარეობის შექმნაში უპირველესი როლი სოციალ - დემოკრატიას ეკუთვნის და ის დღესაც კანიდან ძვრება, რომ ბურჟუაზიის ნდობა საბოლოოდ დაიმსახუროს.

კაპიტალისტებს ეხლა სოციალ - დემოკრატიის დახმარება ესაჭიროება. ისინი მუშათა კლასის ხარჯზე ატარებენ მრეწველობის „რაციონალიზაციას". რომლის წყალობით სამი მილიონი მუშა ქუჩებშია გაყრილი. ეს იწვევს მასსების რევოლიუციონურ განწყობილების ზრდას, რომლის მოდუნებას კაპიტალისტები მენშევიკების შემწეობით ლამობენ. ამისათვის ისინი სოციალ - დემოკრატებს სამინისტრო პორტფელებს პირდებიან. უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ გერმანიის მასშტაბით „დიდი" კოალიციის შედგენაზე, სოციალ - დემოკრატიის მონაწილეობით.

მენშევიკებსაც მეტი არაფერი უნდათ. მათ მოწყურდათ მინისტრების სავარძლებში ჯდომა და ამისათვის თავის სულსა და ხორცს მიჰყიდიან ბურჟუაზიას. სოციალ-დემოკრატიამ საბოლოოდ დაუკავშირა თავისი ბედი კაპიტალისტურ წყობილებას. მისი არსებობა მჭიდროდაა გადანასკული ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებასთან და ამიტომ ის არაფერს დაიშურებს კაპიტალიზმის გადასარჩენად.

მაგრამ ამით სოციალ - დემოკრატია სულ უფრო წყდება მუშათა მასსებს. თვით სოციალ - დემოკრატ მუშებში მენშევიკების ზედაფენები ყოველგვარ ნიადაგს კარგავენ. სოციალ - დემოკრატიის მასსებში უკვე ხმამაღლა და გაბედულად გაისმის უკმაყოფილების და აღშფოთების ხმა მოღალატე ბელადების მიმართ. ამის ერთი ნიმუში ზევით მოვიყვანეთ. კომპარტია მასსების ამ განწყობილებას გამოიყენებს მათი რევოლიუციონური შეკავშირებისა და მუშათა მასსებიდან სოციალ - დემოკრატიის ზედა წრეების საბოლოო გარიყვისათვის.

მიღწევები და ნაკლოვანებანი

(სადელეგატო კრებების გადარჩევის გამო)

წარსული წლების გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ მშრომელ ქალთა შორის მუშაობის საუკეთესო ფორმა სადელეგატო კრებაა. ამ ორგანიზაციამ უკვე საკმაოდ დიდი პოპულიარობა მოიხვეჭა მუშა და გლეხ ქალებს შორის. რაც დრო მიდის, სადელეგატო კრებები იზრდება და მაგრდება არა მარტო ორგანიზაციულად, არამედ იდეურადაც.

ყოველი წელი ამ მხრივ ახალ მიღწევებს იძლევა მშრომელ ქალთა მასის გათვითცნობიერებისა და ორგანიზაციულად დარაზმვის ფრონტზე. ამის საილიუსტრაციოთ შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი საგულისხმო ციფრები. 1924—25 წლის მოწვევის დროს სადელეგატო კრებები აერთიანებდენ 378.820 დელეგატ ქალს; 1925—26 წლის მოწვევა — უკვე 443.938 ქალს; ეს მთლიანად საბჭოთა კავშირში. ამიერ - კავკასიაშიაც დაახლოებით ასეთივე წინსვლა ეტყობა სადელეგატო კრებების მუშაობას.

კერძოთ საქართველოში 1924—25 წლის მოწვევის სადელეგატო კრებები აერთიანებდა 9.679 ქალს. ამ რიცხვიდან 6.289 გლეხი ქალი იყო, ხოლო 925 მუშა ქალი. ეს ციფრები იმის მაჩვენებელია, რომ სადელეგატო კრება საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზმის განუშორებელი ცოცხალი ნაწილია. ამ ორგანოს საშუალებით ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობაში მოზიდულია მშრომელ ქალთა ფართე ფენები, რომელნიც საუკუნო მონობისა, კულტურულ და უფლებრივ სიბეჩავის მდგომარეობიდან ახლად გამოდიან საზოგადოებრივ სამოქმედო ასპარეზზე.

ცნობები, რომელნიც ზემოთ არის მოყვანილი, გამოხატავენ სადელეგატო კრებების რიცხვობრივ ზრდას. მაგრამ მშრომელ ქალთა ამ მნიშვნელოვან ორგანიზაციის ზრდა, როგორც უკვე ვსთქვით, მარტო ამით არ განისაზღვრება. სადელეგატო კრებების რიცხვობრივ ზრდას ბუნებრივად უნდა მოყოლოდა მისი იდეური და პოლიტიკური გავლენის ზრდა და ეს ასედაც მოხდა.

ქალაქად პროფკავშირების არჩევნები, სოფლად საბჭოთა არჩევნები და იქაც და აქაც მშრომელ ქალთა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე წამოყენება, აი ის საკითხები, რომელთა გადაჭრაზედაც უნდა ნათელეყო სადელეგატო კრებებს თავიანთი პოლიტიკურ თვითშეგნების და იდეური გავლენის უნარი. ეს დანიშნულება სადელეგატო კრებებმა წარმატებით შეასრულეს. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის შედეგები, რომელნიც მოგვცა თემსაბჭოთა წარსულმა არჩევნებმა.

მთელ საქართველოში საბჭოთა არჩევნების კამპანიაში მონაწილეობა მიიღო ორასი ათასამდე მშრომელმა ქალმა. ეს შეადგენს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მნიშვნელოვნად მეტს (35 პროც.). ქალთა ასეთი მასიური მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში განსაკუთრებით აღინიშნა თავის დროზე ჩვენი პრესის მიერ. ამ მიღწევაში, უეჭველია, დიდი წილი უდევს სადელეგატო კრებებს. ეს ამტკიცებს, რომ სადელეგატო კრებების პოლიტიკურ-იდეური გავლენა გაიზარდა მშრომელ ქალებზე და ეს კრებები ქალთა მასების ახალსა და ახალ წრეებს იზიდავს თავისაკენ.

მაგრამ ამ თვალსაჩინო მიღწევებთან ერთად სადელეგატო კრებების მუშაობაში არის მნიშვნელოვანი ნაკლულევანებანი, რომელთა გამოსწორებაც აუცილებელი პირობაა მუშაობის შემდეგი წარმატებითი განვითარებისათვის.

თავდაპირველად აღსანიშნავია ერთი მეტად საგულისხმო არანორმალური გარემოება. ზოგჯერ სადელეგატო კრებების მუშაობა მოკლებული იყო სათანადო პარტიულ ხელმძღვანელობას. აქა-იქ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, სადელეგატო კრებების მუშაობას სხვათა შორის უწევდენ ხელმძღვანელობას. ეს საქმე მათ არ მიაჩნდათ წმინდა პარტიულ მუშაობის საგნად.

ასეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, არას შემთხვევაში არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. ქალთა შორის მუშაობა პარტიის პირდაპირი საქმეა და ამ მუშაობის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენს სადელეგატო კრებები. ეს გარემოება არ უნდა დაივიწყონ ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთ მომავალ მუშაობის დროს.

ამას გარდა არის კიდევ მეორე მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც უკვე თვით სადელეგატო კრების მუშაობას შეეხება. ესაა საპროგრამო მუშაობის პრაქტიკულ მუშაობისაგან დაშორება. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ეს ნაკლი თითქმის ყველა სადელეგატო კრებების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს. რატომ ხდება ეს? აქ, რა თქმა უნდა, ბევრი რამაა დამოკიდებული თვით მუშაობის ხელმძღვანელზე, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენენ სადელეგატო კრებების მუშაობისადმი ჩვენი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. თუ ამ უკანასკნელთა მხრივ ადგილი აქვს გულგრილობას და ზერელე განწყობილებას ქალთა შორის მუშაობისადმი, ცხადია, სადელეგატო კრებას არ შეეძლება უნარი გამოიჩინოს პრაქტიკულ საქმიანობაში, ის ვერ შესძლებს, რაც უნდა აქტიური იყვეს, საპროგრამო მუშაობის პრაქტიკულ მუშაობასთან შეთანხმებას.

არის აგრეთვე სხვა მტკივნეული მხარეებიც სადელეგატო კრებების მუშაობაში. ისინი ზოგჯერ ჰკარგავენ კავშირს იმ მასასთან, რომელიც მათ ირჩევს. დელეგატი ქალები არ აბარებენ ანგარიშს თავის ამომრჩევლებს, არ უზიარებენ მათ თავიანთ გამოცდილებას და ამრიგად ჰკარგავენ ცოცხალ კავშირს მასასთან.

ასეთივე სურათს ვამჩნევთ ჩვენ საბჭოს ან რომელიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მომუშავე ქალსა და დელეგატ ქალების ურთიერთობაში. დელეგატი ქალები მოწყვეტილი არიან საზოგადოებრივ ასპარეზზე და საბჭოთა ორგანოებში მომუშავე ქალებისაგან. ეს მდგომარეობა თავის უარყოფით გავლენას ახდენს დელეგატ ქალების პრაქტიკულ მუშაობისათვის მომზადებაზე და საზოგადოთ სადელეგატო კრებების ნორმალურ საქმიანობაზე.

ადგილ-ადგილ ისიც ემჩნევა, რომ დელეგატი ქალები არ ესწრებიან კრებებს, რის გამოც კრების აქტიობა ეცემა და მუშაობა საგრძნობლად ფერხდება. აქ, გარდა ზემოთ ჩამოთვლილ დამაბრკოლებელ მიზეზებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს სადელეგატო კრებების ხელმძღვანელობას. ბევრ შემთხვევაში ხელმძღვანელობა მოისუსტებს, კრებები უშინაარსო და უფერულია, დელეგატები, ბუნებრივად ჰკარგავენ აქტიურ მუშაობის ყოველგვარ ხალისს. ამიტომ მომავალში ხელმძღვანელობის სათანადო სიმაღლეზე აყვანას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს სადელეგატო კრებების მუშაობაში.

ასეთია მოკლედ ის მიღწევანი და ნაკლულოვანებები, რომელნიც ახასიათებენ სადელეგატო კრებების მუშაობას ჩვენში. სადელეგატო კრებების გადახალისება ყოველწლიურად ხდება. ამხანად საქართველოში მიმდინარეობს მათი მორიგი გადარჩევა. ეს საარჩევნო კამპანია უნდა გახდეს მშრომელ ქალთა ამ თვითმოქმედების მძლავრ ორგანოს მუშაობის საყოველთაო შემოწმებათ. საარჩევნო კამპანიამ უნდა გაუკეთოს ჯამი არსებულ მიღწევებს და ნაკლულოვანებებს, რომ აქედან ჩვენმა პარტიულმა ორგანოებმა სათანადო დასკვნები გამოიტანონ სადელეგატო კრებების მომავალ მუშაობის სწორი გზით წასაყვანად.

მ. ლ—ძე.

საბჭოთა პრესა

ორი მომენტი

უახლოეს მომავალში დაიწყება საანგარიშო-საარჩევნო კამპანია კოოპერაციაში. ამ კამპანიის დროს მთავარი ყურადღება მიექცევა ორ მომენტს: ეხლანდელი გამგეობის მუშაობის შეფასებას და კოოპერაც. ხელმძღვანელ ორგანოში ახალ კანდიდატების არჩევას. ღარიბი და მასთან საშუალო გლეხობა მომზადებულად და შეკავშირებულად უნდა გამოვიდეს ამ ორი ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის. როგორ უნდა მიუდგეს გლეხობის ეს ფენა ძველი გამგეობის საქმიანობის შეფასებას? „ბედნოტა" ამაზე წერს:

„პირველი, უნდა მოითხოვონ სრული გარკვეულობა ყველა წარმოებულ ხარჯებში. გამოარკვიონ, თუ როგორ ტარდებოდა მომჭირნეობის რეჟიმი. ფასის რამდენი დამატებით იყიდებოდა საქონელი. როგორ წარმოებდა საქონლის შესყიდვა და სას.-სამ. პროდუქტების გასაღება. ხდებოდა თუ არა კერძო ვაჭარზე საქონლის გაცემა. ხომ არ იყენებდენ კოოპერატიულ საშუალებებს კერძო გარიგებებსა და ბრუნვაზე, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო კოოპერაციასთან. რა გააკეთა გამგეობამ კოოპერაციაში ღარიბ გლეხობის ჩასაყოლად?

მეორე, უნდა გამოირკვეს, რამდენად წარმოადგენდა კოოპერატივი (ეხლანდელ გამგეობის ხელში) სასარგებლო საზოგადოებრივ საქმეების ორგანიზატორს და წამქეზებელს, საქმეების, რომელთა მიზანია სოფლის მშრომელ უმრავლესობის ინტერესების დაცვა.

მესამე, რა დაბრკოლებებს ხვდებოდა გამგეობა თავის მუშაობაში და რას აკეთებდა მათი ასაცილებლად, ან რის გაკეთება მიაჩნია მას ეხლა საჭიროდ".

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია გამგეობაში ახალი კანდიდატების არჩევა. ცხადია, ძველი შემადგენლობიდან დარჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც გაამართლა საზოგადოებრივი ნდობა, ვინც დაამტკიცა უნარიანობა, პატიოსნება და ერთგულება საბჭოთა კოოპერაციის იდეისადმი. დანარჩენები შეუბრალებლად უნდა იქნენ გაძევებულნი და ისინი უნდა შეიცვალონ ახალი, შესაფერი ელემენტებით. როგორ უნდა მიუდგეთ ახალი კანდიდატების შეფასებას?

„რაც შეეხება ახალ კანდიდატებს, — განაგრძობს გაზეთი, — ამა თუ იმ კანდიდატის ყოველი აცილება აუცილებლად უნდა იქნას კრებაზე განსჯილი. აცილების შემოწმება უნდა იყოს უეჭველად კეთილსინდისიერი. რა თქმა უნდა, შეიძლება იყოს აცილების შემთხვევები კანდიდატის უსაფუძვლოდ გაშავების მიზნით. მაგრამ ასეთი აცილება უნდა იქნას გაბათილებული კრებისათვის სავსებით დამარწმუნებელი საბუთებით. თუ კულაკები და მათი დამქაშები მოისურვებენ თავისი ან გარეშეთი მიზნებისათვის კანდიდატურის გაბახებას, რომელსაც ღარიბი გლეხობა ან უჯრედი აყენებს, მტრის ასეთი ცდა უნდა იქნას დამსხვრეული საქმიანი გზით, ფაქტებით.

და პირიქით: იმ შემთხვევებში, როცა ღარიბ ან საშუალო გლეხობის წრიდან შემოვა აცილება რომელიმე პარტიული კანდიდატის წინააღმდეგ, ადგილობრივი უჯრედის თუ კრების კომფრაქციის მოვალეობაა გულდასმით შეამოწმონ წამოყენებული ბრალდება და, თუ ის საფუძვლიანი აღმოჩნდება, თვითონ მოხსნან კანდიდატურა".

ამნაირად, ძველი გამგეობის მოღვაწეობის მიუდგომელი და ყოველმხრივი შემოწმება, ერთი მხრით, ახალ გამგეობისათვის შესაფერ კანდიდატების არჩევა მეორე მხრივ,—ამ ორ ამოცანის გადაჭრაზეა დამოკიდებული კოოპერაციის გაჯანსაღება. ეს კი გულისხმობს მშრომელ გლეხების აქტიურ მონაწილეობას საარჩევნო-საანგარიშო კამპანიაში.

სპეციალისტები და ჩვენი მშენებლობა

სპეციალისტებთან დამოკიდებულების საკითხი პარტიამ კარგა ხანია რაც გადაჭრა. სპეციალისტები სოციალისტურ მშენებლობაში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ, მით უმეტეს ეხლა, როცა ფეხი შევდგით მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლებაც ყოველ ზომას იღებს მათი მუშაობის ნივთიერი და უფლებრივი მხრით ხელსაყრელ პირობებში ჩაყენებისათვის. ე. წ. სპეცმჭამელობა, რომელიც წინედ გავრცელებული იყო, ძალზე შემცირდა. მაგრამ ამ მოვლენას აქა-იქ ეხლაც აქვს ადგილი, რაც საბოლოოდ უნდა იქნას აღმოფხვრილი. „ნაშა გაზეტა" წერს:

„მშრომელთა ფართე ფენებმა უნდა მოიმოქმედონ ყველაფერი, რათა ჩააყენონ ბურჟუაზიული სპეციალისტები ამხანაგურ საერთო შრომის პირობებში, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი უბრალო მუშების მასსასთან, რომელთაც შეგნებული კომუნისტები ხელმძღვანელობენ. და ამით ხელი შეუწყონ კაპიტალიზმის მიერ [illegible] ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკთა ურთიერთ გაგებას და დაახლოვებას"... (ჩვენი პარტიის პროგრამიდან).

მეორე მხრივ საჭიროა თვით სპეციალისტები დაუახლოვდენ მუშათა მასსებს:

„იყვე საბჭოთა სპეციალისტი, ეს არ ნიშნავს მხოლოდ იცოდე თავისი საქმე, იყვე კარგი ინჟენერი, ბუჰგალტერი და სხვ. საბჭოთა სპეციალისტი აგრეთვე უნდა იყოს საზოგადო მოღვაწე. რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა სპეციალისტმა უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა მასსების შემოქმედებითი მუშაობაში. საწარმოო თათბირებზე, ეკონომ. თათბირებზე, პროფმუშაობაში, კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობაში, — ყველგან, სადაც სდუღს მშრომელთა შემოქმედებითი და კოლექტიური აზრი,—ჩვენმა სპეციალისტებმა უნდა გამოიჩინონ თავისი ცოდნა და გამოცდილება".

ასეთი ცოცხალი კავშირი სპეციალისტებსა და მუშათა მასსებს შორის, მათი მჭიდრო თანამშრომლობა შექმნის ისეთ მდგომარეობას, როცა „სპეცმჭამელობის" ნაშთები სავსებით ჩაბარდება არქივს.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლდუინის მთავრობამ აკრძალა მემაღაროეთა მიტინგები

თემთა პალატაში დაიწყო კამათი ქვა-ნახშირის საკითხის გარშემო

ინგლისელი მემაღაროეები დახმარების სამ მეოთხედს საბჭ. კავშირიდან ღებულობენ

საფრანგეთის „სოციალისტები" ამართლებენ პოლ-ბონკურის იმპერიალისტურ პოლიტიკას

შვეციის პროფკავშირები მოითხოვენ საბჭოთა პროფკავშირებთან თანამშრომლობას

გაფიცვა ინგლისში

დახმარება ბავშვებს

სტოკჰოლმი, 25 ოქტომბერი. შვეციის კომპარტიის ქალთა განყოფილება აგროვებს ტანსაცმლებს ინგლისის მემაღაროეთა ბავშვებისათვის. შესაფერ მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურენ არა მარტო კომუნისტები, არამედ უპარტიო მუშებიც. ინგლისში უკვე გაიგზავნა შეგროვილი ტანისამოსის პირველი პარტია, საერთო წონით 2½ ათასი კილოგრამი.

11½—16-დან.

ლონდონი, 25 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ სამთამადნო მუშათა ფედერაციის აღმასკომის თავმჯდომარემ სმიტმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ყოველ 16 პენსიდან, რომლებსაც გაფიცვის დაწყების დღიდან ოქტომბრის ბოლომდე ურიგებდა ფედერაცია სამთამადნო მუშებს, 11½ პენსი გამოგზავნილია საბჭ. კავშირიდან. ამასთან სმიტმა დაუმატა, რომ ის სრულებით არ თაკილობს საბჭოთა კავშირიდან ფულების მიღებას და ხვალ რომ საბჭოთა მთავრობამ გამოგზავნოს 1 მილიონი გირვანქა სტერლინგი, ის დიდის სიხარულით გაუგზავნიდა ხელწერილს მისი მიღების შესახებ.

შუამავლობა უარჰყვეს

პარიზი, 25 ოქტომბ. ლონდონიდან მიღებული ცნობით, ლორდ დერბის წინადადებას შუამავლის როლში გამოსვლის შესახებ, როგორც სჩანს, არ მიიღებენ არც მაღაროს მეპატრონეები და არც მემაღაროეები.

მიტინგების აკრძალვა

ლონდონი, 25 ოქტომბერი. „დეილი მეილის" ცნობით, ოთხი კრება სტაფორდშირში (სანახშირო რაიონი), სადაც კუკს უნდა ელაპარაკნა, აკრძალა შინაგან საქმეთა მინისტრმა. პოლიციამ გააფრთხილა მემაღაროეთა ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომ ისინი დატუსაღებულ იქნებიან თუ ამ ბრძანებას არ დაემორჩილენ.

ხიტეისში, სადაც პირველი კრება უნდა შემდგარიყო, 500 პოლიციელმა გაფანტა 3.000 კაცი. კუკი გაემგზავრა იმის შემდეგ, როცა მას შეატყობინეს კრების აკრძალვის შესახებ. უწესრიგობას ადგილი არ ჰქონია.

პეტსალში კრებაზე დასასწრებლად შეგროვდა 5.000 კაცი. კუკის თხოვნა, რომ მისთვის ნება მიეცათ შეგროვილი ხალხისათვის ეთხოვა, რომ დაშლილიყო, უარყოფილ იქმნა.

კამათი ქვანახშირის საკითხის გარშემო

ლონდონი, 25 ოქტომბ. დღეს თემთა პალატაში გაიმართება ხელახალი კამათი ქვანახშირის საკითხის გარშემო.

საგანგებო წესები

ლონდონი, 25 ოქტომბ. დღეს დილით შეიკრიბება თემთა პალატა. შეკრების მიზანია საგანგებო წესების გაგრძელება.

ლორდთა პალატა ალბად დღესვე დაასრულებს თავის მუშაობას; თემთა პალატას კი სხდომები ექნება ხვალაც, რის შემდეგაც პალატის მუშაობა გადაიდება შემოდგომის სესიის დასაწყისამდე—9 ნოემბრამდე.

ფრანგ სოციალისტებს შორის

პარიზი, 25 ოქტომბერი. სენის სოციალისტთა გენერალურ ფედერალური საბჭოს (სოციალისტური ინტერნაციონალის საფრანგეთის სექცია) კრება 1.480 ხმით მიემხრო პოლ-ბონკურის მანდატის შენარჩუნებას ერთა ლიგაში, წინააღმდეგ წავიდა 212 კაცი, რომლებმაც მოითხოვეს პოლ-ბონკურის დაუყოვნებლივ გადაყენება. მიღებულ იქნა დადგენილება, რომ სენატორთა არჩევნების კანდიდატთა სიაში მხოლოდ პარტიის წევრები უნდა შედიოდენ.

ზალესკი ლიტვა-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ

ვარშავა, 24 ოქტომბერი. ჟურნალისტებთან საუბარში პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზალესკიმ ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულების საკითხის შესახებ განაცხადა:

„პოლონეთის მთავრობას უკვე რამდენიმე წელია, რაც ლიტვასთან შეთანხმება სურს, მაგრამ ის წინააღმდეგობას ხვდება ლიტვის მთავრობის მხრით. ლიტვის მთავრობის პოზიცია ეწინააღმდეგება ლიტვის ბუნებრივ ეკონომიურ ინტერესებს. თუმცა მე არ ვაძლევ განსაკუთრებით დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას ლიტვა-საბჭოთა ხელშეკრულებას, მაგრამ მე ამ ხელშეკრულებას უყურებ, როგორც პოლიტიკურ დემონსტრაციას იმ მიზნით, რომ გამოსცადოს ჩვენი მოთმინება, რომელსაც ჩვენ ვიჩენთ, ვიცავთ რა საქმიან ურთიერთობას ლიტვასთან".

საბჭოთა კავშირთან საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ ზალესკიმ განაცხადა:

„პოლონეთის მთავრობის პოზიცია ამ საკითხში არ შეცვლილა. ლიტვა - საბჭოთა ხელშეკრულებამ რამდენათმე გააუარესა მდგომარეობა. მოლაპარაკება საბჭოთა ხელშეკრულებისა და პოლონეთის შორის ახლო ხანში დაიწყება. ჩვენ შევეცდებით დავსდოთ ისეთი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს მტკიცე მშვიდობიანობას აღმოსავლეთში. ცხადია, რომ პოლონეთი უარჰყოფს ნეიტრალიტეტის ისეთ პირობებს, თუნდაც სამეურნეო დარგში, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთა ლიგის წესდების მე-16 მუხლს, თუმცა კი საბჭოთა კავშირი ამას მოითხოვს".

ზალესკის განცხადების შესახებ „ფოლკს ცაიტუნგი" სწერს:

„გასაგებ ენაზე რომ გადვიტანოთ, ზალესკის განცხადება იმას ნიშნავს, რომ პოლონეთი უარყოფს საბჭოთა კავშირის წინადადებას საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ".

ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია

საგარეო პოლიტიკის საკითხები

ლონდონი, 25 ოქტომბ. ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენციამ დღეს დილით განაახლა თავისი მუშაობა. დღევანდელ სხდომაზე განხილულ იქნება საგარეო პოლიტიკის საკითხები ჩემბერლენის მოხსენების მიხედვით. ამ სხდომას საიდუმლო ხასიათი ექნება და არც ერთი სიტყვა არ გამოქვეყნდება.

საიმპერიო კონფერენციის მუშაობის უმეტესი ნაწილი შესრულდება მიმდინარე კვირაში; სხვათა შორის განხილულ იქნება საიმპერიო თავდაცვის საკითხიც, რომელსაც საიდუმლო ხასიათი ექნება.

საპატიო მოქალაქეობა

ლონდონი, 25 ოქტომბ. 19 ნოემბერს ლონდონის საპატიო მოქალაქის წოდება მიეცემა ახალი ზელანდიის, სამხრეთ აფრიკის და ნიუფაუნდლენდის პრემიერებს.

სხვა პრემიერებმა ეს წოდება წინათ მიიღეს ლონდონში ყოფნის დროს.

დომინიონების პრემიერები კროიდონში

ლონდონი, 25 ოქტომბ. გუშინ დომინიონების პრემიერებმა სამხედრო და საკომერციო ჰაეროპლანების დათვალიერების მიზნით ინახულეს ჰაეროდრომი კროიდონში.

პრემიერებს აჩვენეს 30 სხვადასხვა ტიპის ჰაეროპლანი.

ჰაეროპლანების მანევრების დროს კობჰემი თავისი ცოლით მოფრინდა იმავე აპარატით, რომლითაც წელს ავსტრალიაში გადაფრინდა.

ბრძოლა ჩინეთში

შანხაის ფრონტზე

პეკინი, 25 ოქტომბერი. შანხაის ფრონტზე მდგომარეობა ძლიერ გართულებულია. როგორც გაზეთები იუწყებიან, **ხუთშაბათს დაიწყო ბრძოლა ჩეძიანის ჯარებსა და სუნ-ჩუან-ფანის ჯარებს შორის.** ბრძოლა სწარმოებს ჩეძიანისა და ცზიან-სუს საზღვრებზე. ჩე-ცზიანის ჯარების მდგომარეობა, მათი ნაკლები სამხედრო მომზადების გამო, ვერ არის კარგი.

ხმები დადის, რომ **შანხაიში პარტიზანები ემზადებიან სუნ-ჩუან-ფანის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.**

პეკინი, 25 ოქტომბერი. როგორც იუწყებიან, უ-პეი-ფუ, ჩან-ცზო-ჩანის ჯარების დახმარებით, ემზადება იერიშზე გადასასვლელად. ჩან-ცზო-ჩანი განაგრძობს ჯარების გადასხმას სამხრეთით პეკინ-ხანკოუს რკინის გზის გასწვრივ.

პოლიციის პროვოკაციის წინააღმდეგ

სტოკჰოლმი, 25 ოქტ. სტოკჰოლმში გაიმართა კომუნისტების მიერ მოწყობილი გრანდიოზული საპროტესტო მიტინგი სტოკჰოლმის პოლიციის უფროსის მოქმედების გამო. პოლიციის უფროსმა საიდუმლოთ შეიძინა ტყვიისმფრქვეველები, რასაც ამართლებდა, ვითომდა, კომუნისტების მზადებით აჯანყებისათვის არსებული წყობილების დასამხობად. 25 პროფესიონალური კავშირი და საფაბრიკო საქარხნო კლუბი, რომელნიც 25.000 მუშას აერთიანებენ, მოითხოვენ პოლიციის უფროსის გადაყენებას და იმ დოკუმენტის გამოქვეყნებას, რომელიც შეეხება პოლიციის მიერ ტყვიისმფრქვევლების უკანონოდ შეძენას.

კენვორტი კმაყოფილია

მუშათა პარტიის ლიდერების პოლიტიკით

ლონდონი, 25 ოქტომბ. გუშინ გულლში ტომასმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ თემთა პალატის ლიბერალი წევრი ცენტრალურ გულლიდან მაიორი კენვორტი, რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა, მომავალში მუშათა პარტიის სკამს დაიკავებს თემთა პალატაში.

ცენტრალურ გულლის ლიბერალურ ორგანიზაციისადმი გაგზავნილ წერილში **კენვორტიმ განაცხადა, რომ რა კი მუშათა პარტიამ საერთოდ ხელი აიღო პირდაპირ მოქმედებაზე და გაფიცვაზე, როგორც ბრძოლის იარაღზე,** და კონსტიტუციონური პოლიტიკური მოქმედების ტაქტიკა შეითვისა, მისი აზრით, ყველა რადიკალების და პროგრესისტების მოვალეობაა ხელი შეუწყონ მთლიანი პარტიის შექმნას. კენვორტი მოუწოდებს ლოიდ-ჯორჯს მიბაძოს მის მაგალითს.

მთლიანობა, ბრძოლა, გამარჯვება

მთლიანობა აღდგენილი იქნება

სტოკჰოლმი, 25 ოქტ. ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭოს მიერ კომპარტიის წინადადების უარყოფის შემდეგ, აიღო თავის თავზე მუშათა მთლიანი ფრონტის განხორციელების ინიციატივა, ნორვეგიის კომპარტიამ გადასწყვიტა ფაშიზმსა და უმუშევრობასთან ერთიანი ფრონტით ბრძოლის მიზნით ჩაატაროს ოთხკვირეული კამპანია. კამპანია ჩატარებული იქნება ლოზუნგით—„მთლიანობა, ბრძოლა, გამარჯვება".

საბჭოთა პროფკავშირებთან თანამშრომლობისათვის

სტოკჰოლმი, 25 ოქტ. შვეციის მზრდავ მუშათა რეფორმისტულმა კრუზემ კომუნისტური გაზეთის „პოლიტიკენ"-ის თანამშრომელთან საუბარში საჭიროდ აღიარა საბჭოთა პროფკავშირებთან თანამშრომლობა ბალტიის განაპირა და სკანდინავიის ქვეყნების პროფკავშირთა მომავალ კონფერენციაზე.

კრუზეს აზრით, საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელთა მიწვევის საკითხი კონფერენციაზე მაშინ გახდება აქტუალური, თუ კონფერენციის მონაწილე ერთ-ერთი ქვეყნის პროფკავშირთა საბჭო მოითხოვს მათ მოწვევას.

შვეციის მკვებავთა პროფკავშირის რწმუნებულმა პეტერსონმა განუცხადა „პოლიტიკენის" წარმომადგენელს, რომ ის **მუდამ საჭიროდ სთვლიდა საბჭოთა პროფკავშირებთან თანამშრომლობას.**

მისი აზრით **საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლები კონფერენციაზე აუცილებლივ უნდა იქნან მიწვეულნი.**

ნორვეგიული „არბიტერ ბლადეტ"-ი, რომელიც ჩვეულებრივ ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭოს თვალსაზრისის გამომხატველია, **საჭიროდ სცნობს საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენელთა მიწვევას სკანდინავია-ბალტიის კონფერენციაზე.** ამ დღეებში მოელიან ნორვეგიის პროფკავშირთა საბჭოს მოსაზრების გამოქვეყნებას ამ საკითხის გარშემო.

ბელგიის ფინანსები

პარიზი, 25 ოქტომბ. ბრიუსელიდან მიღებული ცნობით, ფრანკიმ მინისტრთა საბჭოს განუცხადა, რომ ლონდონში მიღებულ იქნა გრძელვადიანი სესხი 100 მილ. დოლარის რაოდენობით და რომ ერთ-ერთმა ძლიერმა საემისიო დაწესებულებამ მნიშვნელოვანი კრედიტები გაუხსნა ბელგიის ბანკს. მინისტრთა საბჭომ მოიწონა ეს განცხადება და აგრეთვე მეფის დეკრეტი ფულის ტრიალის სტაბილიზაციის შესახებ.

იტალია უნახშიროთ

რომი, 25 ოქტ. ინგლისის მემაღაროეთა გაფიცვასთან დაკავშირებით, იტალიის მრეწველობა განიცდის ნახშირის დიდ ნაკლებობას. ამ ნიადაგზე შემცირდა ზოგიერთ მსხვილ წარმოებათა პროდუქცია. პოლონეთისა და გერმანიის ნახშირის შემოტანას, რომელიც ფერხდება რკინის გზის ტრანსპორტის მოუწყობლობით, არ შეუძლია აანაზღაუროს ინგლისის ნახშირის შემოზიდვა ზღვით, რომელიც თვეში 45.000 ტონამდე ადიოდა. მრეწველობის ძირითადი დარგების წარმომადგენელთა თათბირზე გზათა და სახალხო მეურნეობის მინისტრებთან ერთად, მრეწველები მოითხოვდენ მათთვის რკინისგზის ნახშირის მარაგის გადაცემას. **გაზეთები ფარავენ დათხოვილ მუშების ნამდვილ რიცხვს და მრეწველობის კრიზისის ნამდვილ სურათს,** რომელსაც ამასთან ერთად უფრო აღრმავებს არახელსაყრელი საექსპორტო კონიუნქტურა და კრედიტის შემცირება.

მარსის საიდუმლოების გამოსარკვევად

ლონდონი, 25 ოქტ. რადგან ორშაბათს საუკეთესო პირობები იქნება მარსზე დაკვირვებისათვის, ევროპის უდიდესი ობსერვატორიები მთელის ძალღონით შეეცდებიან პლანეტა მარსის საიდუმლოების გამოცნობას.

მონბლანის ობსერვატორიაში დადგმულია ახალი ინსტრუმენტები. ამერიკელი ასტრონომები უკვე შეუდგენ სიცოცხლის ნიშნების გამოკვლევას პლანეტა მარსზე.

ინგლისიდან და საფრანგეთიდან გაიგზავნა სუპერჰეტეროდიული უმძლავრესი დეპეშები იმ იმედით, რომ საპასუხო ნიშნები იქნება მიღებული მარსიდან.

მარკონიმ „დეილი მეილის" თანამშრომელს აი რას განუცხადა:

„მე შესაძლოდ მიმაჩნია ნიშნების გაგზავნა მარსზე რადიო-ტალღების საშუალებით პლანეტათა-შუა სივრცის გზით".

იაპონიაში

პარლამენტის დათხოვნისთვის

ტოკიო, 24 ოქტომბერი. მრავალი პროფკავშირისა და მუშათა ორგანიზაციის მიერ მოწყობილი კამპანია პეტიციაზე ხელის მოსაწერად პარლამენტის დაუყოვნებლივ დათხოვნის მიზნით მთელ სახელმწიფოში ვრცელდება. კამპანია ტარდება შემდეგი ლოზუნგებით: **სიტყვის, კრების და გაფიცვის თავისუფლება და ახალი არჩევნები საყოველთაო საარჩევნო უფლების ნიადაგზე.**

სოციალისტურად განწყობილი ინტელიგენციის ზედა ფენები მხარს უჭერს ამ მოძრაობას.

კომუნისტების გავლენის ზრდა

პრაღა, 25 ოქტომბერი. ჩეხია მორავიის სალითონო ქარხნების საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნების დროს პრაღაში კომუნისტებმა მიიღეს 15 პროც. მეტი ხმა, ვინემ წინანდელ არჩევნების დროს.

კომინტერნის აღმასკომის დელეგაციის განცხადება საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტ. კომ. პლენუმზე

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. კომინტერნის აღმასკომის დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: გერმანიის, ჩეხო-სლოვაკიის, საფრანგეთის, იტალიის, დიდი-ბრიტანეთის, შეერთებული შტატების, პოლონეთის, ინდოეთის, იაპონიის და ჩინეთის წარმომადგენლები, 1926 წლის, 23 ოქტომბერს შემდეგი განცხადება შეიტანეს საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე:

„ვიღებთ რა მხედველობაში ოპოზიციონური ბლოკის ანტილენინურ ხაზს საკავშირო კომპარტიაში, და კომინტერნის თავმჯდომარის ზინოვიევის ხელმძღვანელ როლს ამ არასწორ ხაზის გატარებაში, რაც გაუგონარია ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში, დეზორგანიზატორულ ფრაქციულ მუშაობას ოპოზიციონური ბლოკისას და ამ ფრაქციონულ მუშაობის გადატანას კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში, კომინტერნის აღმასკომის დელეგაცია, საკავშირო კომპარტიის ცეკასა და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე, თანახმად კომინტერნის მნიშვნელოვან სექციების გადაწყვეტილებისა, არ სთვლის შესაძლებლად ზინოვიევის შემდგომ მუშაობას და დარჩენას კომინტერნის სათავეში.

ეს განცხადება ერთხმად იქნა დადასტურებული კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომაზე 25 ოქტომბერს და ხელმოწერილი საზღვარგარეთელ კომპარტიების ყველა წარმომადგენლების მიერ.

განცხადებას ხელი მოაწერეს: **გეშკე, რემელე, ცეტკინ, (გერმანია); ჟერამე, ტრონ (საფრანგეთი); მერფი (ინგლისი); შმერლი, ზანოტოცკი, შტერნი (ჩეხოსლოვაკია); დენკან, ბროუდერ, პეპპერ (ამერიკის შეერთებული შტატები); კატაიამა (იაპონია); საი (ჩინეთი); მოი (ინდოეთი); ბოგუცკი, ტურინსკი (პოლონეთი); სამუელსონ (შვეცია); ბადულესკუ (რუმინეთი); ფერდი (ოსმალეთი); კუუსინენ, მანნერ (ფინეთი); ანგარეტს, მიცკევიჩ (ლიტვა); ანველტ (ესტონეთი); კოდოვილა, გიუპტნერ, მერინგ, გორკიჩ (ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომიდან).**

უკანასკნელი ცნობები

ყველა საშუალებები გამოყენებულია

ლონდონი, 25 ოქტომბერი. გუშინ პოლიციამ სტაფორდშირის ზოგიერთ ადგილებში აკრძალა მიტინგები, რომელზედაც კუკი უნდა გამოსულიყო. ადგილი ალყა შემორტყმული იყო 400 კაცისაგან შემდგარ ქვეითა და ცხენოსან მილიციის მიერ. სანამ პოლიციის სერჟანტი მიტინგის აკრძალვის შესახებ განკარგულებას წაიკითხავდა, მემაღაროები ხმა მაღლა მისალმენ კუკს და იმღერეს „წითელი დროშა". კუკს თან დაუყვებოდენ პოლიციელები.

მიტინგის აკრძალვის შესახებ ბრძანების წაკითხვის შემდეგ კუკმა ასეთი სიტყვებით მიმართა მემაღაროებს:

„ასეთი ზომები კიდევ უფრო გაამხნევებენ მემაღაროებს, რომ განაგრძონ ბრძოლა".

პეკსოლში პოლიციამ არ მისცა ნება კუკს მიემართა შეკრებილ 5.000 მემაღაროსათვის და მას გარს შემოერტყა ცხენოსანი პოლიციელები.

ჟურნალისტებთან საუბარში კუკმა განაცხადა, **რომ, როგორც პოლიციის მოქმედებიდან სჩანს, მთავრობამ და მაღაროების მეპატრონეებმა გადასწყვიტეს ყოველნაირი საშუალება გამოიყენონ მემაღაროების გასატეხად.**

მშრომელთა ყრილობის გარშემო

ბერლინი, 24 ოქტომბერი. ჰოგენცოლერნებთან შეთანხმების შემდეგ გერმანიის მუშებში თანდათან ძლიერდება მოძრაობა სრულიად გერმანიის მშრომელთა ყრილობაში მონაწილეობის მიღების სასარგებლოდ. სხვადასხვა წარმოებებიდან ყოველდღე მოდის ცნობები ყრილობაში მონაწილეობის შესახებ.

მენშევიკები უკმაყოფილო არიან თავისი ფრაქციის

ბერლინი, 24 ოქტომბერი. მენშევიკური პარტიის ბოხუმის ორგანიზაციის კონფერენციამ უკმაყოფილება გამოსთქვა ლანდტაგის მენშევიკური ფრაქციის პოზიციის ჰოგენცოლერნებთან შეთანხმების საქმეში.

საიმპერიო კონფერენცია

ლონდონი, 25 ოქტომბერი. საიმპერიო კონფერენციის დღევანდელმა კრებამ განიხილა საგარეო ურთიერთობის საკითხები. სიტყვებით გამოვიდენ ყველა დომინიონების წარმომადგენლები. ჩემბერლენმა პასუხი გასცა მთელ რიგ აღძრულ კითხვებზე. ამ სხდომის ანგარიში არ გამოქვეყნდება. საიმპერიო კონფერენციის ხვალინდელი სხდომაც საიმპერიო თავდაცვის საკითხის შესახებ მეტწილად კონფიდენციალური იქნება. სულ ამჟამად 9 ტეხნიკური კომისია მუშაობს.

მელონი საბაჟო ზღუდეების მომხრეა

პარიზი, 25 ოქტომბერი. უპასუხებს რა ბანკირების მანიფესტს, მელონი იცავს ამერიკის საბაჟო ზღუდეების სისტემას და ამტკიცებს, რომ მისი შეცვლა ნიშნავს მსხვილი დაკვეთების შეზღუდვას, რის მსხვერპლიც პირველ რიგში ევროპის მწარმოებლები გახდებოდენ.

გაფიცულთა სასარგებლოდ

ვარშავა, 24 ოქტომბერი. პავიაკის სატუსაღოს პოლიტტუსაღებმა უარი განაცხადეს ორი კვირის განმავლობაში ულუფის მიღებაზე და ამ ულუფას ისინი აგზავნიან ინგლისის გაფიცულ მემაღაროეთა სასარგებლოდ.

ხანძარი გროზნოს ნავთის სარეწაოებში

გროზნო, 25 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს ახალ სარეწაოებში გაჩნდა ხანძარი, დაიწვა 4 ბურღილი, აფეთქდა 4 ბაკი. ხანძრის მიზეზები ჯერ არ გამორკვეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწისძვრის შედეგები სომხეთში

ლენინაკანში

ამერიკული კომიტეტის დაწესებულებები უვნებელია

ლენინაკანი, 25 ოქტომბერი. ამერიკული კომიტეტის ყველა დაწესებულებები უვნებლად გადარჩენ. ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა. ბავშვები კარვებში არიან მოთავსებული.

ქალაქი ცოცხლდება

ლენინაკანი, 25 ოქტომბერი. სახელმწიფო დაწესებულებები დღეს უკვე შეუდგენ მუშაობას. თანდათანობით იღება ნგრევას გადარჩენილი სავაჭროები. ზოგიერთი ოჯახები სახლდებიან ნაკლებ დანგრეულ შენობებში.

დაზარალებული დაწესებულებანი

ლენინაკანი, 24 ოქტომბერი. ქალაქში განსაკუთრებით დაზიანდენ სომხვაჭრობის საწყობები, მუშკოოპის ყველაზე დიდი მაღაზია.

მცირეოდნად დაზიანდენ ბანკისა და ელექტრო სადგურის შენობები.

შირაქის არხი და ჰიდროელსადგურის შენობა უვნებლად გადარჩენ.

წესრიგი ქალაქში

ლენინაკანი, 24 ოქტომბერი. კატასტროფის მომენტიდან დღემდე ქალაქში საუცხოვო წესრიგია. სინათლე, რომელიც ორი დღის განმავლობაში შეწყვეტილი იყო სადგურის დაზიანების გამო, დღეს უკვე აღდგენილია.

მუშაობა განახლდა

ლენინაკანი, 25 ოქტომბ. დღეს დაიწყო მუშაობა საფეიქრო ფაბრიკამ და ლუდისა და საპნის ქარხნებმა.

პატიმართა ევაკუაცია

ლენინაკანი, 25 ოქტომბ. ვინაიდან გამსახლის შენობა დანგრეულია, დღეს თბილისში გადაიგზავნა 44 პატიმარი.

შენობების შემოწმება

ლენინაკანი, 25 ოქტომბ. ტეხნიკურმა კომისიამ სახიფათოდ სცნო ცხოვრება გინეკოლოგიურ საავადმყოფოში, პროფბიუროს შენობაში, აიკოოპის ბაზისის კანტორებსა და საწყობებში, კოოპერატივ „ბოეცის" მაღაზიაში, სომხვაჭრობის ნაწილაების ქარხანაში, მეორე აფთიაქის შენობაში და გლეხთა ორსართულიან სახლში.



ერთ-ერთი დანგრეული ქუჩა ლენინაკანში

სკოლებში

ლენინაკანი, 25 ოქტომბ. საგანგებო კომისიის ბრძანებით მეცადინეობა სკოლებში ათი დღით შესწყდა.

ოქტომბრის ჯამაგირი

ლენინაკანი, 25 ოქტომბერი. დადგენილია, სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს დაუყოვნებლივ დაურიგდეს ოქტომბრის თვის ჯამაგირი.

ტეხნიკური კომისია

ლენინაკანი, 24 ოქტ. ჩამოვიდა ტეხნიკური კომისია დაზარალებული შენობების დასათვალიერებლად.

ნიადაგის რყევა გრძელდება

ლენინაკანი, 25 ოქტომბერი. ნიადაგის რყევამ თანდათანობით იკლო. გუშინ შემჩნეული იყო მხოლოდ ორი სუსტი ტალღა.

ერევანი, 25 ოქტომბერი. 22 ოქტომბერს, 19 და 23 საათზე ნიადაგის რყევა შემჩნეული იყო ელენოვკასა, ნორ-ბაიაზეთსა და დილიჟანში.

კიდევ მიწის ძვრა

ლენინაკანი, 25 ოქტ. 25 ოქტომბერს 18 და 19 საათს შორის აგტაბანის რაიონში მოხდა მიწის ძვრა.

დაზარალებული სოფლები

საგანგებო კომისიის ცნობა

ლენინაკანი, 25 ოქტომბ. საგანგებო კომისია აღნიშნავს, რომ სავსებით დანგრეულია 12 სოფელი, ნახევრად დანგრეულია 15 სოფელი. დანგრეულია ქალაქის ნაწილი, დანარჩენი შენობები დაზიანებულია. მოწყობილია რაზმები ზარალის სასწრაფოდ და სისწორით გამოსარკვევად.

ლენინაკანი, 24 ოქტ. დღემდე მიღებულ ცნობებით სრულიად დანგრეულია სოფლები: ალექსანდროვკა, დაარლი, ბაინდური, კიალალი, თავშანქიშლახი, არალი, ახაზარაპატი აგინი, ჰოლა-მუსა, ოსმალური კარაკლისა, ბაგლოლი, ოღროღლი, სვაზეიდი.

ნაკლებ დაზარალდენ სოფლები: ორთოკლისა, პატარა კარაკლისი, თოფარლი, კონარხანი, ხაპლი.

საქონლის დაღუპვა

ლენინაკანი, 24 ოქტ. მიწისძვრისაგან ყველაზე უფრო დაზარალებულ სოფლებში დაღუპა თითქმის მთელი მუშა საქონელი.

სასოფლო-სამეულები

ლენინაკანი, 24 ოქტ. მიწისძვრისაგან დაზარალებულ სოფლებში მოეწყო სამეულები, რომელთაც დაეკისრებული აქვთ მოსახლეობისათვის დახმარების საქმის მოგვარება. ამ სოფლებში დაინიშნა აგრეთვე თითო პასუხისმგებელი მუშაკი სამეულებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

დამხმარე კომისიები

ლენინაკანი, 24 ოქტომბერი. მიწის ძვრისაგან დაზარალებული მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად შესდგა შემდეგი კომისიები: სასურსათო, ადმინისტრატიული, ტეხნიკური და სანიტარული.

კატასტროფის მსხვერპლთა დაკრძალვა

ლენინაკანი, 24 ოქტ. დღეს მოხდა მიწისძვრისაგან დახოცილთა დაკრძალვა. თვით ქ. ლენინაკანში, დღემდე მიღებული ცნობებით, 15 მკვდარია.



ასაფლავებენ მიწისძვრის დროს დაღუპულებს

—:—

გამოზიდვის აკრძალვა

გზათა სახალხო კომისარიატის მე-3 უბნის რწმუნებულმა ამხ. მატინიანმა სომხეთის რკ. გზათა ხაზზე გამოსცა შემდეგი დეპეშა: „მთავრობის საგანგებო კომისიის დადგენილებით წინადადება გეძლევათ შეაჩეროთ ლენინაკანის მაზრის ფარგლებიდან სანოვაგის, მანუფაქტურის, ტანისამოსის, ფეხსაცმელების და საალმშენებლო მასალების გამოზიდვა გარდა ქვის მასალებისა".

რკინისგზის ზ'რალი

რა მდგომარეობაშია რკ. გზ. შენობები

რკ. გზ. დამცველ რაზმისაგან ა.-კ. რკ. გზათა სამართველომ მიიღო შემდეგი შინაარსის დეპეშა: რკ. გზ. დამცველი რაზმი მიწისძვრისაგან არ დაზარალებულა. შენობა რამოდენიმე ადგილას გასკდა. ქალაქში სრული წესრიგია. რკ. გზ ტეხნიკური შენობები გადარჩა.

ლენინაკანი, 24 ოქტ. ძლიერ არის დაზიანებული სადგურ აგინის სადგურის შენობა. მატარებლის სისწრაფე აგინი-ლენინაკანის შუა უდრის 5 ვერსტს საათში.

ლენინაკანიდან მიღებულ ცნობებით, რკინის გზის შენობები მნიშვნელოვნად არ დაზარალებულა მიწისძვრისაგან. სახაზინო შენობებს გაუფუჭდათ ღუმელები. 800 რკინისგზელი უბინაოდ დარჩენილი. ქალაქის მთელი მუშათა უბანი დანგრეულია. ა.-კ. რკინისგზათა გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ივანოვმა 24 ოქტომბერს განკარგულება გასცა გაიგზავნოს 50 ვაგონი უბინო რკინისგზელებისათვის. სად. ლენინაკანში იდგა 40 დატვირთული ვაგონი. რკ. გზ. გამგეობის წევრის ამხ. გვერდწითელის განკარგულებით გუშინ გაიცალა ვაგონები და გადაეცა რკინისგზელებს საცხოვრებლად. ამხ. ივანოვმა განკარგულება მისცა სათანადო სამსახურებს მიაწოდონ დაზარალებულ ხაზზე ფანჯრის მინები, ნავთი, შეშა და ტილო.

ამ ჟამად სწარმოებს ნანგრევთა გადათხრა. უკანასკნელის ცნობით დაღუპულთა რაოდენობა 400 აღწევს.

მიწისძვრის დროს, პარტსკოლაში მეცადინეობა სწარმოებდა. დაიღუპა ორი მსმენელი.



დახოცილ პირუტყვებს მიათრევენ (სოფ. დაგარლი)

დეპეშა მოსკოვიდან

ლენინაკანი, 25 ოქტომბ. ალმასკომის თავმჯდომარის სახელზე მოსკოვიდან მიღებულია შემდეგი დეპეშა:

„ამ დიდ უბედურებას და მძიმე განსაცდელს, რომელიც თავს დაატყდა ლენინაკანს და მის მაზრას, მწვავედ გრძნობს არა მარტო საბჭოთა სომხეთის, არამედ მთელი დიდი კავშირის მშრომელები. არც ისე დიდი ხანია, რაც ლენინაკანმა განიცადა ეხლანდელზე არა ნაკლები უბედურება და ნგრევა იმპერიალისტური ომის წყალობით. ლენინაკანის მშრომელებმა დაამტკიცეს, რომ მათთვის უცხოა სასოწარკვეთილება და შედარებით მოკლე ხანში თავდადებული შრომით და მთელი კავშირის დახმარებით მოიშუშეს ჭრილობები, აღადგინეს მაზრისა და ქალაქის დანგრეული მეურნეობა და მტკიცე საფუძველი ჩაუყარეს ახალ ცხოვრებას. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეხლაც ქალაქისა და მაზრის მშრომელნი, რომლებიც სიამაყით ატარებენ რევოლუციისა და მშრომელთა დიდი ბელადის სახელს, ყველა საბჭოთა რესპუბლიკების დახმარებით კიდევ უფრო ადვილად მოარჩენენ სტიქიის მიერ მიყენებულ ჭრილობებს.

ლენინაკანის მშრომელნო, ამხანაგებო მუშებო და გლეხებო, მხნედ და მტკიცედ მუშაობისაკენ. დეე, ნურც ადამიანთა სიავე და ნურც ბუნების ბრმა სტიქია გასტეხს თქვენს ნებისყოფას ახალი ცხოვრებისა და სოციალიზმის მშენებლობის საქმეში".

ენუკიძე, ალამალი-ოღლი, ორჯონიკიძე, კიროვი, ორახელაშვილი, ნაზარეტიანი, მუსაბეკოვი, ლუკაშინი, მახარაძე, ელიავა, ყარაევი, მირზოიანი, ქართველიშვილი, კახიანი, ტერ-გაბრიელიანი".

საქართველოს მთავრობის დეპეშა

საქართველოს მთავრობის სახელით სომხეთის მთავრობას შემდეგი დეპეშა გაეგზავნა:

საქართველოს მთავრობა თქვენთან ერთად ღრმად დამწუხრებულია სომხეთის ხალხის უბედურების გამო. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ სომხეთის ხალხი გმირულად გადაიტანს ამ უბედურებას და სტიქიონის გამანადგურებელ ძალას დაუპირდაპირებს თავის გამობრძმედილ ნებისყოფას შემოქმედებითი მუშაობისათვის სოციალისტური სომხეთის აღსადგენად.

საქართველოს სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ჟუღელი.

აზერბეიჯანის ცაკისა და სახკომსაბჭოს მოწოდება

ბაქო, 24 ოქტომბერი. აზერბეიჯანის ცაკმა და სახკომსაბჭომ აზერბეიჯანის მშრომელთ მიმართეს შემდეგი მოწოდებით:

„სომხეთის მშრომელთ თავს დაატყდა დიდი, მოულოდნელი უბედურება. მიწის ძვრამ დაანგრია სომხეთის სამრეწველო ცენტრი და აურაცხელი ზარალი მიაყენა ლენინაკანს ახლო მდებარე სოფლებს. ათასობით ოჯახი შემოდგომის სუსხიან დღეებში დარჩა უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ. საჭიროა სწრაფი და გადაუდებელი დახმარება სომხეთის განადგურებულ გლეხობისათვის.

აზერბეიჯანის ცაკი და სახკომსაბჭო მიმართავს აზერბეიჯანის მშრომელთ და მთელ მოსახლეობას მოწოდებით ფართო, ძმური დახმარება აღმოუჩინონ მიწის ძვრით დაზარალებულ მოსახლეობას. მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთა ძმური დახმარებით, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოვაშუშოთ ამ ბრმა სტიქიის მიერ სომხეთის მუშებისა და გლეხებისათვის მიყენებული ჭრილობა.

ყველამ იჩქარეთ დახმარება".

ამხ. ხანოიანის ცნობა

24 ოქტომბერს, ღამის 10 საათზე სომხეთში მყოფ ა.-კ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. ს. ხანოიანი პირდაპირი მავთულით ესაუბრა ამხ. ამხ. გუსეინოვს, იაკუბოვს და ლევაშოვს და მიწისძვრის შედეგების შესახებ გადმოსცა შემდეგი ცნობები:

„დამატებითი მუშაობის გეგმა გამომუშავებულია. პურის ცხობის საქმე ფართოვდება. ყველა სოფლებში გახსნილია საკვები პუნქტები. გარდა სანოვაგისა მოსახლეობა საჭიროებს დახურულ ბინებს. საჭიროა ხე-ტყის მასალები დროებითი ფარდულების ასაგებათ.

15 სოფლის მოსახლეობა, ცოლშვილით და შინაურ სარჩო-საბადებლით ღია ცის ქვეშ არის დარჩენილი. არ არის არსად მათთვის თავშესაფარი. მოსახლეობის ერთად-ერთი თხოვნაა ბინის აღმოჩენა. მოახლოებული ზამთარი მათ მძიმე პირობებში აყენებს. განმეორებით გაცნობებთ, რომ პირველ რიგში საჭიროა საალმშენებლო მასალების და ხელოსნების გადმოგზავნა.

ქალაქში სამაგალითო წესრიგი სუფევს. არავითარ ძარცვას ადგილი არ ჰქონია. უცხოელებთაგან არავინ არ დაზარალებულა".

საუბარი ამხ. ხანოიანთან

გუშინ, ლენინაკანიდან დაბრუნდა ა.-კავკასიის მთავრობის მიერ მიწისძვრისგან დაზარალებულ რაიონში გაგზავნილი კომისიის თავმჯდომარე ამხ. ხანოიანი, რომელმაც ჩვენს თანამშრომელს შემდეგი გადასცა დაზარალებულ რაიონში ნახულ სურათების შესახებ:

„—ლენინაკანში ჩასვლისას ჩვენ მოწამენი გავხდით შემაძრწუნებელი სურათის. პანიკით მოცულ მოსახლეობას ღია ცის ქვეშ მოეყარა თავი. ირგვლივ საშინელი სურათი იყო. გამოირკვა, რომ გარდა ლენინაკანისა დაზარალებულია 25 სოფელი. სულ დანგრეულია 5.501 სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა 26.504 მცხოვრები. თვით ლენინაკანში ითვლება 3.831 სახლი და 56.000 მცხოვრები.

ლენინაკანი მთლიანათაა დაზიანებული. არცერთი მთელი სახლი არაა გადარჩენილი. განსაკუთრებით დიდია ზარალი განაპირა უბნებში, სადაც ღარიბი მოსახლეობა ცხოვრობს. ზოგიერთ ქუჩებზე გავლა შეუძლებელია, რადგან მთელი ქუჩა ნანგრევებითაა სავსე.

მიწისძვრის პირველ დღეებში ქალაქში ცხოვრება სრულებით მისწყდა. სინათლე არ იყო და მაღაზიები არ იღებოდა. ქალაქი წარმოადგენდა ფანტასტიურ სურათს. სადღაც ცალკე ფერადი ხეებიდან და ტილოებისგან აუგიათ ახალი ქალაქი. ზოგიერთს საწოლებისგან და შინაური დგამიდან მოეწყო დროებითი საცხოვრებელი ბინა.

ამჟამად ლენინაკანი ცხოვრობს ცის ქვეშ, კარვებში.

არა ნაკლებ შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენენ დანგრეული სოფლები. განსაკუთრებით დაზარალდა 12 სოფელი. გლეხობის მთელი ქონება დარჩა ნანგრევების ქვეშ. დაიღუპა დიდძალი მუშა-საქონელი.

დახმარების საქმე უკვე მოეწყო. სწარმოებს დაღუპულთა გვამების გამოტანა. დაღუპულთა უმრავლესობას შეადგენენ მოხუცები და ბავშვები. ასე მაგალითად, სოფ. დაარლში დაიღუპა მთელი ოჯახი, 13 სული, გადარჩა მხოლოდ სამი.

მცხოვრებლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად არჩეულია მრავალი კომისია—ადმინისტრატიული, სასურსათო, ტეხნიკური და საექიმო. ყველა კომისიები ერთი-მეორეზე უფრო მეტ ენერგიას იჩენენ დახმარების საქმეში. მთელ მუშაობას ხელმძღვანელობს საგანგებო კომისია შვიდი კაცის შემადგენლობით. ამ კომისიაში შედიან როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების და წითელი არმიის წარმომადგენლები.

მოწყობილია საკვები პუნქტები, საექიმო პუნქტები და სხვა. ყველა ეს დაწესებულებები მოთავსებულია ღია ცის ქვეშ. შემდგარია ცალკე ტეხნიკური კომისია, რომელიც აწარმოებს მთელი ზარალის აღრიცხვას.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მთელ ამ გრანდიოზულ მუშაობაში დაცულია საუცხოვო წესრიგი და ადგილი არა აქვს არავითარ ბოროტმოქმედებას. სოფლებში მოწყობილია სამეულები, რომლებიც ხელმძღვანელობენ დახმარების საქმეს ადგილებზე. **როგორც სომხეთის, ისე საქართველოს მთავრობებმა ენერგიული ზომები მიიღეს დაზარალებულთა დასახმარებლათ. პირველი დახმარება მიაწოდა დაზარალებულებს საქ. ჯანსახკომმა, წითელმა ჯვარმა და თბილისის ალმასკომმა. უნდა აღინიშნოს თბილისის ცეცხლისმქრობელთა რაზმის გმირული თავდადება. ისინი ყველგან და ყოველი ზომებით ეხმარებოდენ დაზარალებულებს.**

ამიერ-კავკასიის მთავრობის უახლოეს მიზანს შეადგენს მიწისძვრის რაიონში საალმშენებლო მასალის გაგზავნა და ნახევრათ და სრულიად დანგრეული შენობების აღდგენა.

საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქარდეს იქ ბინების მშენებლობა, რომ მომავალი სიცივეებისთვის მაინც ხალხი არ დარჩეს თოვლს ქვეშ.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

სანაინში

სანაინი, 24 ოქტ. მოწამეების სიტყვით, ლენინაკანის სადგური არ დაზიანებულა. ქალაქში ბევრი სახლია დანგრეული. ბევრია კაცის მსხვერპლიც. დანგრეულია სადგური ბაიანდური. სადგურის მახლობელ სოფლებში არის მსხვერპლი. ბაიანდურში გაიგზავნა სანიტარული მატარებელი. ლენინაკანში დანგრეულ სოფლებიდან ჩამოიყვანეს დაჭრილები. მთავრობა სასწრაფო ზომებს იღებს დაზარალებულთა დასახმარებლად. დაწვრილებით ლენინაკანიდან გაცნობებთ.

დაზარალებულ რაიონებში

ლენინაკანი, 25 ოქტ. დაზარალებულ სოფლებში განუწყვეტლივ იგზავნება სურსათ-სანოვაგე. არმია მცხოვრებლებს აწვდის პურს. დაზარალებულ სოფლებში გაიგზავნა ათი მოძრავი სამზარეულო, გრძელდება ნანგრევების გათხრა ცეცხლისმქრობელი რაზმების და წითელარმიელთა ნაწილების მიერ.

ქალაქში დაწესებულებების ნაწილი დღეს მუშაობს. მოსახლეობის მეტი ნაწილი კიდევ კარვებში იმყოფება. გუშინ მუშაობდა ელექტროსადგური, დღეს ამუშავდა საფეიქრო ფაბრიკა და დეპო.

მოდის დახმარების სახით სურსათ-სანოვაგე, მედიკამენტები, თეთრეული.

ბაქოდან ჩამოვიდა „ნახევარ მთვარის" რაზმი.

ქალაქში ყოველდღე გამოდის ბიულეტენი. ზარალის რაოდენობა ზეგ გამოირკვევა.

მუშაობას კავშირის აღსადგენად ხელმძღვანელობს პირადათ ამხ. ყამარაული.



ამხ. ერზიკიანი

სომხეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი, მიწისძვრის რაიონში გაგზავნილ საგანგებო სამეულის თავმჯდომარე

ა.-კ. სახკომსაბჭოს კომისია

ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭოსთან ამხ. ჰუსეინოვის თავმჯდომარეობით მოეწყო დროებითი კომისია ლენინაკანში მიწისძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

დახმარება დაზარალებულთ

40.000 მან. თბილისის ალმასკომისაგან

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მიწისძვრისაგან დაზარალებულ ლენინაკანის სასარგებლოდ გაიღოს 40 ათასი მანეთი.

აზერბეიჯანის დახმარება

ბაქო, 25 ოქტომბერი. სომხეთის მშრომელთა თავზე დატეხილ უბედურებით ღრმესად დამწუხრებული აზერბეიჯანის სახელმწიფო, პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები იწყობენ ფართო დახმარებას მიწის ძვრით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური და ბაქოს კომიტეტებმა, ცაკმა, სახკომსაბჭომ, აზერბეიჯანის პროფსაბჭომ და ბაქოს ქალაქის საბჭომ გამოუშვეს მოწოდება დახმარების აღმოჩენის შესახებ.

აზერბეიჯანის სახკომსაბჭომ, პროფსაბჭომ და ბაქოს ქალაქის საბჭომ სომხეთის ცაკისა, სახკომსაბჭოს, პროფსაბჭოს და აგრეთვე, ლენინაკანის სამაზრო ალმასკომის სახელზე გაგზავნეს დეპეშა, რომელშიც გამოსთქვამენ რწმენას, რომ მჭიდრო კავშირით საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელებთან შესძლებს სომხეთის მშრომელი მასა სწრაფად აღადგინოს მიწის ძვრით დანგრეული მხარე.

აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხების პირველი დახმარების სახით, აზერბეიჯანის სახკომსაბჭომ გაგზავნა 50.000 მან., ხოლო ბაქოს ქალაქის საბჭომ — 10.000 მან. წითელი ნახევარმთვარე ლენინაკანში გზავნის საექიმო - საკვებ რაზმს.

შემდეგში სისტემატიური დახმარების გასაწევად, აზცაკთან შექმნილია საგანგებო კომისია. მაზრებშიც იწყობა სათანადო სამაზრო კომისიები.

ბაქო, 25 ოქტომბერი. ბაქოს საბჭოდან მიღებულია დეპეშა, სადაც საბჭო თანაგრძნობას უცხადებს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა და აცნობს, რომ საბჭომ წინასწარ 10.000 მანეთი გადასდო დაზარალებულთათვის პირველი დახმარების აღმოსაჩენად. ბაქოს საბჭომ გამოჰყო განსაკუთრებული კომისია შემდგომი დახმარების აღმოსაჩენად.

აზერბეიჯანის სახ. კომისართა საბჭომ გამოჰყო სპეციალური რესპუბლიკანური კომისია, მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

აზერბეიჯანის წითელი ნახევარმთვარე ლენინაკანის მაზრაში თავის რაზმს ჰგზავნის დასახმარებლად.

სომხეთის დივიზიის დეპეშა

ლენინაკანი, 25 ოქტ. სომხეთის დივიზიიდან მიღებულია თანაგრძნობის დეპეშა და ცნობა, რომ გამოგზავნილია 132 კარავი.

ამერიკული კომიტეტის დახმარება

გუშინ, ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს, ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკულ კომიტეტის თბილისის განყოფილების დირექტორმა მოქ. ელმერმა განაცხადა შემდეგი:

„მიწისძვრის შესახებ, ცნობის მიღებისთანავე ჩვენ გავგზავნეთ დეპეშა ლენინაკანში, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია.

მხოლოდ გუშინ მივიღეთ წერილი ჩვენი წარმომადგენლისაგან რკ. გზაზე, რომელმაც გვაცნობა, რომ ჩვენს ჰოსპიტალებში, რომლებიც მდებარეობენ ლუკაშინის საიუშაგოზე და პოლიგონში, დაჭრილების ყველაზე უფრო მეტი რაოდენობაა მოთავსებული. ჩვენი ჰოსპიტალები ყველაზე უფრო დიდ საავადმყოფოებათ ითვლება მთელ რაიონში.

ამერიკული კომიტეტის ფურნეები აცხობენ პურს თითქმის მთელი ქალაქისათვის. ამერიკულ კომიტეტის ერევნის განყოფილების დირექტორი მოქ. ბიჩი გაემგზავრა ერევნიდან ლენინაკანში.

კომიტეტის კანტორის შენობა გაიბზარა. თანამშრომელნი არ დაშავებულან.

პასუხის მიღებისთანავე,—განაცხადა დასასრულ მოქ. ელმერმა,—ამერიკელთა კომიტეტის თბილისის განყოფილება გამოიმუშავებს მთელ რიგ ღონისძიებებს დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად".

ნიუ-იორკი, 25 ოქტ. ახლო აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტმა ლენინაკანში დაზარალებულთა სასარგებლოდ გადაუგზავნა 5000 დოლარი.

10.000 მან. სომხეთისათვის რ. ს. ფ. ს. რ.-ის წითელი ჯვრისაგან

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა სასწრაფოდ გადაუგზავნა სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას 10.000 მან. მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად.

საექიმო რაზმები

ლენინაკანი, 24 ოქტ. დღეს ერევნიდან ჩამოვიდა ორი საექიმო რაზმი.

ამავე დროს ჩამოვიდნენ სომხეთის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მრავიანი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ლაზარევი და სხ. პასუხისმგებელი მუშაკები. მათი ჩამოსვლის მიზანია უშუალო მონაწილეობა მიიღონ დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეში.

საუბარი ამხ. გუსეინოვთან

ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭოს მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარემ ამხ. გუსეინოვმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„ლენინაკანიდან დაბრუნებულმა ამ.-კავკასიის ცაკის კომისიის წევრებმა ამხ. ხანოიანმა, ნაჯაფოვმა და ტერ-გაზარიანმა დაწვრილებით მოხსენება გააკეთს. ირკვევა, რომ მიწის ძვრისაგან ზარალი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მოველოდით. სრულიად დანგრეულ 12 სოფლის გარდა დაზარალდა აგრეთვე 15 სოფელი. უსახლკაროდ და ნახევრად დანგრეულ ბინებით დარჩენილ მოქალაქეთა რიცხვი უდრის არა 16.000, როგორც ამის შესახებ წინად იყო ცნობა, არამედ 50.000-ზე მეტს. სახკომსაბჭოს კომისიამ დაადგინა: ეთხოვოს ა.-კ. ცაკს შეაჩეროს ყოველნაირი გადასახადების აკრეფა ლენინაკანში და მიწისძვრის მთელ რაიონში.

გაცემულია განკარგულება ლენინაკანის სალაროს ფულის საშუალებების გასაძლიერებლად და სახელმწიფო მოსამსახურეებისათვის მთელი თვის ხელფასის მიცემის შესახებ. გარდა ამისა გაცემულია განკარგულება, რომ ლენინაკანის მაზრას მიეცეს ხვედრი სუბვენციის ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტის მიხედვით.

ამ.-კავკ. სახკომსაბჭოს კომისიამ ყოველგვარი ზომები მიიღო რათა ლენინაკანს სასწრაფოდ მიაწოდონ საშენი მასალა (ტყის მასალა, მინები, ლურსმანი, სახურავი რკინა და სხ.) და აგრეთვე კვალიფიციური მუშების საკმაო რაოდენობა. აქედან იგზავნება ყველაფერი, რისი მარაგიც კი მოიპოვება. გამოთხოვილია საშენი მასალა აგრეთვე მოსკოვიდანაც. იგზავნება კარვების დამატებითი პარტია და ბრეზენტების დიდი რაოდენობა. ზამთრის მოახლოვების გამო უმთავრეს საკითხს წარმოადგენს მოსახლეობის პრიმიტიული საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა. ამ მიზნით ერევნიდან გაიგზავნა მთავრობის ტეხნიკური კომისია. ტეხნიკური კომისია იგზავნება აგრეთვე ჩვენ მიერაც ამხ. ასრიევის მეთაურობით, კომისიის შემადგენლობაში შედიან ინჟინრები: ტერ-მიქაელიანი, ლეჟავა, მამედბეკოვი და ქურდიანი. ჩვენი კომისია იმუშავებს სომხეთის მთავრობის კომისიასთან ერთად.

ჩვენ მივიღეთ ცნობები, რომ აზერბეიჯანში და საქართველოში მოეწყო მთავრობის კომისიები დახმარების გასაწევად.

ყოველივე ეს გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ჩვენ უსათუოდ შევსძლებთ ამ საშინელი უბედურებით გამოწვეულ შედეგების სასწრაფოდ გაქარწყლებას და დაზარალებულ რაიონების მოსახლეობის დახმარებას, რომ დროზედ აღადგინოს თავისი მეურნეობა.

საქ. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობა

23 ოქტომბერს

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფმა 23 ოქტომბრის დილის 9 საათიდან 24 ოქტომბრის დილის 9 საათამდე აღნიშნა 10 მსუბუქი მიწისძვრა.

მათ შორის ძლიერი ძვრა მოხდა 13 ს. 30 წუთზე და 15 საათ. 12 წუთზე.

24 ოქტომბერს

24 ოქტომბერს დღე-ღამის განმავლობაში, 25 ოქტომბრის დილის 9 საათზე აღნიშნულია 2 მსუბუქი მიწისძვრა.

გუშინ

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა გუშინ დღის 17 საათსა და 2 წუთზე აღნიშნეს მიწის ძვრა.

მიწისძვრის ადგილი დაშორებულია თბილისიდან დაახლოვებით 70 კილომეტრის მანძილით.

მიწის ძვრა შემჩნეული იყო ქალაქის მოსახლეობის მიერაც.

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, აღნიშნული მიწისძვრა ბევრათ უფრო სუსტი იყო.

ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს სად. სანაინის უფროსმა აცნობა, რომ აღნიშნული მიწისძვრა ძლიერი იყო სანაინში.

მიწის ძვრა ოსმალეთში

ამ.-კავკ. რკინის გზების სამმართველოში მიღებულ ცნობებით შედარებით, უფრო ძლიერი მიწისძვრა მომხდარა ყარსისა და სარაყამიშის რაიონში. თვით ქალ. ყარსში დანგრეულია ქალაქის ცენტრალური და აზიური ნაწილი. მსუბუქათ დაზარალებულია ქალაქის ევროპიული ნაწილი.

ქალ სარიყამიში სრულებით დანგრეულია. მოსახლეობის ზარალი დიდია. დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა გამოურკვეველია.

რამოდენიმე სოფელი აღნიშნულ რაიონებში განადგურებულია.

მიწისძვრის შემდეგ

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

ლენინაკანი, 24 ოქტ. ჩავედით დილის 4 ნახ. საათზე. დავათვალიერეთ ქალაქი. მოსახლეობა სახლებიდან გაქცეულია. ქალაქის ბაღებში, რკინის გზის სადგურის ახლო და ირგვლივ სხვა ადგილებზე გამართულია კარვები, ჩოხებისა, საბნებისა და ზოგან ზეწრებისაგანაც. სახლებიდან გაქცეული ხალხის უმრავლესობა ასეთ კარვებშია მოთავსებული. არიან ისეთებიც, რომლებსაც კარვები არ აქვთ. ჯერ კიდევ ბნელა. კარვების გარშემო გაჩაღებულია ცეცხლი. საკმაოდ ცივა და ხალხი ბევრი ეხვევა ცეცხლს. ქალაქის ზოგიერთ ადგილებზე ხალხს სახლებიდან ტახტები გამოუტანია, ქუჩაში დაუდგამს და სძინავს ორ-ორს, ზოგჯერ სამ-სამს ერთად. ქუჩებში ამხანაგების რაზმი დადის, რომელიც არ აძლევს ნებას არავის შევიდეს ბინებში. როგორც ჩანს დაზიანებულია შენობების საგრძნობი რიცხვი. ზოგიერთ ქუჩებზე გავლა შეუძლებელი ხდება, რადგანაც ქუჩა ავსილია შენობების ნანგრევებით. სიბნელის გამო ვერ ვარკვევთ ზარალის სიდიდეს. სურსათ-სანოვაგე ქალაქში გასასყიდათ არ იშოვება. გათენებამდე ვარჩევთ ისევ სადგურში დაბრუნებას.

სადგურში ვგებულობთ, რომ მოძრაობა ლენინაკან-ერევანს შუა აღდგენილია. რკინის გზის სადგურის შენობები დაზიანებული არ არის, გარდა არპაჩაისა და ბაიანდურისა, რომლის შესახებ გუშინდელ დეპეშით გატყობინებდით.

ლენინაკანში ჩამოვიდა თბილისიდან ამხ. ხანოიანი, გრ. კუჭაიძე, ვალ. ვაშაკიძე, გ. ჩხეიძე, გ. ქავთარაძე (რკ. გზ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე) და სხვები. გუშინ ჩამოსულა წითელი ჯვრის საექიმო რაზმი ამხ. ყორყოლიანისა და ოქროპირიძის მეთაურობით და რკინის გზის საექიმო პერსონალი, რიცხვით 24 კაცი. ჩამოვიდა აგრეთვე თბილისის მეხანძრეთა რაზმი 56 კაცი ამხ. ბერიძის მეთაურობით.

ერევნიდან ჩამოვიდა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ერზინკიანი, რომელიც მეთაურობს საგანგებო სამეულს.

როგორც ამბობენ ქალაქში თითქმის ყველა შენობები დაზიანებული არის, მსხვერპლის რაოდენობა საბოლოოდ გამორკვეული არ არის. ჯერ-ჯერობით ასახელებენ დახოცილთა რიცხვს 800-მდე, დაჭრილთა 850-მდე, ხოლო სიცივისა და სხვა მიზეზების გამო ახლად ავად გამხდართა რიცხვი 500-მდე აღწევს.

გათენებისას ქალაქს დაწვრილებით დავათვალიერებთ და დეპეშით გაცნობებთ.

ლენინაკანი, 24 ოქტომბერი. დილის 8 საათი. ეს არის დავათვალიერეთ ქალაქი. შენობების დიდი ნაწილი დაზიანებულია. მოსახლეობა გარედ არის ბაღებში და მინდორში, როგორც წინა დეპეშაში გატყობინებდით. სახლებში შესვლას ვერავინ ჰბედავს, მაგრამ გამოცემულია მაინც სავალდებულო დადგენილება, რომელიც უკრძალავს ყველას შენობაში შესვლას. ქალაქში სრული წესრიგია, რომელსაც იცავენ ჯარის ნაწილები და მილიცია. № 26. გვხვდება ჩამონგრეული სახლები და ქვის კედლები, ასეთივე სურათია 22 და 25 ნომერ ქუჩაზე, ხოლო მეცხრამეტე ქუჩაზე გავლა შეუძლებელია, რადგანაც შენობების ნანგრევებით გზა სრულებით ჩახორგილია. ქალაქში მოწყობილია დამატებითი ლაზარეთები. წითელი ჯვრის რწმუნებულ ამხ. ყორყოლიანთან საუბარში ვტყობილობ, რომ ლენინაკანის ირგვლივ სოფლებში დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად გაგზავნილია 9 საექიმო რაზმი, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. მძიმე დაჭრილები და დასახიჩრებულები იგზავნებიან ლენინაკანის ლაზარეთებში, დანარჩენებს რაზმი დახმარებას ადგილობრივ უწევს.

მივემგზავრებით ყველაზე მეტად დაზარალებულ სოფლების დასათვალიერებლად.

საჭიროა სასწრაფო დახმარება, საველე კარვები, სურსათ-სანოვაგე.

ლენინაკანი, 24 ოქტომბერი. დღის პირველი საათი. ეს არის დავბრუნდით სოფლების, უკეთ რომ ვსთქვათ სოფლების კი არა ნანგრევების დათვალიერების შემდეგ. სურათი შემაძრწუნებელია. ლენინაკანის მდგომარეობა მონაგონი არ არის ზოგიერთ სოფლებთან შედარებით. კატასტროფა—აი არსებულ მდგომარეობის სრული გამოხატულება.

ჩვენ სახელდახელოთ, ავტომობილით დავათვალიერეთ სოფლები სომხური ალექსანდროვკა, დაგარლი და ბაინდური. არც ერთ სოფელში მთელი შენობა არ მოიპოვება. სოფელი დაგარლი და ბაინდური მიწასთან არის გასწორებული. მსხვერპლი დიდია. ალექსანდროვკაში ამოღებულია ნანგრევებიდან 20 გვამი, დაჭრილ-დასახიჩრებულია 85 კაცი, მსუბუქად დაჭრილთ მხედველობაში არავინ იღებს. დანგრეულია ეკლესიის კაპიტალური ქვის შენობა. მიწა ბევრგან გახეთქილია. სოფელ დაგარლიში გრძელდება გვამების ამოთხრა ნანგრევებიდან. მუშაობას ადგილობრივ გადარჩენილ მოსახლეობასთან ერთად აწარმოებს მეხანძრეთა რაზმი ამხ. ბერიძის მეთაურობით. აქ ამოღებულია ჯერჯერობით 88 გვამი. ამოღება გრძელდება. დაჭრილთა რიცხვი ამ სოფელში 40-მდე აღწევს. ასეთივეა სურათი ბაიანდურშიც. გადარჩენილი გლეხობა ღია ცის ქვეშ იმყოფება. საექიმო დახმარებას უწევენ, როგორც თბილისიდან ჩამოსული, ისე ადგილობრივი და ერევნიდან ჩამოსული მედპერსონალი. გლეხობა დიდი მადლიერია წითელ-არმიელთა, განსაკუთრებით მეხანძრეთა ნაწილების, რომლებიც პირველ უბედურებისთანავე გამოვიდენ საშველად სოფლებში.

ნანგრევებს ქვეშ მოყოლილია გლეხების მთელი ქონება, სურსათ-სანოვაგე, პურეული, კარტოფილი და სხვა. მოყოლილია აგრეთვე შინაური ცხოველებიც: ძროხა, ხარი და ფრინველები. დანგრეულია წისქვილები. დაზარალებულ გლეხობას სჭირია დახმარება სურსათ-სანოვაგით, ტანსაცმელით, კარვებით. ადგილობრივი რესურსები საკმარისი არ არის, საჭიროა დახმარება ცენტრიდან.

მსხვერპლის ასეთი დიდი რაოდენობა აიხსნება შემდეგი გარემოებით: გლეხობის უმეტეს ნაწილს ეძინა, როდესაც მეორე ძლიერი მიწის ძვრა მოხდა. პირველი კი იმდენად სუსტი იყო, რომ ბევრს არც კი გაუგია. სახლების დიდი ნაწილი დანგრეულია მეორე შერყევის დროს. ნანგრევებს ქვეშ მოჰყოლია მძინარე ხალხი, განსაკუთრებით ბავშვები. ასე მაგალითად ალექსანდროვკაში ნანგრევებს ქვეშ მოყოლილთა შორის 14 ბავშვია. გლეხობის ის ნაწილი, რომელმაც მოასწრო სახლების დატოვება და გარედ გაქცევა ნიადაგის მეორეჯერ შერყევის შემდეგ გაექანა ნანგრევებს ქვეშ მოყოლილთა საშველად. მიუხედავათ იმისა, რომ მათ თავზე ადგა ნახევრად ჩამონგრეული კედელი ისინი მაინც მუშაობდენ და თხრიდენ ნანგრევებს, რათა მათ ქვეშ მოყოლილები გადაერჩინათ. ამ დროს მომხდარა მესამე და ნიადაგის ყველაზე უფრო ძლიერი შერყევა, რომელსაც მთელი სოფლები ნაცარ-მტვერად უქცევია. ზოგან ნანგრევებს ქვეშ მოჰყოლია მთელი ოჯახი, ზოგან გადარჩენილა ბავშვი, ხოლო მშობლები დახოცილა. ერთ ოჯახში მამას მოუსწრია ორი ბავშვის ცოცხლად გამოთრევა ნანგრევებიდან, ხოლო ორი, დაქცეული ქვის კედლებს გაუჭყლეტია. ასეთია ზერელე შეხედვითაც კი ის შემაძრწუნებელი სურათი, რომელიც თვალ-წინ გადაიშალა დანგრეულ სოფლების დათვალიერების დროს.

შემდეგ დეპეშით გაცნობებთ, რა ზომებია მიღებული უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობის გადასარჩენად სიმშილისა და სიცივისაგან.

ნიადაგის რყევა, როგორც ჩანს დამთავრდა, თუმცა გლეხების გადმოცემით გუშინ მთელი დღე და წუხელი ღამითაც ხან გამოშვებით კიდევ იყო შესამჩნევი ნიადაგის მსუბუქი რყევა.

ლენინაკანი, 24 ოქტომბერი. 2 საათი. სპეციალური ტეხნიკური კომისია შეუდგა სახელმწიფო დაწესებულებათა და კერძო შენობების დათვალიერებას, იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად სავარგისია ეს შენობები საცხოვრებლად. სამეულის თავმჯდომარის ამხ. ერზინკიანის მიერ გაცემულია განკარგულება დღეს ორი საათიდან სავაჭროების გაღების შესახებ. ყველა დაწესებულებებს და კერძო პირებს წინადადება მიეცათ დაიჭირონ თავიანთი ბინები, მას შემდეგ, რაც ისინი ცნობილ იქნებიან სავარგისად. ქალაქი თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება. იყიდება პური, ხორცი, ხილეული. სოფლებში გაიგზავნა ფქვილი. სოფლებში ეწყობა სასურსათო პუნქტები, საიდანაც დაზარალებულთ მისცემენ ჩაის, შაქარს და პურს.

თბილისიდან მიღებულია თეთრეული და მედიკამენტები. ამხ. ერზინკიანმა დაათვალიერა შირაქის არხი, ელსადგური, რომელიც ეხლა შენდება. დაზიანებული არც ერთი არ არის. მცირეოდენი ზიანი მიწის ძვრამ მიაყენა საქსოვ ქარხანას; მიღებულია ზომები მის შესაკეთებლად.

200 დაჭრილი იგზავნება თბილისში.

წესრიგი ქალაქში იმ თავითვე არ დარღვეულა იმ მხრით, რომ რაიმე ყაჩაღობას, ძარცვა-გლეჯას ადგილი არ ჰქონია.

ვ. გ.

კატასტროფის ადგილზე

გლეხების ნაამბობი

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კატასტროფა...

სხვაგვარად არ შეიძლება იმის გამოხატვა, რაც ორიოდე დღის წინ ლენინაკანში, ან უკეთ მის გარშემო მდებარე სოფლებში მოხდა.

დაზიანდა ქალაქი, განადგურდა სოფლები, ნაცარ-ტუტად იქცა რამოდენიმე ათასი გლეხის სახლ-კარი, ნაშრომ-ნაამაგარი. ერთი მინუტის, ან შეიძლება კიდევ უფრო ნაკლები დროის განმავლობაში გაანადგურა ბუნების საშინელმა კაპრიზმა ის, რაც ადამიანის გამრჯე ხელს ათეულ წლებით წელ მოხრილი, მუყაითი და ოფლით განბანილი შრომით შეუქმნია და აუგია.

განადგურდა და... ათასეული ოჯახი, ზამთრის კარზე, შემოდგომის სუსხიან ყინვიან ღამეებში ღია ცის ქვეშ დაყარა მინდორზე.

ეს კიდევ უბედურების ნახევარია.

ვინც დარჩა კვლავ შრომას წაუწევს კისერს, კვლავ გაიკაფავს ცხოვრების ეკლიან გზას, ეწევა რამეს და იქნებ როგორმე, ძმური დახმარებისა და გაწვდილი ხელის საშუალებით, კვლავ გამოილოს ხელი, კვლავ გააჩაღოს კერაზე ცეცხლი და სახურავებზე აბოლოს კვამლი.

ამას ძალუძთ ისინი, ვინც დარჩა, ვინც გარისხებულ ბუნების ხახას გადაურჩა.

იმათ კი რაღა ეშველებათ ნანგრევებს შორის რომ სამუდამოთ დაუხუჭა თვალი.

იმათ რაღა ქნან, ვისაც საკუთარ ხელით აგებულმა კედლებმა გაუჭეჭყეს თავი უწყალოდ. ცოტა მაინც იყოს მათი რიცხვი, ან ბავშვები არ სჭარბობდეს მაინც მათ შორის.

არ მჯეროდა თბილისიდან რომ გამოვედით, თუმცა მატარებელზე ბილეთები არ მოგვცეს ლენინაკანამდე, მხოლოდ სანაინამდის გაგვიხსნეს გზა, მაგრამ მე არც სხვებს არ სჯეროდათ, რომ ლენინაკანამდე გზა თავისუფალი არ იყო.

მატარებელში ყველას მიწის ძვრა ეკერა პირზე. ყველა ამბობდა ამბებს, და ყველას ამბავი, მათი რწმენით, ახალი იყო, სარწმუნო, მეგობრის თვალით ნახული და უტყუარი. და რამდენიც „სარწმუნო" იყო მოთხრობა, იმდენი ერთი მეორის საწინააღმდეგო ამბებს ვღებულობთ.

— ლენინაკანი დანგრეულია, სადგურები ალაგეზი, ბაიანდური, მიწასთანაა გასწორებული—ცხარობდა ერთი.

— სულ ტყუილია. შერყა მიწის კანი, რა უთუ მერე. ასე ყოველწლიურად ხდება ხოლმე ლენინაკანის მიდამოებში. არაფერიც არ მომხდარა, ისე ჩავალთ ლენინაკანში თითქოს იქ არაფერი მომხდარა—აბათილებდა მეორე მის აზრს.

ნამდვილი ამბავი კი არავინ იცოდა და მოუთმენლად ელოდა ყველა სანაინის ნახვას.

სანაინში არ დაგვაკავეს. მატარებელი ჩვეულებრივზე შენელებული ტემპით წავიდა, მაგრამ წავიდა მაინც და აი, დილის 4 ნახ. საათზე ჩვენ უკვე დავაბიჯეთ ფეხი იმ მიწას, რომელიც გუშინ შიშის ზარს გვრიდა ქალაქ ლენინაკანს.

მთვარე გადმოსდგომია მას თავზე. მოწმენდილ ცაზე დიდ ფანარსავით ჩამოკიდულა ის და ანათებს მკრთალად.

მის სინათლეზე თვალს ავლებ ქალაქს მოუთმენლად და ცდილობ დაინახო წაზნექილი სახლები, ჩამონგრეული სახლები, ნანგრევები და მის ძირს სხვა შედეგები, ძალას ატან მხედველობას, მაგრამ ჯერ თვალი ვერ არჩევს მაინც ვერაფერს.

ჩვეულებრივია ჯერ ყველაფერი. ფუსფუსებს ხალხი სადგურის ბუფეტში, [illegible] ორთქლმავალი ლიანდაგზე, სდგანან მეეტლეები სადგურის წინ და ხმიანებს ქალაქს, ისევე როგორც ყოველთვის.

პირველი შეხედვით თითქოს არაფერი მომხდარა, მაგრამ სადგურის ბუფეტის მაღალ და ძირდაცმულ ჭერის შუბლზე, რომ ამჩნევ ვეებერთელა დაკლაკნილ შავ გაბზარულებს, შემდეგ სადგურიდან ოდნავ დაცილებულ მინდორზე გამოფენილ ხალხს რომ ხედავ, მაშინ გრძნობ, რომ აქ მართლაც მომხდარა რაღაც საშინელება.

თუმცა მთვარეა, მაგრამ თვალი ვერ არჩევს ყველაფერს რიგიანად.

აგერ, მინდორზე ცეცხლი ანთია და მის გარშემო შემოხვევია ხალხი. მივდივართ მათთან.

პატარა მინდორი მოფენილია მთლიანად ხალხით, გამოუთრევიათ ნოხები, ხალიჩები, ლოგინებიც, ზოგან ტახტებიც მოუტანიათ მინდორში და წაწოლილან ორ-ორი, სამ-სამი ერთად ჩაცმულნი. ზედ კიდევ თბილი საბანები და ნოხმადი ყველაფერი დაულაგებიათ და სძინავთ თითქოს. თითქოსთქო ვამბობ, რადგან ოდნავ ხმაური აკრთობს და აღვიძებს თვითეულ მათგანს.

ცეცხლთან მივდივართ და ვეკითხებით ამბავს.

როგორ იყო?

პარასკევს საღამოს დაახლოვებით 5 საათზე, ნიადაგი ოდნავ შეირყა, რასაც ბევრმა ყურადღებაც არ მიაქცია; ზოგს არც კი გაუგია ისითი მსუბუქი იყო მიწის ძვრა. დაახლოვებით შვიდი საათი იქნებოდა, რომ მეორედ შეირყა მიწა, ეხლა უკვე ძლიერად და კედლებიც დაინგრა ზოგან. ხალხი დაშინდა და გარედ გამოვიდა. ორიოდე საათის შემდეგ მიწა უკვე მესამედ და ძლიერად იძრა, რასაც მოჰყვა მსხვერპლიც და სახლებიც თითქმის ყველა გაიბზარა. მთელი ქალაქი გამოვიდა გარედ და მას შემდეგ ქუჩაში ვართ ყველა, როგორც ხედავთ.

— რამდენია მსხვერპლი ქალაქში?

— 15-მდე იქნება დაჭრილი, კიდევ მეტი.

— სოფლები?

— ზოგი მათგანი მთლად განადგურებულია.

— მივდივართ შუაგულ ქალაქისაკენ. თენდება უკვე და მზე დარცხვენილად ეპარება დანგრეულ ქალაქს. ქალაქის ბაღი არეულ ბანაკს წარმოადგენს. აქაც კარვები, საბნები, ხალიჩები, უბრალო ზეწრებიც. აქაც ხალხი გაწოლილა ღია ცის ქვეშ.—და წითელ-არმიელები, მილიციელები მოქალაქეთა ქონებას რომ უდგანან მცველად დღე-ღამე. მათი წყალობით ერთი ნემსიც არ დაკარგულა ამ საერთო დაბნევისა და არეულობის დროს. არც ერთ შემთხვევას ძარცვა-გლეჯისა ადგილი არ ჰქონია. ფხიზლად სდგანან ისინი კატასტროფის პირველ წუთიდან თავიანთ პოსტზე და იცავენ, როგორც ქონებას, ისე ქონების პატრონ მოქალაქეებს.

— ბევრი სახლია დანგრეული?

— თითქმის სულ ყველა.

— გარედან რომ არა სჩანს.

— არა სჩანს, მაგრამ შიგ ვერ შევსულვართ. გაბზარულია თითქმის ყველა კედლები და ოდნავი შერხევა საკმარისია თავზე რომ დაგვენგრეს. ზამთარი მაინც არ გვადგს კარზე. სად წავიდეთ არც კი ვიცით.

— დანგრეული სახლის ნახვა გინდათ—გვეკითხება ვიღაც.

— როგორ არა განა არის დანგრეული სახლები?

— მეცამეტე ქუჩაზე წადით, ბევრს ნახავთ.

ეს ქუჩა მართლაც გაუვალია. აქ თუმცა უმთავრესად დაბალი სახლებია, მაგრამ სულ ყველა დანგრეულია. ნანგრევები კი ქუჩაში არის გადმოყრილი და მკეტავს გზას. არც სხვა ქუჩებია ახლო-მახლო უკეთეს მდგომარეობაში. სობორისაც მოგლეჯია სვეტზე რამოდენიმე ქვა, ხოლო კოოპერატიული სავაჭროს აბრა გვერდზე ჩამოკიდებულა.

— „გორკაზე" (ქალაქის ცოტა ამაღლებული ნაწილს ეწოდება) კვლავ ბანაკია გადაშლილი. აქ წამომდგარან უკვე კარვებიდან. ზოგი პირს იბანს, ზოგი ცეცხლს ანთებს, ზოგს სამოვარი უბოლავს გვერდით, ზოგსაც კიდევ ჩაის ჭიქები ხელში უჭირავს და სახელდახელოდ საუზმობენ ფეხზე დამდგარი. ზოგი ტირის, ზოგი მოსთქვამს, ოხრავს, ზოგი კამათობს რაღაც ცხარედ, ზოგი ხარხარით აყრუებს არეს და ზოგსაც კიდევ დუმილისათვის, ალბად მწარე ფიქრისათვის მიუცია თავი.

ხმაურობს გორაკი და ათასგვარ სულიერ განწყობილებას იტევს ამ განსაცდელის დღეს თავის ფერდებზე.

აგერ ხალხი ეხვევა რატომღაც კარავს. ეს ტელეგრაფის დაწესებულება ყოფილა. ასე მგონია, რომ ლენინაკანს დეპეშების ზღვა ასე ძლიერად არ მოსწყდება არასოდეს, როგორც დღეს.

დამტარებელი კითხულობს გვარებს და ხალხი იქვე ართმევს თავის დეპეშას. ან კი სად დაატაროს მან. სახლში ხომ არავინ ცხოვრობს. შიკრიკმა აბა რა იცის, რომელ მინდორზე გადაისროლა ბედმა ესა თუ ის მოქალაქე.

კარავთან იღებენ დეპეშებს და აქვე ხსნიან მოუთმენლად.

— სასწრაფოდ წამოდით, მიატოვეთ ყველაფერი.

— როგორ ხართ ჯავრით აღარ ვართ.

— ხომ ცოცხლები ხართ. გამოემგზავრეთ.

ტელეგრაფისტკა მანქანაზე რომ უკაკუნებს შეუწყვეტლად, პირველ სიტყვიდან იცის უკვე დეპეშის შინაარსი. თვითეულ დეპეშას რომ ხელის მოწერა ან მისამართი არ ჰქონდეს ცალკე მთელ ლენინაკანისათვის ერთი ტექსტის შინაარსი ასეთი იქნებოდა:

— როგორ ხართ. გვიპასუხეთ.

სხვა შინაარსის დეპეშები ამ დღეებში აქ არ მოდის. სხვა საქმისათვის ლენინაკანს დღეს არ სცალია. დაშინებული, კარავშია გამოხიზნული და მთელი ქალაქი გაყინულია.

კურიოზები აქაც კი შეგვხვდა. ჩვენ დავდივართ ბანაკიდან ბანაკში. მხატვარი არის ჩვენთან. ქაღალდზე გადააქვს სურათები. ტელეგრაფის კარავთან დეპეშებს რომ ეხვევა ხალხი, მხატვარი შეჩერდა და ხატვა დაიწყო. ჯგუფის ხატვა რომ დაამთავრა ვიღაც მაღალი, გრძელცხვირა კაცი გამოეყო შეჯგუფებულ ხალხს და მხატვართან თხოვნით მივიდა:

„Пожалуста, мой нос немножко короче сделай, мене много знакоми есть тифлис, ради бог, ради бог красиви сдели пожалуста".

სიცილი შევცხდა. არ იწყინა, ერთხან მოგვსდია კვალდაკვალ თხოვნით, რომ მისი ცხვირი სურათზე მხატვარს უფრო ლამაზად გამოეყვანა. ისიც შეჰპირდა. მაშ რა ექნა.

აჩრებულია ზოგი ადამიანი: თავზე უბედურება დაატყდა და კაცს კი გრძელი ცხვირის დარდი დღესაც ვერ მოუშორებია.

მუშაობს მხოლოდ ტელეგრაფი, ტელეფონის ბაღთან რომ მკვიდია ბოძზე მორიგესთან. საგანგებო სამეულის ავტომობილები დაჰქრიან ქალაქში.

დაცლილ ქუჩებში კიდევ პატრულები დადიან და თუ მოჰკრეს თვალი გზა აბნეულ მოქალაქეს შეუძახებენ: ტროტუარზე სიარული არ შეიძლება, წადით შუა გზით. ნერვიულად სცემს ქალაქის მაჯა. ის დიდ საველე ბანაკად გადაქცეულა.

ვბრუნდებით სადგურზე. აქ გუშინ ჩამოსულან ამხ. ხანოიანი, გ. კუჭაიძე, გ. ჩხეიძე, გ. ქავთარაძე, ვ. ვაშაკიძე და სხვები. სამეულში მუშაობენ უკვე ისინი და დახმარების საქმეს აწყობენ. აქვეა საქ. წითელი ჯვრის საექიმო რაზმი ამხ. ყორყოლიანის და ექ. ოქროპირიძის მეთაურობით. რკინის გზის რაზმიც ჩამოსულა და ბრანდმაიორ ბერიძესაც ჩამოუყვანია თავისი მეხანძრეები თბილისიდან.

ირკვევა, რომ ლენინაკანში იმდენი კიდევ არაფერია. კატასტროფა სოფლებში დატრიალებულა. ლენინაკანის სამხრეთ ნაწილში 15 ვერსის რადიუსით, როგორც მიამბობს ამხ. ყორყოლიანი.

დღეს მეხანძრეთა რაზმი იქ გაემგზავრება. იქ ალაგას მოწყობილია საექიმო პუნქტი.

მივემგზავრებით ჩვენც ყველაზე უფრო დაზარალებულ სოფლების სანახავად. მამასახლისთან ვქირაობთ სადღაც ნაპოვნ დანჯღრეულ კერძო მანქანას, „ფორდს".

—:—

მიწის ძვრის ძალას ქალაქ გარედ გრძნობ. გზის ქვის ჯებირები წაუწყვეტია, გზის პირას სახლები დაუშლია; ზოგს კედლის შუაგულში გამოგლეჯილი აქვს ქვის ნატეხები. ზოგს ნახევარი კედელი სულ მომძვრალი აქვს და ქვა იქვე დახვავებულა.

ალექსანდროვკა

— უახლოვდებით პირველ სოფელს სომხურ ალექსანდროვკას. დაღრეჯილი და დამწუხრებული გვხვდება გლეხობა. ან კი რა აქვს მათ გასახარელი. სოფელი დანგრეულია. სახლების კედლები აქა-იქ კიდევ სდგანან, მაგრამ სახურავები ჩაწოლილა ყველგან და ბევრ ადგილას ქვეშ მოჰყოლია სახლის პატრონები.

— როგორ მოხდა—ვეკითხებით ერთ-ერთ გლეხთაგანს.

— ასე რომ მიწის ძვრა მოხდა, რის გამო ყველა სახლები დანგრეულია—თითქოს მოხსენება ან პატაკი წაიკითხა—ყვება ამბავს თავიდან.

— 5 საათი, 7 საათი საბედისწერო და 9—10 საათი. აქ არა იციან სწორედ როდის იყო.

იყო კი და...

ლაიქცა კი და როდის იყო, რომელ საათზე, რომელ წუთზე რაში ეკითხება.

— საღამო იყო, სოფელი დასაძინებლად ემზადებოდა. ბევრს ეძინა კიდევ და ვისაც ეძინა აღარ გაეღვიძებია იმას შემდეგ. 7 საათზე პირველი საგრძნობი რყევა იყო ნიადაგის. შემდეგ ძლიერი, იყო გრგვინვა, გუგუნი, მტვერის კორიანტელი, ნიადაგის ცურვა და არ ახსოვს კიდევ რა იყო თავზარდაცემულ და ბუნების მრისხანებით გარეტიანებულ გლეხს.

ერთი სიტყვით იძრა მიწა და...

— „ჩემი სახლი დაინგრა. მე შემთხვევით მივედი გარედ—ყვება სტეფანე პოღოსიანი, რომელსაც ცალი ხელი ქვითა აქვს გაჭეჭყილი. მაგრამ ტკივილს ტკივილად არ აგდებს. ყურადღებას არ აქცევს.

სახლში მყავდა ცოლი და ოთხი ბავშვი—ოთხი შვილი. გულსაკლავი ყვირილი მომესმა ნანგრევებს ქვეშ.

— მამა მიშველე, შენი შვილი იღრჩობა, მოშველე მამა. ეს ჩემი გოგო ყვიროდა უფროსი. რა მექნა, ის ქვეშ იყო. ზევით ნანგრევები ელაგა, ნიადაგი ჯერ კიდევ ირყეოდა. რა მექნა. საღ უნდა მომენახა. რომელი ერთი ნაგლეჯი ქვა გადამეგდო. ქალი კი კიოდა და შველას მთხოვდა მე, მამას. როგორც იქნა ხელი გამოიყო ნანგრევებს შორის: აქ ვარ მიშველეო. მივვარდი და როგორც იქნა ამოვათრიე. მის გვერდით მეორე გოგო იწვა. ის გონება-დაკარგული ამოვიყვანე. ორი ბავშვი კი გამიჭყლიტა ჩემი ხელით აშენებულმა ბინამ.

— „ვა-მე-ე-ე, ვა-მე-ე-ე,—შვილებო"...

მთელი სოფელი გარედ არის გამოფენილი. სახლი არავის აქვს საცხოვრებლად, არც ერთი არ გამოდგება. ნანგრევებს ქვეშ აქ 20 კაცია დამარხული. 85 მძიმედ დაჭრილი, ხელ მოტეხილი, მსუბუქად კი თითქმის სულ ყველა არის დაშავებული. ოც მკვდარში 14 ბავშვია ნანგრევებს ქვეშ მოყოლილი.

დედები მოსთქვამენ, მწუხარება, შიში დაუწოლია მათ გონებას და მოთქმაც რაღაც ყრუა, ხმა ჩაკმენდილი.

სოფელს სარჩო არა აქვს. წისქვილები დანგრეულია. მიწას აქ-იქ გაბზარია გული, ხოლო ზოგან კი ჩავარდნილია მეტრის სიღრმით, თითქოს ქვევრის ნამყოფი ადგილი იყოს ჩაღრმავებული.

ნანგრევებს შორის მივიწევთ წინ.

სოფელი დაგარლი

აქ გუშინ იყო სოფელი. დღეს კი ქვების ზვინებია, თითქოს განზრახ დაუყრიათ აქა-იქ ბლომად. თვალი ვერ ხედავს ვერც ერთ გამართულ კედელს. ყველაფერი განადგურებულია, გასწორებულია დედა-მიწასთან. ამიტომ არის, რომ აქ მსხვერპლი ასე ბევრია. 100-მდე კაცი მარხია ნანგრევებს ქვეშ, ორმოცს—ზოგს ფეხი, ზოგს ხელი აქვს გადამსხვრეული.

— ლიპარიტის მიწისძვრაზე არაფერი წაგიკითხავთ—მეკითხება ადგილობრივი მასწავლებელი—აქაც იგივე განმეორდა. იგივე საშინელება. 7 საათზე დაჰკრა მეორედ და დაანგრია სახლების ერთი ნაწილი. მეზობლები ერთი მეორეს მიეშველენ. ნანგრევებს ქვეშ მოყოლილთა გამოთრევას აპირობდენ უგუნურები. მეც გავიქეცი ჩემი ძმის სახლში. ის, მისი ცოლი და ბავშვი მოჰყვა დანგრეულ სახლის ქვეშ. ჩემსავით ბევრი შველოდა სხვებს—თავზე უბედურობა [illegible]. დაჰკრა მესამედ და ისინიც ვინც სხვების გადარჩენის ცდილობდა, სამუდამოდ მიაგლია ქვამ ქვის ნატეხზე.

— აი, ხომ ხედავთ გვერდით დანგრეულ სახლს. აქ ოთხი სულია ქვეშ მოყოლილი. მთელი ოჯახი... ჯერ ვერ მივსწვდით, ვერ გამოვთხარეთ. ამისთანა ბევრია კიდევ.

— რატომ არ მიიღეთ გამაფრთხილებელი ზომები, გარედ მაინც რად არ გამოდით პირველად რომ იძრა მიწა—ვეკითხები.

— [illegible]. ვენდეთ გამოცდილებს. 28 წელშიაც ირყეოდა მიწა, მაგრამ კატასტროფა არ მოყოლია. ეხლაც ასევე გვეგონა. რა ვიცოდით, რომ გვათამაშებდა, უცბად თუ დაგვატეხდა თავზე უბედურებას.

დანგრეულ სოფელს, სახლის ნამყოფზე დაგრავილ ქვას და მიწას თბილისიდან ჩამოსული მეხანძრეთა რაზმი თხრის და ნანგრევებიდან ამოაქვს გვამები.

— აგერ ბებერი ამოათრიეს, თავ გაჭეჭყილი და ხელ მოტეხილი.

— მეორე ჯგუფი ფეხებზე ქალს ჩაჰჭიდებია და ამოაქვს ქვეშიდან. საბრალო ალბად პირაღმა იწვა, სახეზე დასცემია ნანგრევები და ცხვირი მილეწილი აქვს, კბილებიც ჩამტვრეული.

— აგერ ბავშვს მიათრევენ წელში გადატეხილს.

ვეღარ უძლებ. საშინელი სანახაობაა. შემაძრწუნებელი სურათი.

ქალების გაბმული, ყრუ მოთქმა ხომ სულს გიხუთავს და გულავს ადამიანს ამ საშინელ სანახაობაზე.

აგერ პაწია ბიჭი მიიწევს თხოვნით გამვლელისაკენ. მუხლებზე ხოხავს, ხელებს ვედრებით იშვერს მისკენ და ცხარე ცრემლებით ემუდარება სომხურად რაღაცას.

გადამთარგმნელს: „ძია მათხოვე რევოლვერი, თავი მოვიკლა—სთხოვს და გულდამოსკვნილი ტირის უმწეოდ.

— მაი-ი-რიი-კ-, მაი-რი-ი-იკ. (დედა).

აგერ გაშეშებული, თითქოს მინის თვალებიანი ქალი დამჯდარა და გაშტერებით ჩასცქერის მამა-კაცის სურათს.

— შვილი ყოფილა, გაიგებ, მისი, რკინის გზის მოსამსახურე. სახლს მოჰყოლია ნანგრევებს ქვეშ და ეხლაც იქ გდია უსულო. ჯერ ვერ მოუხერხებია მისი ამოღება.

ბევრი სამუშაო აქვს თბილისიდან ჩამოსულ მეხანძრეებს.

მაღლა კი ცოტა მოშორებით სასაფლაოა გათხრილი. განუწყვეტლივ მიაქვთ ურმებით ახალ ამოთხრილი გვამები, რომ საერთო სამარეში მოათავსონ.

ნანგრევებს ქვეშ, საქონელი, ძროხა, ხარი მომწყვდეულა და დაღუპულა.

თხრიან მიწას, თხრიან ნანგრევებს და ადამიანთან ერთად პირუტყვებსაც მიათრევენ სასოწარკვეთილი გადარჩენილი პატრონები, ხლიან ტყავს და ხარებითვე მიათრევენ პირუტყვებს სასაფლაოზე.

სოფელი ბაინდური

სურათი უარესია სოფელ ბაინდურაში.

სხვა სოფლებში ვეღარ წავედით.

მოთენთილი გავედით, რა ძნელია მთელი დღეობით ჯერ დაუნახავ სანახაობაზე სიარული.

—:—

ძმური დახმარების მოწოდებამ ასწია სოფლის დაცემული სულისკვეთება.

მძიმე რისხვა დაატყდა მას თავს, მაგრამ სასოწარკვეთილება არ არის მაინც სოფლელთა გულში.

დაზარალებული გლეხობა ელის დახმარებას. ის მოვიდა კიდევ მასთან, საექიმო რაზმების და წითელარმიელთა სახით.

წითელარმიელი არ დაივიწყებს უბედურება-განაცდელ გლეხს. მან პირველმა, კატასტროფიდან ერთი საათის შემდეგ გაჩნდა დაზარალებულთა მიდამოებში და აქ ყველა სოფლებში ღრმა მადლით იხსენიებენ—ამხანაგ მეხანძრეებს, რომ ძმური ხელი უშიშრად და დაუზარებლად გაუწოდეს მათ.

ვლ. გერაძე.

25 ოქტომბერი.

პარტიული ცხოვრება

დავიცავთ ბოლშევიკურ დისციპლინას

(რეზოლიუცია მიღებულია ერთხმად)

მოისმინეთ რა მოხსენება ამხ. ა. ცხაძისა ოპოზიციის ბელადების განცხადების და საკავშირო კომ. პარტიის ცკას უწყების შესახებ, ქ. გორის პარტაქტივის გაერთიანებული კრება, ხერხის, შალის საღებნითის ქარხნების, საკონსერვო ფაბრიკის და საბჭოთა კომუჯრედებთან ერთად კომკავშირის აქტივის თანდასწრებით, დიდი სიამოვნებით და აღფრთოვანებით აღნიშნავს პარტიის მტკიცე გამარჯვებას და გაერთიანებულ ოპოზიციის დამარცხებას.

ვიღებთ რა მხედველობაში ოპოზიციის ბელადების განცხადებას, სადაც არის აღნიშნული ყველა ჩადენილი შეცდომები მათ მიერ და აღიარებულია პარტიის ყრილობის და ცკას დადგენილებებისადმი აუცილებელი დამორჩილება, გაერთიანებული კრება იმედს გამოთქვამს, რომ ჩვენი ლენინური ცკა თვალყურს ადევნებს ოპოზიციის მიერ ყველა აღნიშნულ პუნქტების ცხოვრებაში გატარებას და სასტიკ ზომებს მიიღებს მათ წინააღმდეგ, ვინც არ დაემორჩილება ბოლშევიკურ დისციპლინას.

კრება ღრმად დარწმუნებულია, რომ ოპოზიციის ბელადები პირნათლად გაატარებენ განცხადებაში აღნიშნულ ყველა დაპირებებს, რომლებიც შეეხებიან პარტიის მთლიანობას. მაგრამ ამავე დროს კრება აღიარებს სასტიკ ბრძოლის აუცილებლობას ოპოზიციის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ფრონტზე, ვინაიდან, როგორც არის აღნიშნული განცხადებაში, ოპოზიცია „კვლავ იცავს თავის ძველ შეხედულებას".

გაერთიანებული კრება აღშფოთებით აღნიშნავს აგრეთვე იმ ფაქტს, რომ საქართველოს ოპოზიცია დღესაც არ გამოეხმაურა თავიანთ ბელადების განცხადებას, რის გამოც მოითხოვს, მიღებული იქმნას ზომები მათ წინააღმდეგ პარტიიდან გამორიცხვამდე.

ძირს ყოველგვარი ოპოზიცია.

გაუმარჯოს ლენინურ ცკას.

რა გაკეთდა ამ თვეში

(ფოთი)

ივლისში ფოთის ორგანიზაციაში 17 კომუჯრედი და ერთი საკანდიდატო ჯგუფი იყო, რომლებშიაც ირიცხებოდა 518 წევრი და 154 კანდიდატი. მათ შორის ქალი 29 წევრი და 20 კანდიდატი.

აგვისტოში დაარსებულ იქნა კიდევ ერთი კომუჯრედი (ნავთსადგურის ქარხნის კომუჯრედის სახელწოდებით).

სექტემბერში ორგანიზაცია აერთიანებდა 18 კომუჯრედს და ერთ კანდიდატთა ჯგუფს, რომლებშიაც ითვლებოდა 530 წევრი და 157 კანდიდატი მათ შორის ქალები 32 წევრი და 18 კანდიდატი, აღნიშნული თვეების განმავლობაში პარტიული კომიტეტი კომუჯრედებს მათ მუშაობაში საკმაო ხელმძღვანელობას უწევდა. ყველა კომუჯრედზე არის მიმაგრებული თითო კომიტეტის წევრი, რომელიც უწევს კომუჯრედს უშუალო ხელმძღვანელობას.

პარტიული კომიტეტი უჯრედების მუშაობის გამოსარკვევად იწვევს კომუჯრედების პ.-მგ. მდივნების თათბირს უჯრედებზე მიმაგრებულ ამხანაგების თანდასწრებით. კამათის დასრულების და მუშაობის შეფასების შემდეგ მათ ეძლევათ პრაქტიკული წინადადებები შემჩნეულ ნაკლის გამოსასწორებლად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უჯრედებში უმეტესად ხდებოდა ღია კრებები, რომლებზედაც ესწრებოდა უპარტიო მუშა-მოსამსახურეები და გლეხობა. ღია კრებებზე კეთდებოდა მოხსენებები მუშა-მოსამსახურეთა და გლეხთათვის საჭირბოროტო საკითხებზე. კამათში მონაწილეობას ღებულობდენ უპარტიოებიც. უჯრედებში უპარტიოებთან დაახლოების და მათი საერთო მუშაობაში ჩაბმის საქმე დამაკმაყოფილებლად იყო მოწყობილი. პარტიული კომიტეტი აწარმოებდა და აწარმოებს პარტ-ამხანაგების შორის პარტ-აღმზრდელობითი მუშაობას და სასტიკად ებრძვის პარტდისციპლინის დარღვევას. უნდა ითქვას, რომ ფოთის ორგანიზაციის მდგომარეობა მტკიცე არის. არავითარი უთანხმოებას და ჯგუფობრიობას ადგილი არ აქვს.

გაერთიანებული ოპოზიციის გამოსვლამ საკავშირო კომპარტიის ცკას წინააღმდეგ სასტიკი წინააღმდეგობა გამოიწვია ორგანიზაციის მხრივ. ამხ. ტროცკის, ზინოვიევის, კამენევის, ლაშევიჩის და სხვების გამოსვლამ პარტიის ცკას წინააღმდეგ ორგანიზაციის წევრთა შორის აღშფოთება გამოიწვია. ოპოზიციის მუშაობაზე წაკითხულ იქნა მოხსენება ორგანიზაციის საერთო კრებაზე. შემდეგ ჩატარდა მოხსენებები: ცალკე კომუჯრედებში. პარტკომის გაფართოებულ პლენუმზე და კომკავშირის აქტივის კრებაზე.

ამხანაგები ყველა კრებებზე ერთსულოვნად გამოდიოდენ ოპოზიციის წინააღმდეგ: სრულებით იზიარებდენ ივლისის პლენუმის დადგენილებებს და იწონებდენ პლენუმის მიერ ყოველგვარ გადადგმულ ნაბიჯებს პარტიის მთლიანობის დასაცავად. რის შემდეგ გამოქონდათ შესაფერისი რეზოლიუციები.

პარტაქტივის ზრდასთან დაკავშირებით მიღებულ არის ზომები ამხანაგებისათვის ხელის შესაწყობად თვითგანვითარების საქმეში, შემოღებულია უჯრედებში წევრთა და კანდიდატთა მიერ მორიგეობით მოხსენებების კითხვა ამა თუ იმ თემაზე. მათ ეძლევათ სახელმძღვანელოები მოხსენებების დასამზადებლად. ეს იწვევს ერთის მხრივ ამხანაგების განვითარების დონის ამაღლებას და ხოლო მეორე მხრივ მათი აქტივობის გაძლიერებას.

ვ. კალანდაძე.

ბიუროების არჩევნები

მიღწევანი და ნაკლულევანებანი

მუშკოოპის № 32 კომუჯრედმა ბიუროს გადარჩევას ორი სხდომა მოანდომა. უჯრედის საერთო კრება შესდგა ამა წლის 10 ოქტომბერს.

კომუჯრედის ბიუროს მუშაობის ანგარიში გააკეთა უჯრედის პას./მგ. მდივანმა ამხ. მარგალიტაძემ, რომელმაც დაწვრილებით გააცნო ამხანაგებს ბიუროს მიღწევები. თანამომხსენებლათ გამოვიდა ა. ლ. კ. კ-ს უჯრედის მდივანი ამხ. შაფათავა. მოხსენების გარშემო მრავალი შეკითხვა შემოვიდა, რის შემდეგაც გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 15 ამხანაგმა. მოკამათეებმა აღნიშნეს ბიუროს მიღწევები: საქმიანი მიდგომა საკითხებისადმი. ადგილკომის მუშაობაში შესამჩნევია სწორი ხელმძღვანელობის გატარება ფრაქციის საშუალებით.

აღნიშნულ იქნა ნაკლულევანებიც. საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობა მოისუსტებდა, მომჭირნეობის რეჟიმი სათანადოთ არ გატარებულა, ქალთა შორის მუშაობა სუსტი იყო და სხვ.

კრებამ გამოიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომელთა შესრულება მიანდო მომავალ ბიუროს. აღნიშნულ იქნა ერთი გარემოება, რომ მუშკოოპში პარტიულები მუშათა საერთო რიცხვის მცირე ნაწილს აერთიანებენ და ამ მხრივ ახალ ბიუროს მიენდო სათანადო ნაბიჯი გადადგას. ბიურომ ადგილკომის საშუალებით აგიტაცია უნდა აწარმოოს, რათა მუშკოოპის პიონერთა ორგანიზაციაში მუშკოოპის თანამშრომლებმა ჩასწერონ თავიანთი ბავშვები და სხვ.

ბიუროს მუშაობა მთლიანათ ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლათ. შემდეგ მოხდა ახალ ბიუროს პერსონალური არჩევნები. დასახელებულ იქნა 15 კანდიდატი. გავიდა 5 წევრი და 3 კანდიდატი.

უსურვებთ ახალ ბიუროს ნაყოფიერ მუშაობას.

უჯრედელი.

ბიუროს უმოქმედოთ მუშაობა შესუსტდა

(კომკავშირის მილიციის უჯრედი)

ეს უჯრედი ითვლებოდა ერთ-ერთ სამაგალითო უჯრედად რაიონში. მუშაობის ყველა დარგი სათანადო სიმაღლეზე იდგა, თითქმის ყველა წევრები ხალისიანად და აქტიურად ეკიდებოდენ საქმეს. მაგრამ იტყვიან: თავდაღმართს აღმართი მოსდევსო. ისე მოუვიდა ჩვენ უჯრედსაც. უკანასკნელმა ბიურომ თავისი უმოქმედობით სულ დაუკარგა მუშაობის ხალისი ყველას. სამი თვის განმავლობაში მან სულ 2 თუ 3 კრება ჩაატარა და დღის წესრიგი ამ კრებებისათვისაც წინასწარ სათანადოთ არ მოუმზადებია. მთელი სამი თვის განმავლობაში ერთი, მომზადებული მოხსენებაც არ გაკეთებულა. უჯრედის სხდომაზე მხოლოდ რაიკომის ცირკულიარები იკითხებოდა. ასეთი დღის წესრიგი, თავის თავად ცხადია, სხდომას ყოველგვარ შინაარსსა და ინტერესს უკარგავდა და ამიტომაც დასწრება ძალიან სუსტი იყო. კომუჯრედის მხრივ არავითარი ხელმძღვანელობა არ არის, რაც კიდევ უარესად ასუსტებს ა. ლ. კ. კ. უჯრედის მუშაობას.

მუშაობის გამოსაცოცხლებლად, საჭიროა გადარჩევის დროს ყურადღება მიექცეს ახალ ბიუროში შრომის უნარის მქონე ამხანაგების შეყვანას და აგრეთვე კომუჯრედმაც უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა, თორემ უჯრედი დაშლის პირზეა მისული..

ქ. სურმუშელი.

დელეგატ ქალთა არჩევნები

კრება დიდი სიცხოველით ჩატარდა

15 ოქტომბერს შესდგა საქართველოს სამკერვალო მრეწველობის ფაბრიკის მუშა-ქალთა საერთო კრება. დღის წესრიგში სულ 3 საკითხი იდგა, 1) მოხსენება ქალთა სადელეგატო კრებების მნიშვნელობის შესახებ; 2) დელეგატ ქალის ანგარიში და 3) დელეგატ ქალების არჩევნები. მოისმინა რა, ამხ. მიხაილოვას მოხსენება ქალთა სადელეგატო კრებების მნიშვნელობის შესახებ, კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია ქალთა სადელეგატო კრებების მნიშვნელობა და ამოცანები. მუშა-ქალები პირობას სდებენ, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში აუცილებლათ ჩააბამენ ჩამორჩენილ მშრომელ ქალებს.

დელეგატ ქალის ამხ. ტუსკიას ანგარიში დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი. ამხ. ტუსკიამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქალთა ორგანიზაციების მოწყობაში ერთ მთავარ დაბრკოლებას და სიძნელეს შეიცავს მუშა-ქალების ოჯახური სამუშაოებით დატვირთვა. ამისდამიუხედავად ზოგიერთი მიღწევებიც არის ფაბრიკის ქალებს შორის. მუშა-ქალები თანდათანობით მონაწილეობას იღებენ ნებაყოფლობით საზოგადოებებში და პოლიტიკურ საკითხებს ეხლა უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ. მაგ. მუშა-ქალთა საერთო კრებებზე, რომელზედაც უმთავრესათ ყოფა-ცხოვრების საკითხები ირჩეოდა, მსმენელთა დიდი რიცხვი ესწრებოდა.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი. შემდეგ მიღებული იქნა რეზოლიუცია. კრებას დაესწრო 150 ქალი.

დელეგატების გადარჩევა დიდის აქტივობით ჩატარდა. დასახული იქნა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, აირჩიეს 37 დელეგატ ქალი.

ლ. რ—ლი.

უჯრედს სძინავს, თემკომი თავს არ იწუხებს

(დიდინეძის თემი, ზუგდ. მაზ.)

უკვე მეექვსე წელია, რაც დიდინეძის თემში ა. ლ. კ. კ. უჯრედი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მას არაფერი არ გაუკეთებია. თვეში ერთხელ ან ორხელ მოხდა კრება ძალიან უნდა უმოლოდდეთ კავშირის პ.-მ. მდივანს. მომხსენებლებს, რაც მთავარია, სულ არ იწვევენ, არ ყოფილა და არც არის პოლიტ-მეცადინეობა. ამხანაგები საქმეს გულგრილად ეკიდებიან. არსებობს პიონერთა ორგანიზაცია, რომელსაც მიჩნეული ყავს ხელმძღვანელად კომკავშირიდან გამოყოფილი ამხანაგი, მაგრამ მიუხედავად ამისა მუშაობა პიონერთა შორის სრულებით არაა. კომკავშირის უჯრედს არა აქვს გამოწერილი არც ერთი გაზეთი. კავშირი არ იზიდავს უპარტიო ახალგაზრდობას, ქალთა შორის მუშაობა არ სწარმოებს. დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ასეთ ჩამორჩენილ უჯრედს არავითარ ყურადღებას არ აქცევს თემკომი. საჭიროა სამაზრო კომიტეტმა მაინც მიხედოს.

ციცინათელა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ამხ. ჟულელი ონში

ონი, 25 ოქტომბერი. ონში ჩამოვიდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჟულელი. ჟულელმა და საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჰიჟინაძემ დაათვალიერეს ჰიდრო-ელექტრიული სადგური, რომელიც ზედ. ჯოჯორზე შენდება, შოვის კურორტი და ხე-ტყის სახერხი ქარხანა ხარის-თვალში.

ავტო-მიმოსვლა

ქუთაისი, 25 ოქტომბერი. აღდგენილ იქნა ხონის ავტომობილო მიმოსვლა ქუთაისსა და ხონს შუა. ამ დღეებში გაიხსნება ავტო-მიმოსვლა ქუთაისსა და სამტრედიის შუა. ქუთაისსა და წყალტუბოს შუა მიმოსვლა შესუსტდა. მანქანა ერთხელ მიდის და ისიც არაყოველდღიურად, რაც აიხსნება საკურორტო სეზონის დამთავრებით.

სადგურის ძალოვნების გადიდება

ქუთაისი, 25 ოქტომბერი. ქუთაისის პირველ ხაზოთა ელექტრო-სადგურზე დაიწყო მიწის სამუშაოები დამატებითი შენობის საძირკვლის ჩასაყრელად. ამ შენობაში დადგმულ იქნება ახალი 150 ცხენის ძალიანი მანქანა.

გაფლანგვისათვის

ქუთაისი, 25 ოქტომბერი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ გაარჩია შორაპნის ადგილობრივ ტრანსპორტის კავშირის ადგილკომის თავმჯდომარის ვლადიმერ მიქაბერიძის საქმე. მიქაბერიძეს ბრალდებოდა საკავშირო ფულების და აგრეთვე მუშათა ხელფასის ნაწილის (1.068 მან. რაოდენობით) მითვისება და გაფლანგვა. მიქაბერიძეს მიესაჯა უმაღლესი სასჯელი, მაგრამ ამნისტიის ძალით დახვრეტა შეუცვალეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთით.

კიდევ გაფლანგვა

ქუთაისი, 25 ოქტომბერი. აღძრულია საქმე, კოოპერატივ „ბოდც"-ს ბიუროს თავმჯდომარის ბელოვის შესახებ, რომელსაც ბრალი ედება 1,976 მანეთის მითვისება და გაფლანგვაში, აგრეთვე სპეკულიანტების ხელის შეწყობაში. ამასთანავე სპეკულიანტებზე მანუფაქტურის ბითუმად გაყიდვისათვის, პასუხისგებაში არიან მიცემული მანუფაქტურის მაღაზიის ყოფილი გამგე ქუთაისში რცხილაძე, იმავე მაღაზიის გამგე კალანდარიშვილი და სპეკულიანტი ოცხელი.

საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა

ოზურგეთი, 25 ოქტომბერი. ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობამ დაამთავრა 1926 წლის მოქმედების შედეგების გამორკვევა. საბაიო კაპიტალი 1 ოქტომბრამდე შეადგენს 4.080 მან. საწევრო გადასახადები—895 მან., საერთო ბრუნვა—444.037 მან. წევრების რიცხვი—544. გაცემულია გრძელვადიანი სესხები 10.691 მანეთის რაოდენობით.

ჩაის მოსავალი

ოზურგეთი, 25 ოქტომბერი. მიმდინარე წელს ჩაის მოსავალი მიქელ-გაბრიელის თემში უდრის 2.000 ფუთს. ჩაის ამ რაოდენობიდან საზოგადოება „ქართული ჩაი"-ს ფაბრიკამ შეისყიდა 1500 ფუთი მწვანე ფოთოლი.

სამხრეთ-ოსეთი

ხიდის მოთავება

ამბროლაური, 25 ოქტომბერი. მდინარე რიონზე ხიდის აშენება, რომელიც სამხრეთ-ოსეთის გზას აერთებს ნიკორწმინდის გზატკეცილთან ამ ცოტა ხანში მოთავდება.

სამხრეთ-ოსეთი

ტელეფონის ქსელის მოწყობა

ცხინვალი, 25 ოქტომბერი. სამხრეთ-ოსეთში ტელეფონის ქსელის მოსაწყობათ ცენტრიდან გამოთხოვილია 10.000 მანეთი.

ჯავის სკოლა

ცხინვალი, 25 ოქტობერი. ჯერ კიდევ ომამდე ჯავაში, მდინარე ლიახვის ხეობაში დაიწყეს საშუალო სკოლისათვის შენობის აშენება. აგებულ იქნა მხოლოდ პირველი სართული. ეხლა სამხრეთ-ოსეთის განათლების სახალხო კომისარიატი ამთავრებს ამ შენობას და ამ მიზნით გადასდო 25.000 მანეთი. შენობაში განზრახულია სამხრეთ-ოსეთის მთებში პირველ გლეხური ახალგაზრდობის სკოლის მოწყობა.

საავტომობილო მიმოსვლა გორი-ცხინვალის შუა

ცხინვალი, 25 ოქტომბერი. სამხრეთ-ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭო მოლაპარაკებას აწარმოებს „ზაკავტოპრომტორგ"-თან რეგულიარული საავტომობილო მიმოსვლის მოწყობის შესახებ გორი-ცხინვალს შუა.

წერილები

დავიცვათ ბავშვთა ჯანმრთელობა

(წერილი ზუგდიდის მაზრიდან)

მასწავლებელთა შორის, ზოგიერთები შეპყრობილია ფილტვების ჭლექით. იყო შემთხვევა, რომ ზუგდიდის განათლების მუშაკთა სახლში ამ სენით შეპყრობილმა მასწავლებელმა ღამე გაატარა და მეტად დამაფიქრებელი კვალი დასტოვა. სახლის გამგეობა იძულებული შეიქნა დეზინფექცია ეყო იმ ლოგინისთვის, რომელშიდაც ისვენებდა სნეული და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ზოგიერთებისათვის აეკრძალა ღამის გათევა კავშირის სახლში.

ასეთი მასწავლებლები უდიდეს საშიშროებას წარმოადგენენ ჩვენი მომავლისათვის.

ჩვენი ღარიბი სოფლის სკოლები მეტად მოუწყობელია. კედლები ფარღალალა აქვს, კარფანჯრები დაზიანებული, (ხშირად სულაც არ არის) ყოველი მხრიდან თავისუფლად უბერავს. მსუბუქად ჩაცმული ბავშვები ხშირად ცივდება: ზოგს ფილტვების ანთება უჩნდება, ზოგს ინფლუენცია ემართება და ზოგს რა.

ერთი სიტყვით ჩვენს სოფლის სკოლებში მადლიანი ნიადაგი არის ჭლექისათვის, ამიტომ ჭლექიანი მასწავლებელი სკოლაში იგივეა, რაც ცეცხლის ალი მშრალი თივით სავსე საწყობში ან ნავთის წარმოებაში.

სამწუხაროდ ეს გარემოება ვერ იქცევს სათანადო ორგანოების ჯეროვან ყურადღებას. ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით არავითარი ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად არ არის მიღებული. ჭლექიანი მასწავლებელი მანამდი განაგრძობს სკოლაში მუშაობას, სანამ მთლად არ დავარდება.

ჩვენის აზრით განათლების განყოფილების და ჯანმრთელობის ინსპექციების აუცილებელ და გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ყველა საეჭვო მასწავლებელთა (ჯანმრთელობის მხრით) გატარება საექიმო საკონტროლო კომისიებში. საჭიროა განთავისუფლებულ იქნან სამსახურიდან ისეთები, რომელთა ყოფნა სკოლაში აშკარა საფრთხეს უმზადებს ჩვენს მომავალ თაობას.

ეს არ იქნება საზარალო დათხოვნილთათვისაც: მათ თითქმის ყველას საკმაო სტაჟი აქვთ და არსებული კანონების ძალით სოციალურ დახმარებას მიიღებენ.

ბავშვთა მეგობარი.

ქერჩის ტარანის ბრალია

(ს. ჭკადუაში, ზუგდ. მ.)

ყოფილ პრინც მიურატის ყოფილ მამულში მოთავსებულია სოფლის ახალგაზრდობის სკოლა. პრინცის სასახლე, როგორც მოგეხსენებათ, სოფლის სკოლისათვის დასაწუნი შენობა არ იქნებოდა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ შენობა ძველია, შეკეთებას საჭიროებს და გარდა ამისა ახლად დაარსებულ სკოლას არ გააჩნია ბევრი აუცილებელი სასწავლო ნივთებიც კი.

ასე მაგალითად, როცა მათემატიკის მასწავლებელი მოწაფეებს უხსნის გაკვეთილს, მას ციფრები ჯამბაზივით თითით ჰაერში გამოჰყავს. დაფა არაა, რომ დასწეროს და კედელს დაფის მაგიერობა არ შეუძლია.

გეოგრაფიის მასწავლებელი რუკას იატაკზე აფენს, რადგან ლურსმანიც კი არ მოიპოვება, რომ რუკა კედელზე ჩამოჰკიდონ. ბავშვები წრეწილებივით გარს ეხვევიან ძირს გაფენილ რუკას, ხან ერთი გამოძვრება წინ, ხან მეორე, არის მიწევ-მოწევა, ბავშვური ცელქობა და ოხუნჯობა. მასწავლებელი კი შორი ახლო დგას და ანქესივით უყოფს საჩვენებელ წკეპელს შეგუფულ ბავშვების თავების წრეში.

„აქ არის—მოსკოვი, აქ არის ხარკოვი, აქ არის როსტოვი—ისწავლეთ, გენაცვალეთ". ამნაირი გეოგრაფიიდან გზა აბნეულ ბავშვებს მოსკოვი კი არა ჭკადუაშიაც ებნევათ გზა-კვალი. სკოლას სიღარიბე იქამდე მიდის, რომ წყლის დასალევი უბრალო თუნუქის ქვაბი და ფთქილიც კი არ მოიძებნება. დასვენების დროს ბავშვები კისრის ტეხით გარბიან მახლობელ წყაროსაკენ. იქ პეშვებით, ქუდებით თუ სხვა სახელდახელოდ მოწყობილ ჭურჭლით იკლავენ წყურვილს. ჯერ შემოდგომაა და ეს კიდევ შესაძლებელია, რა იქნება ზამთარში—ძნელი სათქმელია.

ასეთ უმწეო ნივთიერ მდგომარეობაში მყოფ სკოლას „ბედი" ციდან ჩამოუვარდა, ყოფილ პრინცის ყოფილ მამულში გაშენებული იყო აკაციის მშვენიერი ტყე. სკოლას ნება დართეს, რომ ეს ტყე თავის სასარგებლოდ გამოეყენებია. მასწავლებლების და ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. ყველა საერთო სიხარულმა მოიცვა. არც სკოლის გამგე გოგონაძე იყო მოწყენილი. მას თურმე სხვა ჩიტი უფრინავდა გულში.

გამგემ გაყიდა ტყე, აიღო 1.500 მანეთი. წავიდა და მაშინვე დაუკვეთა დაფები, პარტები და მაგიდები, წყლის სასმელი ქვაბი და ფთქი, იტყვით თქვენ. დიდათ შეცდებით. გოგონაძე ასე „ჩქარი კაცი არაა. შორიდან მოიარე—შინ მშვიდობით მიდიო", ასე ამბობს ხალხური ანდაზა. მანაც შორიდან მოუარა საქმეს.

მეგრელ გლეხს ძალიან უყვარს ქერჩის ტარანი, ჭკადუაშელ ჩარჩებს მოგება. გოგონაძის მეტარნე ჩარჩების დიდი ხათრი და მორიდება აქვს. აქედან ადვილი გასაგებია რა ბედი ეწვია სკოლის ფულს. ქერჩის ტარანმა ჩაყლაპა ჭკადუაშელ მოწაფეების დაფა, პარტა და წყლის ქვაბი. ჭკადუაშელი გლეხები კი სჭამენ მხეზე ტყემლის წვენში შეცურებულ ქერჩის ტარანს და ვერ ხვდებოდენ რა დანაშაულს სჩადიოდენ თავიანთ შვილების წინაშე.

ბოლოს, როცა ტარანიც გამილეა და გალატაკებული სკოლაც პირლია დარჩა, გლეხებმა ხმა ამოიღეს, საქმე სამაზმასკომში გადავიდა.

დატრიალდა გოგონაძე—ნაწილი ფული ამოიხსნა, ნაწილი კი ისესხა—თივაცა და შეაგროვა საჭირო თანხა. რაღა დროს? ზამთარი კარს გვადგია, სკოლის კედლები თვალ და თვალ ინგრევა, სასწავლო ნივთები არაა, პარტები ხომ სანატრელ ოცნებას წარმოადგენს ბავშვებისათვის. ქერჩის ტარანი ყორდანის დროს წლობით არ უჭამიათ ჭკადუაშელ გლეხებს. მაგრამ ამით არ მომკვდარან. რა „ექერჩისტარნებოდა" მათ როცა სკოლა ასეთ უმწეო მდგომარეობაშია?

მაგრამ ჰკითხეთ გოგონაძეს, ჰკითხეთ ჭკადუაშელ ჩარჩებს. ალბათ ისინი გაგვცემენ პასუხს ამ კითხვაზე სათანადო ადგილას.

პლატონიშვილი.

გლეხკომი ვერ მუშაობს

(თავასის თ., შორაპნის მ.)

რამოდენიმე წელიწადია თავასის თემის გლეხებმა მოკრიბეს გლეხკომის ძირითად თანხად 366 მანეთი და 37 კაპ. ეს ფული მოხდა შორაპნის სამაზრო აღმასკომის სალაროში. გლეხები თხოულობს ამ ფულის განაღდებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით დაპირების მეტი არაფერია. გლეხებს გული გაუტყდა, გლეხკომში აღარ ეწერებიან.

ავირჩიეთ ახალი პრეზიდიუმი ჩვენი გლეხკომის, ისეთები, რომლებიც ნაკლებად არიან დატვირთულნი სათემო საქმეებით. გვეგონა საქმეს მოაგვარებდან, მაგრამ ვერ გამოდგენ მუყაითი კაცები, იმის ნაცვლად, რომ ცოცხალი მუშაობა აწარმოონ გლეხკომის სასარგებლოთ, ისინი კანცელარიის კარებს არ სცილდებიან.

გლეხს რომ უნდოდეს ჩაწერა გლეხკომში, თავმჯდომარე ს. სკანდეში უნდა ეძებოს, მდივანი ს. მუჯირეთში და მოლარე ს. თავასაში. გლეხს ამის თავი არა აქვს და ხელს იღებს გლეხკომში ჩაწერაზე. შორაპნის სამაზრო აღმასკომი იმედია განაღდებს თავის დავალიანებას და თავასის გლეხკომის პრეზიდიუმის წევრებიც მეტ მუყაითობას გამოიჩენენ. სოფლისათვის აუცილებელ დაწესებულების გაჯანსაღების საქმეში.

ვ. ცინაძე.

წერილებიდან

ზუგდიდი

დაიცავით გამომცემლობის ფასები. სამოსწავლო წლის დაწყებასთან ერთად მეტად გაიზარდა მოთხოვნილება სახელმძღვანელოებზე. სამწუხაროთ წიგნები ძალიან ძვირათ ფასობს. ეს კიდევ არაფერი, რომ გამომცემლობის ფასს არ უმატებდეს მაღაზია. მე თვითონ ვიყავი მოწმე, რომ მოწაფემ იყიდა 3 წიგნი, რომელიც გამომცემლობის ფასის თანახმად 4 მ. 40 კ. ღირს, მაღაზიის გამგემ კი გადაახდევინა 5 მ. 60 კაპ. ასეთი შემთხვევები აქ ხშირია.

ო. გია.

ს. წითელი წყარო (კახეთი)

დაუმთავრებელი საქმე. ამხ. დორმიდონტოვის დროს, რომელიც ენერგიული თავმჯდომარე იყო, დაიწყო ხიდისა და წყაროს შეკეთება. მოტანილია ქვიშა და სხვა მასალები. დღეს საქმე შეჩერებულია და სიმწრით დაგროვილი მასალა ფუჭდება და ნიავდება. აღმასკომის ახალი თავმჯდომარეები, რომლებიც ზედი-ზედ იცვლებიან, ვერ გამოდგენ ინიციატივის ხალხი.

ქრისტაპ.

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ შესდგა თბილისის საბჭოს 4 სექციის მორიგი სხდომა. ქვორუმის შეუკრებლობის გამო არ შემდგარა მხოლოდ სოფლად მუშაობის სექცია.

კომუნალური სექცია

ტრამვაის ტარიფის შემცირების საკითხი

კომუნალური სექციის გუშინდელ სხდომაზე ტრამვაის ტარიფის შემცირების შესახებ მოხსენება წაიკითხა ამხ. ს. ფარნიევმა.

მომხსენებელის გადმოცემით ამჟამად ტრამვაის რონოდების რიცხვი შედარებით იმ რიცხვთან, რომელიც იყო ტრამვაი ბელგიელების ხელში ყოფნის დროს, მეტია. ამავე დროს გაიზარდა ომის წინა დროსთან შედარებით ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი. ასეთ პირობებში ტრამვაის მოსიარულეთა რიცხვი უნდა გადიდებულიყო. ნამდვილად კი ამჟამად ტრამვაით მოსიარულეთა რიცხვი შემცირდა და შედარებით შემოსავალიც საგრძნობლად ნაკლებია. ტრამვაით მოსიარულეთა ნაკლებობის მიზეზად მომხსენებელი ასახელებს ტრამვაის შედარებით დიდ ტარიფს.

მომხსენებლის დასკვნით მიზანშეწონილი იქნება ტრამვაის ტარიფის დაკლება, რადგან ეს ზომა გაადიდებს მოსიარულეთა რიცხვს და შემოსავალს. მომხსენებლის წინადადებით საჭიროა შემოღებულ იქნეს შემდეგი ტარიფი ყველა მარშრუტებისათვის—ერთი უბანი—5 კაპეიკი, ორი უბანი 10 კაპეიკი და 3 უბანი 10 კაპეიკი.

მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა. სექციის წევრების ერთი ნაწილი მიზანშეუწონლად სცნობს ტრამვაის ტარიფის დაკლებას, რადგან საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ტარიფის დაკლებამ იმდენად გაადიდოს მოსიარულეთა რიცხვი, რომ შემოსავალმა არ დაიკლოს, ხოლო შემოსავლის შემცირება კი ისეთ დროს, როცა ტრამვაის მეურნეობას მიცემული აქვს 1.600.000 მანეთის შეკვეთა, (ახალი ვაგონები) მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა მთელს მეურნეობასო.

ამ საკითხის დეტალურად შესასწავლად და გამოსარკვევად აირჩა კომისია 13 კაცისაგან.

განათლების სექცია

განათლების სექციის გუშინდელ სხდომაზე მოხსენება წაიკითხა ამხ. კ. ბერიძემ.

სასწავლო წლის დაწყების შესახებ

1926—27 სამოსწავლო წლისათვის განათლების განყოფილებამ მთავარი ყურადღება მიაქცია სკოლის რეორგანიზაციის საკითხებს.

გადაწყდა შემცირებულ ყოფილიყო უფროს ჯგუფების რიცხვი, და სპეციალურ განხრის მიცემით გაუმჯობესებული ყოფილიყო მათი ღირსება.

სოფლად კი მეტი ყურადღება მიექცეოდა გლეხური ახალგაზრდობის სკოლების მოწყობას. გამომუშავებულ გეგმის თანახმად უფროს ჯგუფების რიცხვი 49-დან დაყვანილ იქნა 32-მდე, რომელთაც მიეცათ სპეციალური ხასიათი. გარდა ამისა, მოხსნილ იქნა რამდენიმე სპეციალური კურსები ტეხნიკუმის სამწლიანი პროგრამით. სოფლად კი რამდენიმე მეორე საფეხურის სკოლა გადაკეთებულ იქნა გლეხური ახალგაზრდობის სკოლად.

მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის ყველა სკოლებში მიღებულ იქნა სულ 7385 ბავშვი. აქედან ქართულ ჯგუფებში—3162; რუსულში—1764; სომხურში—2.445; დანარჩენ ეროვნებათა ჯგუფებში—414 ბავშვი.

ჰასაკ გადასულთათვის მოწყობილია განსაკუთრებული ჯგუფები (ქართულ-რუსული), ხოლო პირველ ჯგუფში შემავალთა დასაკმაყოფილებლად გახსნილ იქნა დამატებითი ჯგუფები.

ჩვენს საბავშვო ბაღებში წელს ირიცხება მხოლოდ 1600 ბავშვი ე. ი. ქალაქში მყოფ ბავშვების 15 პროცენტი.

წელს განყოფილების ბიუჯეტი გადიდებულ იქნა 500.000 მანეთით. ამ მომატებით შესაძლებელი გახდა სკოლების ბუნებრივი ზრდის დაკმაყოფილება და ყველა საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის გადიდება 10—15 პროცენტით.

რაც შეეხება სკოლების შენობათა შეკეთებას, თანხების გვიან მიღების გამო, სკოლების რემონტს დააგვიანდა.

მიუხედავად ამისა სკოლების შენობათა დიდი ნაწილის შეკეთება მოესწრო, ხოლო ნაწილის რემონტი ეხლა მიმდინარეობს.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ჯანმრთელობის სექცია

აფთიაქების მუშაობა

ჯანმრთელობის სექციის გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში იყო საანგარიშო მოხსენებები 3 აფთიაქის გამგეებისა. მოხსენება წაიკითხა მე-2 საბჭოთა აფთიაქის გამგემ ამხ. ავალიანმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წინა წლებში აფთიაქების მუშაობას აბრკოლებდა წამლების ნაკლებობა. ამჟამად აფთიაქს წამლები საკმარისად მოეპოვება.

მეორე დამაბრკოლებელი მიზეზი იყო შტატების სიდიდე. ეხლა ეს ნაკლულოვანებაც გამოსწორებულია, რადგან შემოღებულია წამლების დამზადების მექანიზაცია, რომელიც ნაკლებ დროს და მუშა ხელს საჭიროებს. შტატების შემცირება აფთიაქებში შესაძლებელი გახადა კიდევ იმ გარემოებამ, რომ სახმედიცინო მაღაზიებმაც დაიწყეს წამლების გაცემა. ეხლა საქმე ისეა დაყენებული, რომ წამლის დამზადებას 1—1½ საათზე მეტი არ ეგვიანდება.

დანარჩენი აფთიაქების გამგეების მოხსენება გადაიდვა.

საფინანსო სექცია

ადგილობრივი გადასახადები

საფინანსო სექციის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. დოლიძის მოხსენება. ადგილობრივი გადასახადების როლის შესახებ ბიუჯეტში. მომხსენებელმა მოიყვანა ციფრები, თუ რა გადასახადები იყო წინა წლებში და რა გადასახადებია ეხლა. ამჟამად აღმასკომის ბიუჯეტს გადასახადების 10 პროცენტს შეადგენს ადგილობრივი ხასიათის გადასახადები, ხოლო 35 პროცენტს დანარჩენი საგადასახადო წყაროები. მომხსენებლის გადმოცემით ახალი საგადასახადო დებულება საშუალებას იძლევა გასულ წლებში არსებული გადასახადების ცხრილი უფრო გაფართოვდეს, ხოლო არსებული ადგილობრივი გადასახადები უფრო უკეთესად შეეფარდოს ადგილობრივ პირობებს.

სექციამ მოხსენება მიიღო ცნობად.

308.448.000 მანეთი

ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობას

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განსაზღვრა იმ თანხების რაოდენობა, რომელიც ა.-კ. სასოფლო-მეურნეობას უნდა მოხმარდეს 1926-27 წელს.

საერთო ჯამი უდრის 39,844,200 მანეთს, აქედან ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ბიუჯეტით—4,245,700 მან., საკავშირო ბიუჯეტით—9,082,000 მან., ადგილობრივი ბიუჯეტით—8,238,100 მან., სხვადასხვა წყაროებიდან—1,783,600 მან., გრძელვადიანი სესხის სახით—11,589,100 მან. და მოკლევადიანი სესხის სახით—4,855,700 მან.

კვალიფიკაციური მუშა ხელი

დაარსდა სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა დაამუშაოს საქართველოს მრეწველობის კვალიფიკაციურ მუშა-ხელით და ტეხნიკურ პერსონალით უზრუნველყოფის საკითხი.

კომისიას თავმჯდომარეობს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ბ. ჰიჟინაძე, კომისიაში წევრებად შედიან. შრომის სახალხო კომისარი მიქაძე, განათლების სახალხო კომისარი კანდელაკი, მიწადმოქმედების სახ. კომისარის მოადგილე ძამაშვილი და პროფსაბჭოს თავმჯდომარე ყურულაშვილი.

ქიმიური ქარხანა

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამთო ქიმიური კომბინატი შეუდგა ქუთაისში ქიმიური ქარხნის და ბარიტის წისქვილის აგებას. ქარხნის ასაგებად ამორჩეულ იქნა კახიანოურის მიდამოები, რომელიც ქალაქ ქუთაისის ფარგლებში მდებარეობს და რკინის გზის ხაზზე ერთი ვერსით არის დაშორებული. ქარხნის ყოველგვარი მოწყობილობა შეკვეთილია გერმანიაში. ქარხნის და ბარიტის წისქვილის აგება ერთად ჯდება—400 ათასი მანეთი. ქარხანა ბარიტს დაამუშავებს ქიმიური წესით. ქარხნის წლიური ნაყოფიერება მუშების ერთი წყებით იქნება 400.000 ფუთი. ქარხანა მუშაობას დაიწყებს 1927 წლიდან.

საქართველოს ს. მ. უ. ს. სამთო ქიმიურმა კომბინატმა 1924—25 წლის განმავლობაში ამოიღო და დაამზადა 280.000 ფუთი ბარიტი და 30 ათასი ფუთი ოხრა და სურინჯი. 1925—26 წელს ბარიტის მოპოვება მეტად გაიზარდა, სამაგიეროდ დაიკლო—ოხრამ და სურინჯმა.

1925—26 წელს ამოღებულ იქნა 470.000 ფუთი ბარიტი, და 20 ათასი ფუთი ოხრა და სურინჯი. ამ მოვლენების მიზეზი ის არის, რომ მოთხოვნილება ბარიტის ქიმურ ნაწარმოებზე თანდათან იზრდება, ხოლო ოხრა-სურინჯის ნაწარმოებზე კი კლებულობს.

არქეოლოგიური გათხრა

სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში მოსკოვიდან აფხაზეთში ჩავიდა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის, ცნობილი არქეოლოგის ა. ბაშკიროვის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიციის მიზანია, ნივთიერი კულტურის ძეგლების შესწავლა და ბრინჯაოს პერიოდის ნაშთების გამოკვლევა. ექსპედიციამ უკვე დაამთავრა მუშაობა წებელდასა და გუდაუთ-ფოიცხის რაიონებში, სადაც ექსპედიციამ მოახდინა რამოდენიმე არქეოლოგიური გათხრა, რასაც შედეგათ მოჰყვა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაშთების აღმოჩენა. ამავე ექსპედიციამ აწარმოვა მუშაობა სოხუმის განაპირა რაიონებში უძველესი ხანის კულტურული ნაშთების აღმოსაჩენად. ამჟამად პროფ. ბაშკიროვი იკვლევს ძველი დიოსკურიის ტერიტორიის საზღვრებს. ნაწილი თანხების არქეოლოგიური მუშაობის საწარმოებლად გაიღო აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭომ.

ერთი თვის წინად აჭარისტანის ისტორიულ-არქეოლოგიურმა მუზეუმმა შეიძინა სოფელ ზანიტში აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის სხვადასხვა ნივთები: სომარი იარაღები—სატევრები, წაბები და დაუმუშავებელი ბრინჯაო. სპეციალისტების დასკვნით, სოფელ ზანიტში,—იმ ადგილას, სადაც აღმოჩენილ იქნა ზემოხსენებული საგნები, უნდა ყოფილიყო იარაღების დასამზადებელი სამჭედლო.

სოფელ მახუნცეთში გვირაბის გაყვანის დროს აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ბრინჯაოს ეპოქის ნივთები: ოროლი, შუბი, ცული და ბრინჯაოს თითისტარი.

ამჟამად ყველა ეს აღმოჩენილი ნივთები ინახება აჭარისტანის საოლქო მუზეუმში.

რკინისგზაზე

ცეცხლი

გუშინ, დღის 4 საათზე, სად. ნავთლუღში ცეცხლი გაუჩნდა გასაზიდ თივას. ცეცხლი ჩააქრეს 5 საათ. და 40 წუთზე, დაიწვა 50 შეკვრა თივა.

სესხები

რკინის გზათა ცენტრალურმა გამგეობამ მისცა ა.-კ. რკ. გზის გამგეობას 1926—27 საოპერაციო წლის პირველ მეოთხედისათვის შემდეგი სესხები:

ორთქლმავლების მუშაობის გასაუმჯობესებლად—5.000 მანეთი, კაზანცევის ავტომატიურ მუხრუჭების მოსაწყობათ—50.000 მანეთი, ვაგონების შესაკეთებლად—25.000 მანეთი, ელექტროფიკაციისათვის—20.000 მანეთი, უპატრონო ბავშვთა დასახმარებლად—33.212 მანეთი და სტიპენდიების გასაცემათ—2.100 მანეთი.

პროფინტერნის კომისია

თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა პროფინტერნის სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალებული აქვს გამოიკვლიოს აზოვისა და შავის ზღვის ნავთსადგურებში არსებულ საერთაშორისო პროპაგანდის ბიუროების მუშაობა.

კომისიაში შედიან: ამხ. ჩურძიკ—პროფინტერნის საქმეთა მმართველი, ამხ. ხასკიტი—პროფინტერნის საორგან. განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი და ამხ. ოლიანოვსკი—ტრანსპორტის მუშაკთა შორის პროპაგანდის ჩამტარებელ საერთაშორისო კომიტეტის ინსტრუქტორი.

კომისიამ მოახდინა ნიკოლაევსკის, ოდესის, ფეოდოსიის, ფოთის და ბათომის ნავთსადგურთა ბიუროების მუშაობის გამოკვლევა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ხასკიტმა განაცხადა:

„საერთაშორისო პროპაგანდის ბიუროების მუშაობა, თუმცა ყოველთვის იდგა პროფინტერნის ყურადღების ცენტრში, მაგრამ მათი მოღვაწეობის სრული გამოკვლევის საშუალება მხოლოდ ეხლა მოგვეცა. ჩვენ დეტალურად გამოვიკვლიეთ აღნიშნული ბიუროების მუშაობა და უნდა აღვნიშნოთ, რომ საპროპაგანდო მუშაობა მეზღვაურთა შორის საერთოდ დამაკმაყოფილებლად სწარმოებს.

საქართველოს ნავთსადგურებში—ბათომსა და ფოთში. საჭიროა მუშაობის გაძლიერება ინგლისელ და იტალიელ მეზღვაურთა შორის. კომისია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი ორგანოები ხელს უწყობენ მეზღვაურთა შორის საპროპაგანდო მუშაობის ჩატარების საქმეში ჩვენ სადგურთა ბიუროებს და ყოველმხრივ ეხმარებიან მათ თავიანთ მუშაობაში. ეს კი იმის თავდებია, რომ ჩვენი მუშაობა შესაფერ ნაყოფს გამოიღებს".

ნათესების მდგომარეობა

15 ოქტომბრისათვის

ოქტომბრის პირველ ნახევარში ამინდი ხელსაყრელი არ იყო ნათესებისათვის; ამინდის ყველაზე უფრო უარყოფითი მხარე იყო სითბოს ნაკლებობა.

5-9 ოქტომბრამდე დასავლეთ საქართველოში ადგილი ჰქონდა ხშირ წვიმებს და ნიაღვრებს, რის გამო აჭარისტანში და ოზურგეთის მაზრაში ადიდებულმა მდინარეებმა წალეკა სიმინდის ნათესები, ვენახები და ბოსტნები.

10 ოქტომბრიდან ამინდი შეიცვალა, რამაც ხელი შეუწყო ბამბის და ყურძნის დამწიფებას.

ცალკე მაზრებში სიმინდის ნათესების მდგომარეობა გაუარესდა ზუგდიდის, ლეჩხუმის, რაჭის მაზრებში და აფხაზეთში. ბამბის ნათესების მდგომარეობა პირველ ოქტომბერთან შედარებით გაუარესდა 0,1 ნიშნით; გაუარესება ეტყობა სენაკის და ზუგდიდის მაზრას და აფხაზეთს.

უმნიშვნელოდ გაუარესდა აგრეთვე ვენახების მდგომარეობა (0,1 ნიშნით); გაუარესება ეტყობა ოზურგეთის და რაჭის მაზრებს და აფხაზეთს. უმნიშვნელო გაუმჯობესება ქუთაისის მაზრას.

თამბაქოს პლანტაციების მდგომარეობა გაუარესდა 0,4 ნიშნით ოზურგეთის მაზრის და აფხაზეთის ხარჯზე.

გაუმჯობესდა ხეხილის ბაღების მდგომარეობა 0,1 ნიშნით; გაუმჯობესება მოხდა ზუგდიდის მაზრის და აფხაზეთის ხარჯზე.

საერთოდ, აუკრეფავ კულტურების მდგომარეობა 15 ოქტომბრისათვის პირველ ოქტომბერთან შედარებით ცუდი ამინდების გამო მნიშვნელოვნათ გაუარესდა.

ამერიკელი ექიმები

თბილისში

გუშინ, საღამოს 8 საათზე, საქართველოს სამხედრო გზით კავკავიდან თბილისში ჩამოვიდა ამერიკელ სამეცნიერო მუშაკთა დელეგაცია.

დელეგაციაში შედიან: ექიმი ქალი ბერნჰოლმი (კომუნისტი),—ნიუ-იორკის პროფესიონალურ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორი და ამავე ინსტიტუტის მდივანი— ლუ შელლერი.

დელეგაცია სამი კვირაა, რაც მოგზაურობს საბჭოთა კავშირში. სტუმრებმა უკვე დაათვალიერეს მოსკოვი, ხარკოვი, დონის ბასეინი, კისლოვოდსკი და სხვა ცენტრები.

მათი ჩამოსვლის მიზანია სახალხო ჯანმრთელობის დაცვის და საკურორტო საქმის გაცნობა საბჭოთა კავშირში.

თბილისში დელეგატები დარჩებიან ორი დღე. დაათვალიერებენ სამკურნალო დაწესებულებებს და გაეცნობიან ჯანმრთელობის დაცვის საქმეს საქართველოში.

თბილისიდან დელეგაცია ხვალ საღამოს მიემგზავრება ბაქოში, იქიდან როსტოვში და მოსკოვში.

შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისია

გუშინ, თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისიის წევრი—ეკონომისტი ბირიუკოვი; აღნიშნულ კომისიას დავალებული აქვს ამიერ-კავკასიის მებამბეობის რაიონების გამოკვლევა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ბირიუკოვმა განაცხადა, რომ ამჟამად შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისია შეუდგა ამიერ-კავკასიის გლეხთა მეურნეობების გამოკვლევას. ეს გამოკვლევა ჩატარებული იქნება სასწრაფოდ და დამთავრდება არა უგვიანეს 1927 წლის პირველ იანვრისა.

გამოკვლევა გამოარკვევს გლეხების მატერიალურ მდგომარეობას და იმას, თუ რამდენი კრედიტი უნდა მიეცეს გლეხებს, რომლებიც გადადიან ბამბის კულტურაზე.

გამოკვლევა ჩატარებული იქნება ამიერ-კავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს საშუალებით.

სას.-სამ. გამოფენა

ახალქალაქში

24 ოქტომბერს, ახალ-ქალაქში გაიხსნა რაიონული სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. გახსნას დიდძალი გლეხობა დაესწრო.

ყველაზე უფრო მეტის სისწრაფით იქმნა წარმოდგენილი მებოსტნეობის, მეძინდვრეობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ცხენთა მოშენების, სარძეო მეურნეობისა და მეფუტკრეობის განყოფილებანი.

პრემიალურმა კომისიამ სპეციალურ ფონდიდან გლეხებს მიუსაჯა პრემიები საუკეთესო კვიცებისა, ნათესისათვის და სხ.

გამოფენაზე შედარებით სუსტად იყო წარმოდგენილი გლეხთა ექსპონატები და მესაქონლეობის განყოფილება, რაიც აიხსნება იმით, რომ მაზრაში საქონლის ჭირი იყო.

ზაჰესი და თბილისის წყალსადენი

ზაჰესის ფარების გამოცდასთან დაკავშირებით მტკვარზე მოსალოდნელია ხელოვნური წყალდიდობა, რომელიც დრო და დრო ხან მოიმატებს და ხან დაიკლებს. მოსალოდნელი წყალდიდობის გამო თბილისის წყალსადენმა მიიღო სათანადო ზომები, რომ ქალაქი მუდამ უზრუნველყოფილი იქნეს სუფთა წყლით. ამ საკითხის შესახებ ინჟ. ლ. დიასამიძემ ჩვენს თანამშრომელს გადასცა შემდეგი:

— ზაჰესის ნაგებობათა გამოცდები წინასწარ შეთანხმებულია წყალსადენის სამმართველოსთან. ჩვენი წყალსადენი მოწყობილი, თანამედროვე ტეხნიკის მოთხოვნილებების სრული დაცვით და მას შეუძლია მიიღოს ყოველ წამში 40 კუბიკური მეტრიდან 1000 კუბიკურ მეტრამდე წყალი. მტკვარის საშუალო წყალდიდობა კი იძლევა 500 კუბიკურ მეტრამდე წყალს.

ჩვეულებრივი წყალდიდობის დროს წყალსადენის საწმენდი ფილტრები (სპეციალური აუზები) ვერ ასწრებენ წყალის სრულ დაწმენდას და ამიტომ წყალსადენში ხშირათ მღვრიე წყალი მოდის. ეხლა კი წყალი არ აიმღვრევა და წყალსადენშიაც წმინდა წყალი წავა.

თბილისის მოქალაქეებს შეუძლიათ დამშვიდებით უყურონ მტკვარის დაშრობასაც და ხელოვნურ წყალდიდობასაც, რადგანაც მათ წყალი არ მოაკლდებათ.

მცხეთის კეთილმოწყობა

თბილისის აღმასკომმა გადასწყვიტა მცხეთის კეთილმოწყობა ქალაქის ტიპის მსგავსად.

მცხეთის კეთილმოწყობა დაკავშირებულია ზაჰესის აგებასთან. ზაჰესის ამუშავების შემდეგ მოსალოდნელია მცხეთში მოსახლეობის და წარმოებების რიცხვის გაზრდა. ამიტომ, სანამ შეუდგებოდენ მცხეთის კეთილმოწყობას, თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, მცხეთის საზღვრების წინასწარი გამორკვევა, რა მიზნითაც მხედველობაში მიღებული იქნება არქეოლოგიურ-ისტორიული ცნობები და მასალები და აგრეთვე მოსახლეობის მომავალი ზრდისათვის საჭირო პირობების გათვალისწინება.

მცხეთის კეთილმოწყობის და გაფართოების გეგმის შესადგენად შესდგა კომისია, რომელშიაც მოწვეულნი არიან პროფ. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ჩუბინაშვილი, ისტ.-ეთნოგრ. საზოგადოების, გეოგრ. საზ-ბის, მუზეუმის, საქ. ეკონ. საბჭოს სატეხნიკო კომიტეტების და აღმასკომის საგეგმო კომისიის წარმომადგენელნი, ინჟ. ლეჟავა და ინჟ. ქურდიანი.

სათეატრო მუზეუმი

სათეატრო მუზეუმის მოწყობა ამჟამად დაჩქარებით სწარმოებს. ეს მუზეუმი პირველი იქნება მთელ ამიერ-კავკასიაში. მუზეუმს, მიკუთვნებული აქვს ვასო აბაშიძის სახელი და მისი გახსნა განზრახულია ქართული დრამის სეზონის გახსნასთან ერთად.

ცენტრალური ადგილი მუზეუმში დათმობილი ექნება ქართულ თეატრს, მის ისტორიას, ქართველ ცნობილ მსახიობებს და დადგმების ესკიზებს. ცალკე განყოფილებათ მოეწყობა აგრეთვე რუსული სექცია, სომხური და თათრული თეატრალური ცხოვრების დამახასიათებელი განყოფილებებით.

მუზეუმთან მოეწყობა განსაკუთრებული ცნობათა ბიურო, საიდანაც იწარმოებს სხვადასხვა ხასიათის ცნობების გაცემა ყველა ეროვნებათა თეატრების შესახებ.

ცალკე ადგილი ექნებათ დათმობილი ვლ. მესხიშვილს, ნატო გაბუნიას, ა. ცაგარელს, ქ. მესხს, კ. ყიფიანს და სხვებს. ამჟამად სწარმოებს მათი ტანისამოსების, სურათების და სხ. ნივთების მოკრება მუზეუმისათვის. მუზეუმში წარმოდგენილი იქნება აგრეთვე ქართული ოპერა და მისი პირველი მოამაგენი ვ. სარაჯიშვილი და სხვ.

მუზეუმის მოწყობას ხელმძღვანელობს გან. კომისარიატთან არსებული ხელოვნების მთავარი განყოფილება.

პროფკავშირებში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის მესამე კონფერენცია

გუშინ, საღამოს 6 ნახევარ საათზე, მუშკოოპის კულტკუთხეში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის სრულიად საქართველოს მესამე კონფერენცია.

კონფერენციას ესწრება 48 დელეგატი.

პრეზიდიუმი

პრეზიდიუმში არჩეულ იქნა შემდეგი ამხანაგები:

ათოევი, ბიგვავა, თევზაძე, კალანდაძე, სეფერთელაძე, გვარამაძე და კიზირია.

შემდეგ კონფერენციამ დაამტკიცა რეგლამენტი და შემდეგი დღის წესრიგი:

1. კავშირის ც. გ. საანგარიშო მოხსენება; 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3. მომჭირნეობის რეჟიმი და კავშირები; 4. კავშირის წევრთა დაცვითი მუშაობა; 5. კავშირის საზამთრო კლუბის აშენების შესახებ; 6. კავშირის სრ. საქ. მე-6 ყრილობის მოწვევის შესახებ; 7. პროფკავშირების მე-7 საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნ დელეგატების არჩევა.

ამხ. ათოევის მოხსენება

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს კავშირის გამგეობის თავმჯდომარე —ამხ. ათოევი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირი ამჟამად აერთიანებს 23.997 კაცს; ერთი წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარდა 2.697 კაცით 12,7 პროც.). საშუალოდ კავშირის წევრთა რიცხვი ყოველთვიურად იზრდება 225 კაცით.

წევრთა რიცხვის ზრდა აიხსნება სავაჭრო ორგანიზაციების ქსელის ნაწილობრივი გაფართოვებით და სხვა კავშირებიდან გადმოსვლით.

კავშირის წევრთა საერთო რიცხვიდან 84,7 პროც. მამაკაცებია და 15,3 პროც. ქალები. ეროვნების მიხედვით: ქართველები—61,7 პროც., სომხები—16,3 პროც., რუსები—12,3 პროც. და სხვა ეროვნებანი—9,8 პროც.

უმუშევართა რიცხვი პირველი ოქტომბრისათვის უდრიდა 4.498 კაცს, ანუ 18,7 პროც.

კავშირის ც. გ. საორგანიზაციო მუშაობა 1 იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე ხასიათდებოდა გეგმაშეწონილი მუშაობის გაძლიერებით, ქვედა საფეხურის უჯრედებისათვის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით და მასიური მუშაობის გაღრმავებით.

ც. გამგეობის მიერ ჩატარებული იქნა განყოფილებების და ადგილკომების გადარჩევა თბილისში და მის მაზრებში; ჩატარებული იქნა აგრეთვე ქვედა უჯრედების გადარჩევა და ინგლისის გაფიცულ მუშებისათვის დახმარების აღმოჩენის კამპანია.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა კავშირის ფულების გაფლანგვის 10 შემთხვევას; გაფლანგულ იქნა 3.066 მანეთი. ცხრა შემთხვევა მოდის ადგილკომზე და ერთი სამაზრო განყოფილებაზე (ბორჩალო). ყველა გამფლანგველი გამორიცხულია კავშირიდან და მიცემულია პასუხისგებაში; ერთ მათგანზე განზრახულია მოეწყოს —საჩვენებელი გასამართლება.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა ც. გამგეობის სატარიფო-ეკონომიურ მუშაობაზე.

მოხსენების შემდეგ კონფერენციამ სომხეთში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ კავშირის თანხებიდან გადასდო 500 მანეთი.

მუშათა ცხოვრება

27 ოქტომბერს, საღამოს სრულ ხუთ საათზე, ჩვენი რედაქციის ბინაზე დანიშნულია „კომუნისტი"-ს მუშკორთა საგანგებო კრება.

ყველა ჩვენი მუშკორებისათვის აღნიშნულ კრებაზე დასწრება სავალდებულოა.



ასოთ-ამწყობი ამხ. მაქ. წულაძე

42 წელი შრომის ფრონტზე

ამხ. მაქსიმე შევარდენისძე წულაძე ძველი ასოთამწყობია. იგი დაიბადა 1866 წ. ოზურგეთის მაზრაში სოფ. ჭანჭათში, გლეხის ოჯახში; სწავლის და წერ-კითხვის სურვილი მას 6 წლიდან აღეძრა. მცირე წერა-კითხვის მცოდნე დედამ პატარა მაქსიმეს შეასწავლა ანბანი და წერაც. როცა მაქსიმე წამოიზარდა მან განიზრახა წასულიყო ბათომში, მახარაძის სტამბაში, რომ ასოთამწყობობა შეესწავლა, რაც კიდეც შეასრულა. ხელობის შესწავლის შემდეგ ამხ. მაქსიმე გადადის ქ. ოზურგეთში ქ. თავართქილაძის სტამბაში და წიგნის მაღაზიაში. აქვე ამხ. მაქსიმე ეცნობა მაშინდელ მოწინავე ამხანაგებს და არალეგალურ წიგნებსაც იმათგან ღებულობს საკუთარ პოლიტიკურ აზროვნების განსავითარებლად.

შემდეგ წელში მაქსიმე გადადის იმავე ხელობაზე ახალ-სენაკში, სადაც გაეცნო ამხ. რაჟდენ კალაძეს, რომელთანაც მჭიდროდ კავშირდება და განაგრძობს პოლიტიკურ მომზადებას. ამასთანავე ამხ. მაქსიმე ქ. ბათომის ზოგიერთ სანდო ამხანაგებთან ეწევა არალეგალურ მუშაობას, რაშიაც მას ხელს უწყობდენ ნიკოლოზ ცერცვაძე და მ. ჭეიძე.

1895 წ. ბათომში არსდება მარქსისტთა წრე მაშინდელ მოწინავე ამხანაგების ინიციატივით. ამ წრეში ამხ. მაქსიმეც მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა.

საავადმყოფო სალაროების დაარსებისას ჯერ კიდევ მეფის დროს სტამბის მუშებისაგან ამხ. მაქსიმე არჩეულ იქნა ამ სალაროს გამგეობის წევრად და ის ამ თანამდებობას შერჩა 1922 წლამდე.

რევოლიუციონური მოძრაობა თანდათან ძლიერდება, ამიტომ ამხ. მაქსიმე სხვებთან ერთად 1900 წელს თავს ანებებს სტამბას და გადადის მანთაშევის ბათომის ქარხანაში იმ მოსაზრებით, რომ არალეგალური მუშაობა უფრო გაეცხოველებია ბათომის მუშებში და მოეწყო მათში მუშათა წრეები თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად. ამხ. მაქსიმეს ხშირად უხდებოდა პროკლამაციების ბეჭდვა არალეგალურ სტამბაში და აგრეთვე კერძო სტამბაშიაც.

ბევრი დევნა განუცდია მას ნიკოლოზის ჟანდარმებისაგან, მაგრამ ერთხელაც არ გაუფუჭებია რევოლიუციონურ ორგანიზაციების მიერ მასზე დავალებული საქმე.

ამხ. მაქსიმეს ბინაზე, ბარცხანაში, ხშირად იმართებოდა საიდუმლო კრებები, ამხ. იოსებ ჯაკაბაძის თანდასწრებით და სხვა მოწინავე მუშების მონაწილეობით.

მბეჭდავთა კავშირის დაარსებისთანავე ამხ. მაქსიმე ყოველთვის ამ კავშირის გამგეობის მუდმივი წევრი და თავმჯდომარე იყო. გარდა ამისა ამხ. მაქსიმე კულტურულ მუშაობასაც ეწეოდა და ბევრს წერა-კითხვასაც ასწავლიდა. წიგნებითაც ხელს უწყობდა მათ და თან ეუბნებოდა:

— შენ, ოღონდ წაიკითხე, ამხანაგო, და წიგნებს, რამდენიც გინდა, იმდენს გიშოვით!

1923 წ. ამხ. მაქსიმე გადაიყვანეს სოცუზრუნველყოფაზე, მაგრამ ეს მან არ მოისურვა და კავშირის ნებართვით ის დღესაც განაგრძობს გაზეთ „ფუხარა"-ზე მუშაობას და აქ ასოთამწყობთა შტატში ირიცხება.

40 წელზე მეტია, რაც ამხ. მაქსიმე ასოთამწყობ მოწინავე მუშათა რიგებში ითვლება და დიდი პატივისცემით და სიყვარულით იხსენიებს მას სტამბის ბევრი მომუშავე მისი ყოფილი და მადლიერი მოწაფენი. ის უკვე 60 წლისაა, მაგრამ მოხუცებულობა ხელს არ უშლის მას საბჭოთა ხელისუფლების დამცველი და მოამაგე იყოს.

ამხ. მაქსიმე ხშირად იგონებს წარსულ მუშაობას და ამბობს:

— ბედნიერი ვარ, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების და პროლეტარიატის დიქტატურის ხანას მოვესწარი!

ბათომის მბეჭდავთა კავშირმა და მუშებმა მას უკვე დიდი ზეიმით გადაუხადეს 42 წლის დაუღალავი შრომის აღსანიშნავად იუბილე და შრომის გმირის სახელწოდება არგუნეს.

მუშკორი უ—ნი.

სურსათ-გემოვნ. კავშირის მე-4 ადგილკომში

აღნიშნული ადგილკომის გადარჩევა მოხდა ა. წ. 1-ლ სექტემბერს. ადგილკომში შედის 7 კაცი—5 წევრი და 2 კანდიდატი. ამათ შორის პ.-მგ. მდივანია ამხ. რობაქიძე. გამოყოფილია სხვადასხვა კომისიები.

ადგილკომი ხელმძღვანელობს 64 დაწესებულებას. საერთოდ ადგილკომი აერთიანებს 187 კაცს. ამათ შორის მუშა არის 147 კ. მოსამსახურე კი—40. ზემოაღნიშნულ ჯგუფებში ჩატარებულია კამპანია ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ ხელფასის 1 პროც. გადადების შესახებ.

ადგილკომის ხელმძღვანელობით შრომის დაცვ. კომისიის მიერ მოხდა დათვალიერება 4-ჯერ ღამის მუშაობისა. ამ დათვალიერების დროს იქმნა შედგენილი 36 ოქმი, რომელიც გადაგზავნილია შრომის ინსპექტორთან ზომების მისაღებათ.

იქმნა უფასოდ დადგმული კინო-ლექცია, რომელსაც დაესწრენ მუშები თავიანთი ოჯახის წევრებით.

ყოფილი ადგილკომის დროს საკავშირო ანარიცხების დავალიანება იყო 6—11 თვის. ზოგიერთი დაწესებულებებზე ახალი ადგილკომის მიერ 50 პროც.-მდე აღებულია ადგილკომის შესანახ ხარჯების და კულტფონდის ანარიცხები.

არის დარჩენილი დაწესებულებები, რომელთაც არა აქვთ გასწორებული დავალიანება. ამიტომ მათ მიეცათ წინადადება, რათა იქნას შემოტანილი ადგილკომში დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანახმად კომ. დადგენილებისა, ისინი იქნებიან სასამართლოში გადაცემული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყოფილ ადგილკომის დროს მუშებს უხდებოდათ ზედმეტი მუშაობა. ახალი ადგილკომის მიერ იქმნა ზომები მიღებული, რათა ასეთი სამუშაოები გადაეცეთ უმუშევარ მუშებს, რომლებიც ბირჟაში 6—8-თვემდე უმუშევრებად იყვნენ.

მადლობის ღირსია ადგილკომის პ.-მგ. მდივანი ამხ. რობაქიძე ასეთი უმუშევარი მუშების ინტერესების დაცვისათვის.

ყველა კომისიებს სისტემატიურად აქვთ სხდომები; განაწილებულია დაწესებულებების დათვალიერება კვირაში 1-ჯერ.

მიღებულია ზომები შრომ. დაც. კომ. მიერ სარდაფში მომუშავე მუშების შესახებ, რადგან სარდაფები ნესტიანია და არ შეიძლება შიგ მუშის მუშაობა.

მიცემულია წინადადება, რომ იქნეს სარდაფები შეკეთებული, რათა მუშამ შეინარჩუნოს თავისი ჯანსაღობა. ასეთის მოსაგვარებლად იქმნა ოქმი გადაგზავნილი სურსათ-გემოვნების კავშირში ზომების მისაღებათ.

რადგან არის ისეთი დაწესებულება, რომელშიც მუშაობენ არა კავშირის წევრები, მიღებულია ზომები, რათა ისინი იქნან ჩარიცხული კავშირის წევრებად და დაიზღვიონ კიდეც.

რაც შეეხება კულტ-კომისიის მუშაობას იგი მოიკოჭლებს შენობის უქონლობის გამო.

საჭიროა შენობის დროზე შეძენა, რითაც შეიძლება კულტ-მუშაობის გაცხოველება.

არაა კედლის გაზეთი გამოშვებული შენობის უქონლობის გამო. ადგილკომს აქვს პატარა სამკითხველო და იწერს თავის ფონდით ადგილობრივ გაზეთებს.

ი. ველეველი.

მუშათა ქრონიკა

— გამოკვლევა. ა.-კ. რკინის გზის დამზღვევ სალარომ ჩაატარა ყველა საუბნო დამზღვევ სალაროების მუშაობათა გამოკვლევა.

— დახმარება ინგლისის მემაღაროებს. სად. რუსთავის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა—გაიღოს ყოველთვიურად ერთი პროცენტი ინგლისის გაფიცულ მემაღაროელთა სასარგებლოდ.

— კლუბის შეკეთება. ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობა უკვე შეუდგა კლუბის შეკეთებას, იხატება აგრეთვე ახალი დეკორაციები.

— „სურათები რკინის გზის ცხოვრებიდან". უკვე დაიბეჭდა მუშა ს. დოლიძის 154 გვერდიანი წიგნი, სადაც მოთავსებულია მხოლოდ რკინის გზის ცხოვრებიდან აღებული სურათები და ლექსები.

— 1.800 მანეთი. ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბის გამგეობამ ახალი დეკორაციების დასახატავად გაიღო 1.300 მანეთი.

— სამუსიკო-სალიტერატურო საღამო. 13 ოქტომბერს, პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში გაიმართა მუსიკალურ-სალიტერატურო საღამო იუმორისტ ქ. რამიშვილის ხელმძღვანელობით.

— „შეშლილები". ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბთან არსებული ქართული დრამწრე ვ. ნინიძის ხელმძღვანელობით ზამთრის სეზონის გასახსნელად ამზადებს „შეშლილებს".

— დახმარება ინგლისის მუშებს. საგზაო კონფერენციამ მიმართა საგზაო და საუბნო კომიტეტებს გააძლიერონ დახმარება ინგლისის მემაღაროელთა სასარგებლოდ.

— დელეგატების არჩევა. მესამე საგზაო კონფერენციამ სრულიად საკავშირო პროფკავშირთა ყრილობის დელეგატებად აირჩია: ამხ. ხაზაშვილი, კალანდაძე, კირაკოზიანი, სადიხ-ბადიროვი და კაპანაძე.

— დამაკმაყოფილებლად. სად. სამტრედიის დეპოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ ადგილკომის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„დემონი"

ეს იყო მართლაც ისეთი წარმოდგენა, რომელსაც თავისი მხატვრული მიღწევებით შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა სერიოზული მოთხოვნილებანი.

ბოგოლეპოვა (თამარა) კვლავ მოგვევლინა თავისი განსაცვიფრებელი ვოკალური და სცენიური ნიჭის მრავალფეროვანებით; დაწყებული პირველი გამოსვლიდანვე და გათავებული უკანასკნელი ფინალური სცენით, შესრულება უაღრესად მხატვრული იყო, განსაკუთრებით მე-3-ე აქტში (სცენა მონასტერში). შესანიშნავი, უტყუარი გრიმი, გულწრფელი განცდა და მუსიკალობა თავიდან ბოლომდე. ბოგოლეპოვა თამარის პარტიის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია თბილისის საოპერო სცენაზე.

ოპერის მთავარ პარტიაში (დემონი) გამოვიდა კარელოვი, რომელმაც უკვე მოიპოვა სერიოზულ მუსიკალურ მომღერალის სახელი. დემონის პარტიას ესაჭიროება ძლიერი და მრავალფეროვანი ხმა. პროლოგში არტისტი კიდევ არ იყო შესული თავის როლში და ამიტომ ნაკლები იყო ტემპერამენტი სიმღერაში, აქ ის „светом небесным не сиял", პირიქით, აქ ის უფრო მიწასთან იყო ახლოს, ვინემ ზეცასთან, მაგრამ მე-2-ე სურათიდან მომღერალმა ღრმა განცდით შეასრულა მონოლოგი მძინარე სინოდალის სასთუმალთან. მოქმედების განვითარების მიხედვით არტისტი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა მხატვრულ სრულყოფას: მე-3-ე აქტის ორივე რომანსი შესრულებული იყო ღრმა განცდით, მუსიკალურად, ლამაზი ბგერებით და მკაფიო ფრაზით. პირველი რომანსი სჯობდა მეორეს, სადაც სასურველი იყო მეტი ლირიზმი. სასაფლაოს სცენაზეც უფრო ღრმა განცდაა საჭირო, განსაკუთრებით ანგელოსთან დიალოგში. ყველა სცენები მონასტერში თამართან შესრულებული იყო ტემპერამენტით და დამთავრებულად, განსაკუთრებით მონოლოგი „несокрушимый мавзолей".

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა კანსბურგმა თავად სინოდალის პარტიის შესრულებით. აქ გამოიჩინა თავისი ლამაზი ლირიული ტენორი და სცენიური ხერხების სისწორე. არტისტი დაკვირვებით თვალყურს ადევნებს ორკესტრის მუსიკალურ ტექსტს და უტყუარად გადმოგვცემს სინოდალის მწარე განცდებს. კარგია გარეგნობაც.

ანგელოსის პარტიას მუსიკალურად მღერის მაყაშვილის ქალი. ის ყოველთვის გულდასმით უკვირდება თავის პარტიას.

ტიპიური თავადი გუდალი არის შარაშიძე მისი ხმა განსაკუთრებით მიმზიდველია ამ სეზონში. უნდა აღინიშნოს ლამაზი გრიმი, მკაფიო და მრავალფეროვანი დიქცია.

გუნდმა ძლიამ მუსიკალურად შეასრულა პროლოგი.

ალბერტი მშვენივრად ცეკვავს ლეკურს.

რეჟისორმა ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა გაანებოს დემონის კედლიდან გასვლის სცენას—ეს არ არის მხატვრული.

ორკესტრს მშვენივრად უძღვება მელიქპაშაევი.

პ. ბ.

„დაისი"

შემსრულებელთა შემადგენლობა განახლებულია. მაროს პარტიაში გამოვიდა საოპერო დასში ახლად მოწვეული მომღერალი ქალი მაზოვეცკაია. არ შეიძლება არ აღინიშნოს მომღერალის მუსიკალობა, ლამაზი ტემბრის ხმა ნოქტიურნი (მიმართვა ვარსკვლავებისადმი); არის სრულყოფილი, მოფიქრებული. მაგალითად, მკრთალად იყო შესრულებული საუცხოვო ნოქტიურნი (მიმართვა ვარსკვლავებისადმი); ეს ერთ-ერთი შესანიშნავი ადგილია ოპერაში და მისი შესრულება უფრო მხატვრული უნდა იყოს და მეტ განწყობილებას უნდა ქმნიდეს. უკეთესად იყო შესრულებული ფინალური არია—„მაროს ტირილი". სცენიური გარეგნობა ლამაზია.

საუცხოვოდ ისმოდა ქუმსიაშვილის (მალხაზი) ხმა, მაგრამ შესრულებაში ვერ იყო საკმაო სცენიურობა (დუეტი მაროსთან), კიაზოსთან ხმალში შებმის და სიკვდილის სცენის გამოკლებით, სადაც არტისტი ბევრ განცდას და გულშემზარავ მომენტს იძლევა. ჩვეულებრივი განწყობილებით ვერ იყო შესრულებული არია „თავო ჩემო".

კიაზოს როლში გამოვიდა ვენაძე. შესრულება ყველგან კარგი იყო, პირველი მონოლოგის გამოკლებით. დიდი განცდით იყო შესრულებული „სულთ ბოროტო". სუფრული სიმღერა ცანგალასთან დიდი ტემპერამენტით ჩაატარა მომღერალმა.

სცენიური გარეგნობა კარგი აქვს როგორც ვენაძეს, ისე ქუმსიაშვილს.

ნიჭიერმა ვოლჩანეცკაიამ ნინოს სტილიური სახე მოგვცა.

ქურხული ვერ არის საკმაოდ ტიპიური ცანგალას პარტიაში, ის ნაკლებად წააგავს სოფლელ მოშაირეს. მე-2-ე აქტის კუპლეტების შესრულების დროს საჭიროა განწყობილების მრავალფეროვნება და საერთოდ მეტი ტემპერამენტი.

სვანიძე (ახალგაზრდა გლეხი) რეალურ სახეს იძლევა და საკმაო მუსიკალურია.

გუნდი ყოველგან კარგად მღერის, მაგრამ სასურველია მასიური სცენების გამოცოცხლება, არ უნდა ავიწყდებოდეთ გუნდის მომღერლებს, რომ გამოდიან ოპერაში და არა კონცერტზე. გუნდის უმოქმედობა განწყობილებას უფუჭებს მაყურებელს.

ცეკვა კარგად იყო დადგმული, განსაკუთრებით ლეკური (ალბერტი). საუცხოვო აკომპანიმენტს იძლევა ორკესტრი (ივანე ფალიაშვილი).

პ. ბ.

ხელოვნების ქრონიკა

ნინო ცაგარელის კონცერტი

სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ კლასის კურსდამთავრებულმა ნინო ცაგარელმა მოიარა ევროპის უდიდესი ქალაქები, სადაც დიდი წარმატებით იმართებოდა მისი კონცერტები. განსაკუთრებით დიდი აღტაცებით შეხვდენ მას პარიზში, სადაც მომღერალმა გამართა ქართულ რომანსების რამოდენიმე კონცერტი. ამჟამად მომღერალი იმყოფება თბილისში. ხვალ რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება მისი ერთად-ერთი კონცერტი.

◆ „კარმენ". დღეს ოპერის თეატრში მიდის „კარმენ".

◆ საბალეტო სტუდიაში. პერინის ხელმძღვანელობით არსებულ საბალეტო სტუდიაში მეცადინეობა დაიწყება 29 ოქტომბერს.

◆ დრამის სეზონი გაიხსნება ხუთშაბათს, 29 ოქტომბერს „ზამბუკ"-ით.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

◆ **საბინაო მშენებლობა.** მიხა ცხაკაიას სახელობის საბინაო-კოოპ. ამხ-ბას სესხად მისცა 8000 მან.

◆ **ტყე.** სატყეო კულტურის სექცია შეუდგა სუჯეენის ხევში ტყის გაშენებას.

◆ **ახალი ამხ-ბა.** დამტკიცდა ახალი საბინაო-სხივჯარო ამხ-ბა, რომელიც შესდგა ჯორჯიაშვილის ქ. № 6.

აღწერა

◆ **ქუჩების სია.** საკავშირო აღწერის ჩატარების გასაადვილებლად მომავალში გამოცემული იქნება თბილისის ქუჩების სია.

◆ **სახლთმფლობა.** აღწერის საორგანიზაციო კომისია შეუდგა სახლთმფლობელობის სიების ადგილობრივ შემოწმებას.

შრომის კომისარიატში

◆ აფხაზეთში 16 ნოემბრიდან არსდება სას.-სამ. შრომის ინსპექცია.

◆ **ქალთა შრომის კოლექტივი** დაარსდა სამტრედიაში.

◆ **ზედმეტი მუშაობა.** შრომის დაცვის განყოფილება შეუდგა იმ დაწესებულებების აღრიცხვას, სადაც სწარმოებს ზედმეტი მუშაობა.

◆ **დახმარება.** შრომის კომისარიატმა სენაკში ასაგებ საავადმყოფოს ფონდის გასაძლიერებლად გადასდო 500 მან.

◆ **შრომის სახალხო კომისარი** ამხ. არჩილ მიქაძე გაემგზავრა ჭიათურაში სამთამადნო მუშათა პროფკავშირის ყრილობაზე მონაწილეობის მისაღებათ.

„საბჭოთა ხელოვნება“

ხელოვნების მთავარი განყოფილების დადგენილებით ნოემბრის პირველი რიცხვებიდან დაიწყებს გამოსვლას განყოფილების ორკვირეული ორგანო „საბჭოთა ხელოვნება“.

ჟურნალის პასუხისმგებელ რედაქტორათ დანიშნულია ამხ. შ. დუდუჩავა.

შემთხვევები

ქურდების დაპატიმრება

ამა წლის 21 ოქტომბერს მოქ. ნიკო თუხარელს მოჰპარეს ნოხი.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო შაქრო გოგიტაშვილი, ვართან აირაპაიანცი და ალექსანდრე ერაძე.

ყველა ბოროტ-მოქმედნი გამოტყდენ დანაშაულში.

მთვრალი ხულიგანი

კვირას, 24 ოქტომბერს მე-8 სამილიციო რაიონში ბალის ქუჩაზე ადგილი ჰქონდა შემდეგ ხულიგნობას: ქუჩაში გამოჩნდა ძალზე მთვრალი მოქ. ერვანდ ბალაიანცი, რომელიც ჰყვიროდა და შეურაცყოფას აყენებდა გამვლელებს. საგუშაგოზე მდგომმა მილიციელმა მოუწოდა მას წესრიგისაკენ. ბალაიანცმა იუკადრისა მილიციელის შენიშვნა, გაარტყა მილიციელს და გაიქცა. მილიც-მა წინადადება მისცა გაჩერებულიყო, მაგრამ მან უკანაც არ მოიხედა. მილიციელი იძულებული გახდა ესროლა გაქცეულისთვის. ბალაიანცი დაიჭრა ფეხში. იგი მოთავსებულია პირველ საავადმყოფოში.

თავდასხმა მილიციელზე

ისე დღე არ გაივლის, რომ ქალაქის რომელიმე ქუჩაში ხულიგნებმა წესრიგი არ დაარღვიონ. ხულიგნები შეურაცყოფას აყენებენ როგორც მშვიდობიან მოქალაქეებს, ისე ადმინისტრაციის მუშაკებსაც. ერთ ალმაშფოთებელ ხულიგნურ გამოსვლას ადგილი ჰქონდა 24 ოქტომბერს დღის 3 საათზე. მეშჩანილეთა ბაზარში გუშაგობის დროს მე-3 რაიონის უმცროს მილიციელს ამხ. ნაქყეპიას გასალახავად თავს დაესხა რამოდენიმე მთვრალი მოქალაქე, რომლებიც გარს შემოეხვიენ მილიციელს და მოუნდომეს ცემა. მილიციელმა მოასწრო რევოლვერის ამოღება და მოინდომა მომხდურთა შესაშინებლად ჰაერში გასროლა, მაგრამ ამ დროს ჯიდაცამ ხელი დაჰკრა რევოლვერზე, რომლის გავარდნის დროს დაიჭრა ერთი თავდამსხმელთაგანი ვინმე ა. ღვინიაშვილი. ყველა თავდამსხმელები დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

გუშინ, საღამოს, თავი მოიწამლა ცენტრალურ კლინიკის თანამშრომელმა ანასტასია კუნწემანოვის ქალმა.

თვითმკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

თვითმკვლელი უკვე გარდაიცვალა.

—:—

◆ **დაჭრა.** 24 ოქტ. დესიმონოვის მოედანზე სიმთვრალის დროს ივანე ცატუტკმა დანით მუცელში დაჭრა ნიკოლოზ შვანკოვი.

◆ **ფანჯრის გამომტვრევის** საშუალებით 24 ოქტ. დესიმონოვის მოედანზე გაქურდეს ტევოსიანცის სახელოსნო.

◆ **შეპყრობა.** ქურდობისათვის შეიპყრეს ვლადიმერ ზურაშვილი.

— ამავე დღეს ქურდობისათვის შეიპყრეს რაფაელ ხაჩმანუკიანცი.

◆ **ქურდობა.** 24 ოქტ. განათლების კომისარიატის სტატისტიკურ განყოფილებიდან მოიპარეს რამოდენიმე შეკვრა ძველი გაზეთები.

— ამავე დღეს ბესიკის ქ. № 5 გაქურდეს ოლღა გროვენკოს ბინა.

— ამავე დღეს ჩერქეზიშვილის ქ. № 42 ანა ბაზიკინას ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ღამით ოსიპოვის შესახვ. № 11 გაქურდეს ანტონ კაიმადერის ბინა.

◆ **მორგებული გასაღების** საშუალებით 24 ოქტ. ქსენიევის ქ. № 6 გაქურდეს იოსებ ბაგატელოვის ბინა.

◆ **კოოპერატიულ ამხ-ბა „მებაღე“-ს** მაღაზიიდან № 3 მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

◆ **ბოქლომის გატეხის** საშუალებით ნავთლუღის შესახ. № 3 გაქურდეს ხარიტონ ხონგიევის ბინა.

◆ **კინო ხოლეიში** სერგო პოპოვს 24 ოქტ. ამოაცალეს 200 მ.

სასამართლო

ცილისწამება

როგორც მკითხველებმა იციან ტრამვაის სახელოსნოს მუშას გრიგოლ ქილაძეს ბრალდებოდა თავისი შვილის გაუპატიურება.

სასამართლომ ქილაძე გაამართლა.

ამის შემდეგ ქილაძემ პასუხისგებაში მისცა ცილისწამებისათვის თავისი ცოლი ვერა, ქალიშვილი ვალია, სიძე ს. ლორთქიფანიძე, ხ. დლონტი, ო. ბალაშჩივაძე და ლანდია.

საქმე 4 ნოემბერს გაირჩევა პირველი უბნის სახალხო სასამართლოში.

„არტოს“ მოიჯარადრეთა საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს გამომძიებელმა ამხ. ადამიძემ დაასრულა წინასწარი გამოძიება „არტოს“ მოიჯარადრეთა საქმეზე.

პასუხისგებაშია მიცემული ალექსანდრე ჩხეიძე, პავლე კავჟარაძე, ლეო მარკოზოვი და აღმასკომის კონტროლიორი ნოე ქინქლაძე.

ჩხეიძეს, კავჟარაძეს და მარკოზოვს ბრალდება თაღლითობა, ხოლო ქინქლაძეს კი ყველა ჩამოთვლილ პირების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობის მიღება.

როგორც საქმიდან სჩანს, ჩხეიძე და კამპანია ზაფხულის განმავლობაში ყიდდა ბაღ „არტოში“ შესასვლელ ბილეთებს; ბილეთები კი სათანადო რეგისტრაციაში არ იყო გატარებული. კონტროლიორმა ქინქლაძემ ყველაფერი ეს იცოდა, მაგრამ არავითარ ზომებს არ იღებდა, გამოირკვა, რომ ქინქლაძე მოიჯარადრეებისაგან ფულს სესხულობდა და ქრთამს იღებდა.

საქმე გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს.

შურისძიების მსხვერპლი

გუშინ დასრულდა მოწმეების დაკითხვა აჯიბამედ ისმაილ-ოღლის მკვლელების საქმეზე.

განაჩენი გამოტანილი იქნება დღეს.

განათლების ფრონტზე

ბავშვთა მოძრაობა

განათლების კომისარიატთან არსებულ ბავშვთა მოძრაობის კოლექტივში I სექტემბრისათვის ირიცხებოდა 90 ბავშვი; სექტემბერში მიღებულ იქნა 3 ბავშვი.

ამავე ხნის განმავლობაში კოლექტივიდან საბავშვო ბაღებში დაიგზავნა 15 ბავშვი, მშობლებს დაუბრუნეს 11 ბავშვი. 1 ოქტომბრისთვის კოლექტივში დარჩა 67 ბავშვი.

სამეცნიერო დაწესებულებები

სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ მმართველობის გამგეობა დაეკისრა განათლების სახ. კომისარს დ. კანდელაკს.

სატერმინოლოგიო კომიტეტში

პროფ. ქ. კეკელიძის სახელმწიფო უნივერსიტეტში პრორექტორათ არჩევის გამო, განთავისუფლებული იქნა სტერმინოლოგიო კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ამავე კომიტეტში წევრათ დატოვებით. კომიტეტის თავმჯდომარეთ დაინიშნა ვ. ბერიძე.

პოლიტგანათლების მთავარ მმართველობაში

განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით პოლიტგანათლების მთავარ მმართველობის გამგე ლ. რუხაძე და მისი მოადგილე გ. სულუხია განთავისუფლებული იქნენ თავიანთი თანამდებობიდან. პოლიტგანის მმართველობის გამგეთ დაინიშნა **ამხ. პლ. შუშანია.**

გამგეობების გადარჩევა

კოოპერაციაში

პირველი ნოემბრიდან იწყება გამგეობების გადარჩევა კოოპერაციაში.

ამიერ-კავკასიის კოოპერატიულმა კავშირმა და კოოპერატიულმა საბჭომ შეიმუშავა დაწვრილებითი ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა იქნეს ჩატარებული გადარჩევის კამპანია. ამ ინსტრუქციების ძალით, გადარჩევა ჩატარებული უნდა იქნეს ისე, რომ გამგეობებში არ მოხვდენ ისეთი ელემენტები, რომლებიც ხელს შეუშლიან კოოპერაციის მუშაობას.

ამავე დროს ინსტრუქციებში გათვალისწინებულია ისიც, რომ არჩევნების დროს ადგილი არ ექნეს ძალდატანებას ხელმძღვანელ ორგანიზაციის მხრიდან. კოოპერატიულ საბჭოს სასურველად მიაჩნია, რომ არჩევნები ჩატარებული იქნეს პერსონალურად და არა სიების მიხედვით.

გამგეობების გადარჩევაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციები, რაც თავდებია იმისა, რომ კამპანია წარმატებით ჩატარდება.

გადარჩევის კამპანიის ჩატარების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული სარევიზიო კომისიების არჩევნებს; ხშირად სარევიზიო კომისიები უშუალო მონაწილეობას არ იღებდენ კოოპერაციის მუშაობაში, რაც იწვევდა იმას, რომ უკანასკნელ ხანებში გახშირდა გაფლანგვა და ქურდობა კოოპერაციაში.

ხორცის ფასები

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ ხორცის საწვრიმალო ფასად დანიშნულია 74 კაპ კილოზე; ამისდამიხედვით დაწესებული ხორცის დამამზადებელ ორგანიზაციების მიერ გასაცემი საბითუმო ფასები ხორცზე.

ბაზარზე კი ხორცი იყიდება 70 კაპ. კილო; ამ ფასში ყიდიან ხორცს ხორცით ვაჭრობის სამმართველო, საზ-ბა „მწყემსი“ და კერძო ვაჭრები.

მუშკოოპი ხორცს იღებს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ ფასებში საზ-ბა „მწყემსი“-საგან. ვინაიდან შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული ფასები აღემატება საბაზრო ფასებს, მუშკოოპი იძულებულია ხორცი გაყიდოს 74 კაპ. კილო, იმ დროს, როდესაც ბაზარზე ხორცი იყიდება 70 კაპ. კილო.

ეს გარემოება ხელს უწყობს მუშკოოპის კლიენტების გადასვლას კერძო ვაჭრებთან, რაც დიდ ზარალს აყენებს მუშკოოპს.

ამის გამო მუშკოოპის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა შემცირებული იქნეს დამამზადებელ ორგანიზაციების გასაცემი საბითუმო ფასები.

მუშკოოპის შუამდგომლობას მხარი დაუჭირა თბილისის საბირჟო კომიტეტის ხორცის სექციამ.

„საქართველოს ჩაი“

აქციონერთა ყრილობა

25 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“ აქციონერთა ყრილობა. ყრილობაზე დასასწრებლად ჩამოვიდენ მოსკოვის იმ სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელნიც შედიან საზოგადოების აქციონერებათ.

ყრილობა გახსნა საქ. მიწათმოქმ. კომისარმა ამხ. ა. გეგეჭკორმა, საზოგადოების ერთი წლის მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქავთარაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საზოგადოების მთავარი ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ გაუმჯობესებულიყო ადგილობრივი ჩაის ღირსება, შემცირებულიყო მისი თვითღირებულება და ჩაის მეურნე გლეხებს მისცემოდათ საშუალება გაესაღებიათ საკუთარ პლანტაციებზე მოყვანილი ჩაი.

გარდა ამისა გამგეობას მიუღია ზომები ახალი ფაბრიკების ასაგებათ და ძველ მოწყობილობათა შესაკეთებლათ.

მიმდინარე წლის განმავლობაში საზოგადოების ვარაუდით ჩაქვის პლანტაციებიდან მიღებული იქნება 1.391.000 გირვანქა ჩაის ფოთოლი და 389.000 გირვანქა გლეხების დამზადებული ჩაი. სალიბაურის პლანტაციებიდან 208.000 გირვანქა ჩაის ფოთოლი და 110.000 გირვანქა—გლეხური ნაწარმოები. ოზურგეთის პლანტაციებიდან 14.000 საკუთარი და 69.000 გირ. ჩაის ფოთოლი გლეხების პლანტაციებიდან; მიქელ-გაბრიელის რაიონიდან—56.000 გირვანქა ფოთოლი, ხოლო ალანიდან 39.000 გირვანქა.

საზოგადოებას განზრახვა აქვს შეიძინოს შანხაიში (ჩინეთი) 27.000 ფუთი საუკეთესო ჯიშის ჩაის თესლი.

საკუთარი ფაბრიკების ჩაი წელს საზოგადოებას მისცემს 823.375 მანეთ შემოსავალს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს აქციონერებათ შემავალ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

ფეხბურთი

„დინამო“—„არსრაიონი“

„დინამო“-ს და „არსრაიონი“-ს პირველი რაიონის შეჯიბრი, რომელიც გაიმართა კვირას ლენინის სახელობის სტადიონზე, მეტად საინტერესო გამოდგა.

შეჯიბრი იწყება დინამოელთა მარჯვე შეტევით. „არსრაიონს“ ყოველთვის ახასიათებდა სწრაფი და გაბედული თამაში, ამ დღეს კი ისინი ნელა ზანტად თამაშობდენ, რის გამო ბურთი უმეტესად მათ კარებთან ტრიალებდა.

დინამოელები ხშირად ქმნიდენ სახიფათო მომენტებს მოწინააღმდეგის კარებთან, მაგრამ მისი დარღვევა მხოლოდ ერთხელ შესძლეს.

თავის მხრივ „არსრაიონიც“ მძლავრ შეტევაზე გადადიოდა დროგამოშვებით, მაგრამ „დინამო“-ს მცველების ძლიერი წინააღმდეგობის გამო, მათი იერიშები უშედეგოდ თავდება. ერთ შემთხვევაში „არსრაიონმა“ „პენალტიც“ კი ვერ გამოიყენა.

პირველი ჰავტაიმი თავდება 1:0 „დინამო“-ს სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე არსრაიონელებმა ისეთი ძლიერი შეტევა განავითარეს, რომ ოცი წუთის განმავლობაში მათი ფორვარდები არ მოშორებია „დინამო“-ს ჰეშკარს. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნებოდა, რომ „დინამო“-ს თამაშის მეორე განყოფილებაში გამოაკლდა ორივე ბეკი. მიუხედავათ მრავალი ცდისა, „არსრაიონმა“ მაინც ვერ შესძლო „დინამო“-ს კარების დარღვევა.

შემდეგში ბრძოლა უფრო თანაბარი შეიქნა. „დინამო“ თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა, მაგრამ ამ შეტევას არ გამოუღია რეალური ნაყოფი.

ათი წუთით ადრე ტაიმის ბოლომდე არსრაიონელებმა შესძლეს პირველი ბურთის მოქცევა „დინამო“-ს ბადეში (აღსანიშნავია, რომ ეს ბურთი გატანილი იქნა „ოფსაიდიდან“) და, ამრიგად, ანგარიში გაქვითდა.

შეჯიბრის დასრულებამდე მიღწეული შედეგი აღარ დარღვეულა.

ამხანაგური მატჩი დამთავრდა 1:1.

„დურუჯი„ II — „ზარია“

შეჯიბრი პროფკავშირთა გუნდების პირველობაზე მეორე „დურუჯსა“ და „ზარია“-ს შორის დამთავრდა 4:0 „დურუჯი“-ს სასარგებლოდ.

ბიბლიოგრაფია

დავით კლდიაშვილი—მოთხრობები I.

სახელგამი, 1926 წ. გვ. 269. ფასი 1 მ. 20 კ.

დავით კლდიაშვილი განსაკუთრებით იმერეთის მწერალია, და იმერეთში კი—განსაკუთრებით გაკოტრებულ აზნაურების ცხოვრების მემატიანე. უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში, მას ბადალი არა ჰყავს. მართალია, მას წინამორბედი ჰყავდა გ. წერეთლის სახით, მაგრამ ამით არ ირღვევა დ. კლდიაშვილის ორიგინალობა, რადგან ის, დიდი დაკვირვებითი ნიჭის პატრონია, და ნიჭი კი ყოველთვის საკუთარ გზას ჰპოულობს.

ეს საკუთარი გზა, წერის ის ირონიული კილოა, რომელიც ჩვენს მწერალს საგანგებო ინდივიდუალობის ბეჭედს ასვამს.

დ. კლდიაშვილი პოპულიარული მწერალია. ქართველ მკითხველს უყვარს იგი, როგორც კარგი მთქმელი, მოსწრებული მხატვარი და დიდი საკითხების სადა განმმარტავი. დ. კლდიაშვილის პერსონაჟები სულ პატარა ხალხია, გონებრივ-ზნეობრივი ქონდრის კაცები, რომელთ რიცხვიც მილიონია, მაგრამ ისე ოსტატურად გვიხატავს მათ გარეგნულ და შინაგან ცხოვრებას, რომ ამ კაცუნების ცხოვრების იქით ჩვენ ვჭვრეტთ ადამიანის დიდ დრამას, რომელსაც დაკვირვება სჭირია, შესწავლა და სახსნელი გზების ძიება. დიდი ხალისით და სიცილით კითხულობთ დ. კლდიაშვილის მოთხრობებს, მაგრამ ამ დროს, თქვენში სწარმოებს პარალელური პროცესიც: დიდი დასევდიანება, მწარე ნაღვლის შემოწოლვა, ადამიანის „ბედის“ და საზოგადოებრივ დისჰარმონიის მიერ გამოწვეული. დ. კლდიაშვილი თითქოს ამას არცა სცდილობს. ეს ემოციები თუ ფიქრები რაღაც დამოუკიდებლად აღიძვრიან, და სწორედ აქ არის ჩვენი ავტორის დიდი უნარი.

იგი ისე სჭიდებს ხელს გამოსახატ ობიექტებს, რომ კონკრეტულ სახის გარდა, აჩენს მის ზოგად სახესაც, სრულიად უტენდენციოდ და უპრეტენზიოდაც. მართალია, დ. კლდიაშვილის ტიპები, მე-19 ს. მეორე ნახევარს ეკუთვნიან, მაგრამ ეს არ უშლის ხელს, რომ ისინი დღესაც საინტერესონი იყვნენ, რადგან კერძო—დროულს გარდა, მათში არის ბევრი რამ ხანგრძლივიც. თანაც, ყოფითი ცხოვრება უფრო ძნელად იცვლება, ვიდრე იდეოლოგიური და სხ... ისე რომ, თუმც ჩვენი ხანა იმ ხანას დაშორდა, მაგრამ იმ ეპოქის ელემენტები ჩვენს ხანაშიც კვლავ მოიპოვება. ამიტომ დ. კლდიაშვილის პერსონაჟებს, ცხოველმყოფელობა ჯერ არ დაუკარგავიათ. სოლომონ მორბელაძეები, სამანიშვილის დედინაცვლები, კაროჟნები, ჯერ კიდევ არ გადაშენებულან.

დ. კლდიაშვილი ისეთი ავტორია, რომ მისი გამოცემა ყოველთვის შეიძლება, მის გმირებს ისტორიული ჰასაკიც რომ გასული ჰქონდით. ნამდვილად კი, ყველაფერი ის, რაც დ. კლდიაშვილმა აღწერა, დღესაც ბევრი ფიქრების აღმძვრელია და ბევრისათვის ჭკუის მასწავლებელი.

სახელგამმა კარგი საქმე ჩაიდინა, რომ კიდევ ერთხელ გამოსცა ჩვენი მწერლის ნაწარმოებნი. ჯერ მხოლოდ პირველი ტომია. სჩანს, რომ მას შემდეგიც მოჰყვება, რაც სიამოვნებით უნდა აღინიშნოს.

პირველ ტომში მოქცეულია: „სოლომონ მორბელაძე“, „შერისხვა“, „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მრევლში“, და „ირინეს ბედნიერება“.

წიგნი კარგად არის გამოცემული, და არც ძვირია. 268 გვერდიანი წიგნი ექვს აბაზად—ხელმისაწვდომია.

უნდა აღინიშნოს ყდაც. საზოგადოდ, სახელგამის ყველა გამოცემებს, ამ მხრივ დიდი დაწინაურება ეტყობათ. პირდაპირ თვალს ეამება მათი დანახვა. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც რეკლამისათვის, ისე თავის-თავადაც. მხოლოდ ამ შემთხვევაში, უნდა შევნიშნოთ, რომ ქ. ზდანევიჩის მიერ შესრულებული ყდა არ შეეფერება შინაარსს. დ. კლდიაშვილი რეალისტი მწერალია, და გვგონია, რომ ყდაც ასეთივე მანერით უნდა იყოს შესრულებული. აქ კი, ასე არ არის. კონსტრუქტივიზმის ელემენტები დისჰარმონიულად ეჩრებიან შთაბეჭდილებას. ამას გარდა, სახედარიც არ შეეფერება მხედარს. ე. ი. პირუტყვი უნდა „გაძვალტყავებული“ იყოს, „ღონე-მიხდილი“, „ჩაჩხაჩა“. როგორც ავტორი სწერს. აქ კი მოვლილი სახედარია, ფაფარ შეკვეცილი, კისერ-ძარღვიანი და ენერგიული. უკეთესი იყო შეფარდება. შემდეგ ტომებისთვის მაინც უნდა იყოს ეს გათვალისწინებული.

საერთოდ წიგნი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, როგორც ფორმატით, ისე სხვა ტეხნიკურ შესრულებით.

იმედია, რომ მოკლე ხანში, სახელგამს მეორე გამოცემა დასჭირდება, რადგან ისეთ ავტორისათვის, როგორიც დავ. კლდიაშვილია, 3.000 ტირაჟი—მცირედ უნდა ჩაითვალოს.

იქსი.

პ. მ. საყვარელიძე—ძველი და ახალი ჩინეთი

სახელგამი, 1926 წ. გვ. 158.

ჩვენ თითქმის არა გვაქვს ისეთი ლიტერატურა, რომელიც ეხებოდეს შორეულ ქვეყნების ცხოვრებას, და ქართველ მკითხველთა ფართო წრეებს, განსაკუთრებით მოზარდ თაობას მხოლოდ იმ მოკლე ცნობებით უხდებათ დაკმაყოფილება, რაც გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში მოიპოვება.

ამ მხრივ, პ. მ. საყვარელიძის ბროშიურა ჩინეთის შესახებ, დროულ და მოსწრებულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მით უმეტეს, რომ ჩინეთის მიმდინარე ამბები ფართო მასაში სძრავს ინტერესს, თუ რა ხალხია ეს ხალხი, საიდან მოდის მათი ისტორია, რას წარმოადგენს დღეს, როგორია ამ ქვეყნის რესურსები, იმედები, ძალთა განწყობილება და სხვ...

აღნიშნული წიგნი, საშუალო და დაბალ მკითხველს ამ ცნობისმოყვარეობას სავსებით დაუკმაყოფილებს. წიგნაკი წარმოადგენს კომპილიაციას, და ისიც გაკვრით და ნაწყვეტებით აღწერილს, მაგრამ ავტორი ორიგინალობის და დამოუკიდებლობის პრეტენზიებს არ აცხადებს. პირიქით, აღნიშნავს იმ შრომებს, რომელთ მიხედვითაც თავისი ბროშიურა შეუდგენია. მას მხოლოდ ერთი რამ სწადიან: ქართველ მკითხველთა მასას ისეთი წიგნი მისცეს ხელთ, რომელიც ამ შორეულ ქვეყნის შესახებ რაიმე მთლიან წარმოდგენას შეუქმნის. ამ მხრივ კი წიგნი სავსებით დამაკმაყოფილებელია.

თხრობის წესი—ხალხურია, მარტივი. მასალაც თან-მიმყოლობით არის დალაგებული, და წასაკითხად სახალისოა. ყდა ლამაზია და სტილ-დაცული.

ვიმეორებთ, წიგნი მოსწრებულად და საჭირო უნდა ჩაითვალოს. კარგი იქნებოდა, რომ ასეთივე პოპულიარული ხასიათის წიგნები გამოიცემოდეს სხვა ხალხის შესახებაც, მაგ. იაპონიის და სხვ... რადგან ჩვენ მასას გაგონილი აქვს თითო-ოროლა რამე, ცოტაოდნავ საფუძვლიანად კი არაფერი არ იცის. ამას მნიშვნელობა აქვს და სახელგამიც კარგს იზამდა, რომ ასეთი ხასიათის წიგნებიც დაიმზადოს.

აჭიელი.

ნარევი

საყელოების წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა

პარიზში ამ რამდენიმე ხნის წინათ დაარსდა „საყელოების წინააღმდეგ მებრძოლი ლიგა“. რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის განთავისუფლებას როგორც „გაკრახმალებულის, ისე რბილი საყელოების ტირანიისაგან“. ლიგის საბჭოში არიან მხატვრები და ჟურნალისტები. ლიგამ მოაწყო სპეციალური ვიტრინა, რომელმაც უნდა დაარწმუნოს ყველა, რომ თავისუფალი კისერი ამშვენებს მამაკაცს.

მეთექვსმეტე საუკუნის ციხე-კოშკის გადატანა

პარიზის გაზეთი „ექსცელსიორ“ იუწყება, რომ ერთმა ამერიკელმა მილიარდერმა საფრანგეთში შეიძინა ლიუდოვიკ მე-XIII-ეს დროს აგებული ციხე-კოშკი.

ეს ციხე-კოშკი საფრანგეთის ძველი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს. ციხე-კოშკი დაშალეს, ცალკე ქვები ყუთებში ჩაალაგეს და დაგზავნეს ამერიკაში. სადაც კოშკი აღდგენილი იქნა ძველი სახით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 26 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, შესდგება **საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის სამდივნო.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების პროპაგანდის მეთოდბიუროს სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, დილის 9 საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ ოთხშაბათს ა.-წ. 27 ოქტომბერს საღამოს სრულ 5 საათზე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამართველოს მე-3-ე ლეგიონის კლუბის შენობაში (ერმოლოვის ქ. № 5) მოწვეულია ქალაქის რაიკომების გაფართოებული პლენუმი. დასწრება ყველა რაიკომის წევრების და კანდიდატებისა, უჯრედის მდივნებისა, უჯრედის ბიუროს წევრებისა და უჯრედში არსებულ ყველა კომისიის წევრებისა სავალდებულოა დაუგვიანებლად.

სამშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში (ზევითა დარბაზში) შესდგება დეპოსი და მთავარ სახელოსნოს მოსამსახურეთა, მუშა ქალთა და დიასახლისთა კრება. **დღის წესრიგი:** სადელეგატო კრების გადაირჩევის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილების აგიტაციის მეთოდბიუროს სხდომა შესდგება ხუთშაბათს, 28 ოქტომბერს დილის 8½ საათზე თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებაში.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ სამშაბათს ა.-წ. 26 ოქტომბერს საღამოს სრულ 6 საათზე მოწვეულია სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის უჯრედის კრება. [illegible] უჯრედების წევრებისა და კანდიდატებისა სავალდებულოა დაუგვიანებლად.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო - საპროპაგანდო განყოფილებასთან არსებული თვითგანვითარების ბიუროს სხდომა შესდგება ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს [illegible], რომ პარასკევს, 29 ოქტომბერს, **მორიგ ერთიან პარტდღეს** უჯრედების კრებებზე წამოაყენონ ადგილობრივი საკითხები.

თბილისის კომიტეტის მდივანი **ასრიბეკოვი.**

საქ. ცენტრ. საკ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. ლადო ხუტაიშვილს, რომ 26-27 და 28 ოქტომბრის განმავლობაში გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პროსპ. 24, მესამე სართული, ოთახი № 9).

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში (პლეხანოვის, 123) შესდგება უჯრედების ბიუროების კონფერენცია მეორე რაიონის ფაბქარხკომებისა და ჯგუფორგანიზაციების ფრაქციების თანადასწრებით.

დღის წესრიგია: კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების საკითხი.

მეორე რაიონის უჯრედების ბიუროს ყველა წევრთა და აგრეთვე ფაბქარხკომებისა და ჯგუფორგების ფრაქციების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ სამშაბათს, 26 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში შესდგება მეორე **რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატების დაუგვიანებლად დასწრება სავალდებულოა.

26 ოქტომბერს დილის სრულ 9 საათზე შესდგება საქართველოს ლენინურ **ახალგ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

ყველა წევრების დასწრება სვალდებულოა.

26 ოქტომბერს, დღის სრულ 2 საათზე, შესდგება საქართველოს **ლენინურ ახალგ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საკონტროლო კომისიის სხდომა.**

ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

28 ოქტომბერს, დილის სრულ 10 საათზე შესდგება საქართველოს ლენინურ ახალგ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის ეკონომგანყოფილების სხდომა.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იუწყება, რომ დღეს 26 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე მე-3 რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

ღრმად დამწუხრებული: დედა—ლიზა, ძმები: ქიქიკო და ქუქული თათეიშვილები, ბიძაშვილები: სერგო რატიანი და თამარა თევზაძისა, რძალი ვერა რატიანისა, აუწყებენ მეგობართ და ნაცნობებს, მათთვის დაუვიწყარი—სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის

კონსტანტინე ირაკლის ძე
თათეიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ქალაქის 1-ლ საავადმყოფოდან (ყოფილი არამიანცის) 26 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა სოფელ გუბში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მეუღლე ილიკო მალაქიასძე ყრუაშვილი, შვილი ვალოდია, დედა გვიტია გამყრელიძისა შვილებით, დედამთილ-მამამთილი მალაქია და სევასტი ყრუაშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი უძვირფასესი

ნადეჟდა ალექსანდრეს ასული
ყრუაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქალაქ ონში, 26 ოქტომბერს, დღით სამშაბათს

ქ. 323

სახელმწიფო ოპერა

დღეს, მე-3 აბონემენტის 1-ლი დადგმა **კ ა რ მ ე ნ ი**

დამსახურებულ მსახიობის: **ხკიბიცკაიას, ცაგარელის, ვიტტინგის, გორელოვის და ხოკოვნინის** მონაწილეობით

ოთხშაბათს, 27 ოქტომბერს, მე-2 აბონემენტის მე-2 დადგმა

ა ბ ე ს ა ლ ო მ დ ა ე თ ე რ ი

იყიდება აბონემენტებიდან დარჩენილი ბილეთები.

ნ. 128

აპოლო
არჩასტო
სოლეი

„გოსკინო“-ს საუკეთესო სურათი

აბრეკ-ზაურ

კინო მოთხრობა 10 ნ. (კავკასიის ახლო წარსულიდან)

უმთ. როლებში ვ. გუნია, ვ. შესტაევი, ნ. ხანოვი, გ. ჩიჩელაშვილი, ა. თაყაიშვილი, განტარინისა, აგანბეკოვისა

„მეჟრაბპომ რუსის“ საუკეთესო სურათი

„პროცესი სამი მილიონის შესახებ“

უმთ. როლებში—იგორ ილინსკი, ჟიზნევისა, კტოროვი, კლიმოვი

სიმებიანი ორკესტრი.

ანონსი: მალე სახკინმრეწვის ახალი სურათი

„ბ ა ფ ლ ა ნ გ ვ ა“

ნ. 1833 0—21

ამით ცხადდება ყველა დაწესებულებების, ორგანიზაციების და პირთა საყურადღებოთ,

რომ საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან ახლად დაარსებულ

საქართ. აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის

(შემოკლებით **„საქართველოს აბრეშუმი“**)

სამმართველო იმყოფება ქალ. ქუთაისში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე, სადაც შეუძლიათ მიმართონ ყოველ საქმეებზე დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირთ.

ტრესტის თბილისის წარმომადგენლობა კი მოთავსებულია ლერმონტოვის ქ. № 9, ტელეფონი 23—43. დეპეშით მისამართი, როგორც სამმართველოსი ქუთაისში, ისე წარმომადგენლობის თბილისში არის „აბრეშუმი“.

ნ. 118 .2—1. **საქართველოს აბრეშუმი.**

აბანოების სამმართველო ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 ოქტომბ. დილის 11 საათ.

დანიშნულია **შეჯიბრება**

ტაროს (ტალახის) შესახებ. ყოველივე პირობების გაგება შეიძლება აბანოების სამმართველოში დილის 10 დან 12 ს-დი აბანოების შეს. № 2.

ნ 133 **აბანოების ადმინისტრაცია**

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა გამგეობა

აცხადებს, რომ 1926 წლის 1-ლ ნოემბრის დილის 10 საათზე გზათა სამმართველოს შენობაში **დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა**

შერეული ვაჭრობა

შემდეგი ბუფეტების იჯარით გასაცემათ: სად. თბილისზე, განჯაზე, ბალაჯარაზე და ბაქო 1-ლზე—1 და 3 კლასის; სად. ბორჯომზე—1 კლ.; სად. სადახლოზე, ამამლიზე, ნორაშენზე, ულუხანლუზე და ყიზილბურუნზე—3 კლ.; ბაქო 1-ლზე, ბალაჯარაზე და ალიათზე—სავაჭრო კარვების; სად. ბაქო 1-ზე, ბაღის ხეივანით და სადგურ თბილისზე—საზაფხულო ხეივანისა—ვადით 1928 წლის 1-ლ ოქტომბრამდე, 3 რონოდა-ბუფეტისა თბილის-ერევანის № 11 და 12 მატარებლებთან და 3 რონოდა-რეს ორანის ბათომი-ბაქოს № 5 და 6 მატარებლებთან—ვადით 1927 წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

ნ. 129 **გამგეობა**

კინო აპოლო

არაჩვეულებრივი დაინტერესების გამო გრძელდება სურათის ჩვენება

ა ბ რ ე კ
ზ ა უ რ

მთავარ როლებში დამსახ. მსახ. ვ. გუნია, ვ. შესტაევი, ნ. ხანოვი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩიჩელაშვილი, განტარინა, აგანბეკოვა.

ნ. 131

ს.ს.ს.რ. ს.მ.უ.ს.

აცხადებს ყველა იმ დაწესებულებათა და საწარმოთა საყურადღებოთ, რომელნიც აწვდიდენ ცნობებს მე-13 რაიონის სათბობ საქმეების რწმუნებულს (Райуполтоп 13 района) სათბობ მასალების და ელ-ენერგიის შესახებ, რომ თანახმად ს.ს.რ.კ. ს.მ.უ.ს. ა. წ. ოქტომბრის 18 ბრძანებისა № 1080, საქ. ს.მ.უ.ს.-თან დაარსდა სათბობის განყოფილება, რომელსაც დაეკისრა ა.-კ. მე-13 რაიონის სათბობ საქმეების რწმუნებულის ფუნქციები საქართვ. ს.ს.რ. ფარგლებში. აღნიშნულის გამო ზემოდ დასახელებულ დაწესებულებებს და საწარმოებს წინადადება ეძლევათ:

ა) დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ს.მ.უ.ს.-თან არსებულ სათბობის განყოფილების მისამართით (პუშკინის ქ. № 3) 1925 | 26 წლ. მე-3 და მე-4 კვარტალის ცნობები სათბობი მასალის მოძრაობის შესახებ და განაცხადი 1926 | 27 წლ. 1-ლ კვარტალზე.

ბ) ანგარიშები და განაცხადები წარადგინონ იმავე ფორმებით და იმ ვადებში, როგორც ისინი ეგზავნება მე-13 რაიონის სათბობის საქმეების რწმუნებულს და

გ) წარადგინონ აგრეთვე ელ-ენერგიის აღრიცხვაც.

ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმი.

ნ. 130

მოწავეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

0—1

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო

საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 54825 —1

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.

რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი ჩერქეზიშვილი

იღებს შინაგან ავადმყოფებს. სპეციალურად ექიმობს ფილტვებს, ქავჭავაძის ქუჩა № 9

მიღება დილის 8—12 საათ.

საღამოს 6— 8 საათ. 25—1

დადგენილება

შრომის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების მიერ

30 აგვისტოდან ა. წ.

სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხების იძულებით წესით გადახდევინების შესახებ გამოცემულ ინსტრუქციის მე-17 მუხლზე დამატების შესახებ.

შრომის, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატების მიერ სოცდაზღვევის საპროცენტო ანარიცხების იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ გამოცემულ ინსტრუქციის მე-17 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსით:

1. იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდა აღწერა და შეფასება მოვალის ქონების და თუ მოვალე ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დღემდე გაანაღდებს ვალს და აღწერილ—შეფასებული ქონება მოიხსნება საჯარო გაყიდვისაგან, მაშინ სოცდაზღვევის ორგანოები იძულებითი წესით ახდევინებენ ვალის განაღდების დროს:

თუ აღწერილი ქონება ღირს არა უმეტეს 50 მანეთისა—2% შეფასებიდან.

თუ აღწერილი ქონება ღირს 50 მანეთზე მეტი 100 მანეთამდე შიგ ჩართვით—3%.

თუ აღნიშნული ქონება ღირს 100 მანეთზე მეტი 500 მანეთამდე შიგ ჩართვით 4%.

და თუ 500 მანეთს ზევით—5%.

შრომის სახალხო კომისარი მორჩილაძე.
იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.
შინაგან საქმეთა კომისარი მათიკაშვილი.

ნ. 132

გარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. ქ. ოდიშარია

აცხადებს, რომ 29 ოქტომბერს 1926 წ. საათის 12, ბოტანიკურ ქ. № 22 **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოძრავ ქონებას მირზა ალა მირზაან ოღლის სულადინოვის სამ სართულიან აგურის სახლს 8 ოთახით, 4 სამზარეულოთი და 1 სარდაფით, შეფასებულს 2.000 მან. დასაკმაყოფილებლად სეიდ გასან მირ კასუმ ოღლისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 311, 312, 313, და 314 მუხ. სამოქ. სამართ. საპროც. კოდექ.

ქ. 338

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 1 ნოემბერს—1926 წელსა დილის 11 საათზე ადგილობ. სოფელ გეგუთში თეირისო ივანესძე მამისეიშვილის ეზოში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ხსენებული თეირისო მამისეიშვილის აწერილი 19 აგვისტოს—1926 წელსა გადასატანად ერთი წაბლის ხის სახლი დახურული კრამიტით—დაფას. 260 მან., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა—ალექსანდრე დანელიას და ნატალია მამისეიშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში.

ნ. 127

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გ. ბალდასაროვი

ამით აცხადებს, რომ ის 28 ოქტომბერს 1926 წ. დღის 2 საათზე სახლში № 1 თავისუფლების მოედანზე ეზოში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ედუარდ პილოსიანის მოძრავ ქონებას: სარკეს, შლიაპებს, პერანგების და სხვადასხვა გალანტერეის საქონელს შეფასებულს 176 მანეთად, 80 კ. მკერავთა კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 30 სექტემბ. 1926 წ. თარიღით, № 3686 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ქვ. 342

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რ ე ნ ტ გ ე ნ ი ს სხივებით წამლობა. იონნო-ტერაპია. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შეს ახვევი, № 8. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი

დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59, ნ. ღ

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა სნექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

13—21

სათვალეების მორგება

უ ფ ა ს ო დ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახშეღვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი ტელ. 3—63. 25—1-

---

ექიმი შ უ ხ მ ა ნ ი

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ. № 69 25—1

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—1

მასწავლებელი უმაღ. გან. ამზადებს ყველა საფეხ. სკ. და უნივერსიტეტისთვის. სპეც. ქართული, რუსული, საზოგადოებათმეცნიერება. ანასტასიას ქ. № 24 ქვ. სართ. 2—5 საათამდე.

331

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

348 . 25—1

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოღაშვილი

დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 12

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს **ქირურგიულ** ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. **სიღნაღში.** 3768 25—1

ექიმი-ქალი

თოფურიძე-ფანიევა

იღებს **ქალთა და ბავშვთა სნეულებით დაავადებულთ.** საღამოს 5-დან 7 საათამდე.

მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12.

25—1

ექიმი

ნ. მელიქიშვილი

დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება დასამშობიარო, ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე.

ექ. ქ. ტყეშელაშვილი

დ ა ბ რ უ ნ დ ა და განაახლა ავადმყ. მიღება (კანის, ვენერიული და სასქ.-საშარდე ორგან. სნეულებანი) მთავარი ფოსტის ახლოს, ბელგიის ქ. № 1

1—25

ექიმი

ნ. პ. ფალიაშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება-ყოველგვარ მედიკურ გამო. კვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღ. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძმელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

დაიკარგა რკინის გზის პირადობის მოწმობა № 916, სამხედრო საარიცხო ბარათი გიორგი მელაძეს სახელზე, ჩ. გ. 327

დაიკარგა პირადობის მოწმობა, № 1348, კარაპეტ მგალობლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 328

დაიკარგა „პროვიზიონკა“ № 052076, კოლა გოგიჩაშვილის სახელზე, ჩ. გ. 326

დაიკარგა განათლების მუშაკ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 1282—ბაქრაძეს სახელზე, ჩ. გ. 324

დაიკარგა კომკავშირის დროებითი მოწმობა № 5474, სასო ვასილის-ძე ხაჭაპურიძის სახელზე, ჩ. გ. 335

დაიკარგა განათლების კავშირის წიგნაკი № 13334—ელენე არაბიძის სახელზე, ჩ. გ. 334

დაიკარგა საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 7585, ვასილი ლითანიშვილის სახელზე, ჩ. გ. 333

დაიკარგა საარიცხვო ბარათი ფორმა № 4, კირილე ნ. სარდალაშვილის სახელზე, ჩ. გ. 325

დაიკარგა პირადობის მოწმობა, კავშირის წიგნაკი და სათბობის ქვითარები, არსენ პავლეს-ძე სვანიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 127

დაიკარგა სახ. უნივერსიტეტის სალექციო წიგნაკი № 160, გიორგი დოლიძის სახელზე, ჩ. გ. 336

დაიკარგა პირადობის მოწმობა სოც. უზრ. ყოფ. აღრიცხვის, პირადობის ორი მოწმობა, დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 12, რძის წიგნაკი № 6859, კონსტანტინე მიხეილის-ძე ჩიჩუას სახელზე, ჩ. გ. 332

დაიკარგა კავშირის საწევრო წიგნაკი № 3505, ვლადიმერ კონიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 329

დაიკარგა მუშკოოპის წიგნაკი № 10005, შალვა კანკავას სახელზე, ჩ. გ. 330

დაიკარგა პირადობის მოწმობა სახ. უნივერსიტეტიდან მიღებული დავით დოლიძის სახელზე, ჩ. გ. 337

დაიკარგა განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 23407, ნინო დეკანოზიშვილის სახელზე, ჩ. გ. 326

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1712, რკინის გზის ბიუროს ქაღალდი № 151, პირადობის მოწმობა, მიხეილ პაპიშვილის სახელზე, ჩ. გ. 339

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული რაჭის მაზრის აბარის თემაღმასკომის მიერ, დავით ნანიას-ძე ლობჯანიძის სახელზე, ჩ. გ. 340

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 987 და პირადობის მოწმობა—ალექსანდრე მიხეილის-ძე გოგოშიძეს სახელზე, ჩ. გ. 341

დაიკარგა მეტრიკა, ა.-კ. რკინის გზის მე-8-ე შრომის სკოლის 7 წლედის დამთავრების ატესტატი თამარა გიგიაძეს სახელზე, ჩ. გ. 343

დაიკარგა დამზღვევ სალაროდან მიღებული უმუშევრობის ბარათი № 3884 სოფიო ორაგველიძის სახ., ჩ. გ.

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. №